619
1964

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 6 ივნისი 1964



# ისტორიული ვიზიტი

რა არ ახსოვს ძველი ნილოსის მიდამოებს, რა არ ახსოვს ძველი ეგვიპტის მიწას, მაგრამ ისეთი დიდი სიხარული, რომელმაც მოიცვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა მიმდინარე წლის მაისში, აქ არასოდეს უნახავთ. რესპუბლიკის ქალაქების ქუჩები, სახლების ფასადები და თაღები მორთული იყო ტრანსპარანტებით და პლაკატებით, რომლებზეც ეწერა: „ვაშა ნიკიტა ხრუშჩოვს!“ „ვაშა გამალ აბდელ ნასერს“, „გაუმარჯოს არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“ ეს სიტყვები ნათლად გამოხატავდნენ იმ დიდ სიხარულს, იმ დიდ მადლობის გრძნობას საბჭოთა ქვეყნისა და მისი მეთაურისადმი, რომლითაც აღსავსეა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ყველა მოქალაქის გული.

საბჭოთა ხალხმა უდიდესი დახმარება გაუწია არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხებს; ნილოსის გადახიდვისადმი მიძღვნილ მიტინგზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა:

„არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი დღეს დიდ და ნათელ დღესასწაულს აღნიშნავს. თქვენთან ერთად, ჩვენც ვიზიარებთ სიხარულს, რომელიც დაკავშირებულია თქვენი ქვეყნის ცხოვრების ისტორიულ მოვლენასთან. ნილოსის კალაპოტის გადახიდვა და წყლის გადაგდება არხებში იმას ნიშნავს, რომ დამთავრდა ასუანის მაღლივი კაშხალის აგების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი“.

გამალ აბდელ ნასერმა იმავე მიტინგზე მიმართა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

„ძვირფასო მეგობარო, ჩვენ ოცნებაში თქვენ ყოველთვის ჩვენთან იყავით. თქვენ ჩვენთან ერთად იდექით ერთიან მწყობრში ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში. ამით თქვენ მეგობრობის ხიდი გასდეთ არაბული აღმოსავლეთისა და აფრიკის ხალხებთან. თქვენ დაამკვიდრეთ ნამდვილი რევოლუციების სოლიდარობის იდეა, რევოლუციებისა, რომლებიც ხალხთა მასების უკეთესი ცხოვრებისათვის მოხდა“.

ჩვენს პრესაში უკვე გამოქვეყნდა ერთობლივი განცხადება საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის მოლაპარაკების შესახებ. ორივე მხარემ მოლაპარაკების დროს გამოთქვა სურვილი მჭიდროდ ითანამშრომლონ ყველა დარგში ურთიერთობის განმტკიცებისათვის. მხარეებმა დაადასტურეს, რომ ორივე ხალხი იზიარებს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, მიაჩნიათ, რომ იგი საფუძველია ყველა ქვეყნის ურთიერთობისა, როგორიც უნდა იყოს ამ ქვეყნების სოციალური წყობილება, და დაგმეს იმპერიალისტური ძალების ცდები თავს მოახვიონ თავიანთი გავლენა და ბატონობა ქვეყნებს, რომლებიც დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის მეგობრული ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში — იყო ახალი ნაბიჯი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების გზაზე.

სურათებზე: ზემოთ — ნ. ს. ხრუშჩოვი და გამალ აბდელ ნასერი მიესალმებიან კაიროს მცხოვრებლებს. ფოტო ვ. შუსტოვისა.



ქვემოთ — ასუანი. ზეიმობენ ეგვიპტელი ფელახები და კაშხალის მშენებლები. ფრთა შეისხა საუკუნეობრივმა ოცნებამ — ნილოსი დამორჩილებულია. ეს დიდი გამარჯვება ბუნებაზე, რომელიც მოპოვებულია საბჭოთა ადამიანების დახმარებით, შესაძლებლობას მისცემს ეგვიპტელებს მორწყონ აქამდე მწირი მიწები. ფოტო ვ. ბუდანისა.

# გულის და სულის
# ქაჟნასით

„ყოველი ჩვენგანი წერს თავისი გულის კარნახით, ხოლო ჩვენი გულები ეკუთვნის პარტიას და მშობელ ხალხს, რომლებსაც ვემსახურებით ჩვენი ხელოვნებით“, — ამ სიტყვებით გამოხატა მიხეილ შოლოხოვმა ბრძნული აზრი პარტიულობისა და ხალხურობის მაღალი ლენინური პრინციპებისა.

ეს პრინციპები მუდამ იყო წინსვლის სტიმული ჩვენი მწერლობისათვის საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის მთელ მანძილზე; ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა მუდამ ჩვენი მწერლობის უმაღლესი მიზანი იყო. „დაე, ჩემი ლექსი წავიდეს ბრძოლის ველზე, წავიდეს, როგორც რიგითი ჯარისკაცი და თუ საჭირო გახდა, მოკვდეს იქ, თავი გასწიროს, როგორც ჩვენს სახელოვან გმირებსა სჩვევიათო“, ასე ამბობდა რევოლუციის დიდი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი. მაიაკოვსკი ცოცხალი აღარ იყო, როცა სამამულო ომი დაიწყო, მაგრამ მისი ლექსები წავიდნენ ფრონტზე, ტიხონოვისა და ლეონიძის, სიმონოვისა და აბაშიძის, ჩიქოვანისა და ბაჟანის ლექსებთან ერთად, ყველა ჩვენი საუკეთესო პოეტის ლექსებთან ერთად, და მთელ ამ პოეზიას ჰქონდა პოლკების და დივიზიების ძალა; კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე პოეტის სიტყვას დიდი შეტევითი ძალა გააჩნდა, მაგრამ ეს ჭეშმარიტება არასოდეს ისე ნათლად, ისე ცხადად და თვალსაჩინოდ არ დადასტურებულა, როგორც ეს მოხდა ჩვენს სამშობლოში, როცა საბჭოთა ხალხი ებრძოდა შემოსეულ ფაშისტთა ურდოებს.

ჩვენ ყველანი მაშინ, დიდიც, პატარაც მობილიზებულნი ვიყავით ჩვენივე გულისა და სინდისის კარნახით და ლექსიც მობილიზებული იყო; ის თან ახლდა ჯარისკაცს სანგარში, ძელმიწურში, სატრფოს, ცოლის თუ დედის წერილთან ერთად.

ლექსი მაშინ ფრონტზე იყო და იდუმალად ჩასჩურჩულებდა მეომარს მდგარიყო მტკიცედ, წარბშეუხრელად, რათა ეხსნა სამშობლო, ეხსნა მთელი მოწინავე კაცობრიობა.

დიახ, ლექსი მაშინ ფრონტზე იყო, ხოლო დღეს, მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, როცა საბჭოთა ხალხი, ლენინის პარტიის მეთაურობით, წარმატებით აშენებს კომუნიზმის ნათელ შენობას — პოეტი და ხელოვანი, როგორც ამხანაგმა ლ. თ. ილიჩოვმა აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, „გულისა და სულის ბარიკადებზე იბრძვიან“. დღეს ლექსი უძირო და უკიდეგანო კოსმოსში წასულ მფრინავს მიაქვს თან; ლექსი თან ახლავს ჩვენს შრომას კომუნიზმის ასაშენებლად, მინდორში, ფაბრიკაში, ოჯახში, შინ და გარეთ, ყველგან, სადაც ადამიანი შრომობს, თუ ლხინს ეძლევა.

საბჭოთა ადამიანებმა დაამკვიდრეს ქვეყნად მშვიდობა და მის შესანარჩუნებლად, მის განსამტკიცებლად კვლავაც დაუღალავად იბრძვიან. ამ ბრძოლაში მოწინავე ხაზზე არიან ჩვენი პოეტები, ჩვენი ხელოვნების მუშაკები. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხანაგმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა, ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე, თავის სიტყვაში გაიხსენა და დაიმოწმა ვუჩეტიჩის ქანდაკება „გადავადნოთ მახვილი გუთნად“. მთელი მსოფლიო უსმენდა ამ სიტყვას და ყველა თვალნათლივ ხედავდა, თუ რაოდენ დიდია როლი ხელოვნების ნაწარმოებისა მშვიდობისათვის ბრძოლის გზაზე.

აი ასეთი დიდი ამოცანა აქვს დაკისრებული მწერლის კალამს, მხატვრის ფუნჯს, მოქანდაკის საჭრეთელს, მსახიობის გამოჩენას სცენაზე თუ ეკრანზე; ის ხალხის სულს გადმოსცემს და ამით აწრთობს, წარმართავს ადამიანთა მილიონებს სიკეთისა და ნათელი შემოქმედების გზაზე.

ამ სულისკვეთებით ზრდის ჩვენი პარტია ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს; ყოველივე ამან თავისი ნათელი გამოხატულება ჰპოვა ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებში, რომლებმაც ახალი გამარჯვებების, ახალი აღმავლობის გზები დაუსახეს ჩვენს მხატვრულ ინტელიგენციას.

ივნისის პლენუმის შემდეგ ერთი წელი გავიდა; ეს იყო წელი, რომელმაც გაამდიდრა საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრება ახალი მხატვრული ნაწარმოებებით; და ეს მოხდა სწორედ იმის გამო, რომ ჩვენი მხატვრული ინტელიგენცია მტკიცედ მისდევს პარტიის მიერ დასახულ გზას.

ივნისის პლენუმზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხანაგი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. ეს სიტყვა გამსჭვალულია ულრმესი და გულთბილი ზრუნვით ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართ. ამ სიტყვაში ყოველი შემოქმედი, როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობის ოსტატი პოულობს ნათელ და ამომწურავ პასუხს თანამედროვე ლიტერატურის და ხელოვნების განვითარების უაღრესად რთულ საკითხებზე. ეს საკითხებია მწერლისა და ხელოვნების მუშაკის პასუხისმგებლობა ხალხისა, სამშობლოსა და პარტიის წინაშე, ბრძოლა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, სოციალისტური რეალიზმის შემდგომი წინსვლა და განვითარება, ხელოვნებისა და ლიტერატურის ხალხურობა, შემოქმედის როლი კომუნიზმისათვის ბრძოლის დიდსა და ნათელ გზაზე.

ჩვენმა დრომ ჭეშმარიტად ფრთები შეასხა შემოქმედის ფანტაზიას. და ყველაფერი კარგი, წარმტაცი, ამამაღლებელი და აღმზრდელი ადამიანისა, რაც ჩვენი სულიერი კულტურის სფეროში იქმნება — არის შედეგი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელი ზრუნვისა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო წლების მანძილზე შექმნილი ყველა ნაწარმოები როდი პასუხობს და როდი შეეფერება ჩვენი დროის მაღალ მოთხოვნებს. ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეულ ნაწარმოებებში შესამჩნევია უცხო იდეებით გატაცება, მყვირალა დასავლური მოდის აყოლა, იაფფასიანი სენსაციისადმი გამოდევნება, რაც სრულიად შეუფერებელია საბჭოთა მწერლისათვის, საბჭოთა ხელოვანისათვის.

პარტიამ პირდაპირ, მაღალი პრინციპულობით მიგვითითა ამ ნაკლოვანებებზე და ამ დაბნეულობის, შეცდომების დაძლევის გზებიც გვიჩვენა.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ილაპარაკა ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მდიდარ რევოლუციურ ტრადიციებზე, შესანიშნავ ნაწარმოებებზე, რომლებიც შეიქმნა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში და რომლებითაც ამაყობს ჩვენი ხალხი; ამასთან, მან აღნიშნა, თუ რაოდენ შეუთავსებელია ამ მაღალ ხელოვნებასთან ფორმალისტური თუ აბსტრაქციონისტური ოინბაზობა.

სოციალისტური რეალიზმი ფართო გზას უხსნის ყოველ შემოქმედს ახლის, ნოვატორულის ძიებისათვის. ეს თვით ჩვენი სოციალისტური საზოგადოების შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობს—ახლა ყველა ხედავს, თუ რაოდენ თვალუწვდენელ სიმაღლეებს იპყრობს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანი და ნოვატორული ძიება მისი სულიერი შემოქმედების, მთელი მისი საქმიანობის განუყრელი მხარეა.

და, ცხადია, ამ გზით წარმართავს პარტია ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებასაც.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტია, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა მრავალეროვნული სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის, კერძოდ, ქართული კულტურისათვის; ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა, დიდი ამაგი დასდეს ადამიანის კომუნისტურად აღზრდის საქმეს. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება გვაქვს, ბევრი ხარვეზი. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა ესა თუ ის წიგნი არ აკმაყოფილებს მკითხველს, ესა თუ ის ფილმი არასწორად ასახავს სინამდვილეს, სპექტაკლი ვერ გადმოგვცემს ცხოვრების სიმართლეს — აქ დიდი როლი უნდა ითამაშოს ჩვენმა კრიტიკამ, რომელიც მოწოდებულია იყოს დაუცხრომელი პროპაგანდისტი პარტიულობისა და ხალხურობის, ცხოვრების სიმართლით ასახვის მაღალი ლენინური იდეებისა.

ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი მოიცავენ მთელს იდეოლოგიურ ფრონტს, ჩვენი ცხოვრების ყოველ უბანს; პლენუმმა შეაიარაღა არა მარტო პოეტი თუ მსახიობი, არამედ ყოველი ჟურნალისტი, პრესის, რადიოს, ტელევიზიის ყველა მუშაკი, და არა მარტო ისინი— ყველა ჩვენი ადამიანი, სადაც უნდა მუშაობდეს ის; მან კიდევ ერთხელ, უდიდესი დამარწმუნებელი ძალით უჩვენა ყველა საბჭოთა ადამიანს თუ როგორ უნდა იმუშაოს, როგორ უნდა იბრძოლოს, რათა უფრო მეტი წარმატებით აშენოს ჩვენი დიდებული აწმყო და მზიური მომავალი. ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ბრძნულ გადაწყვეტილებებში აღძრული და გადაჭრილია თანამედროვეობის ყველა მძაფრი და სასიცოცხლო აქტუალური საკითხი, იქნება ეს ბრძოლა წარსულის გადმონაშთებთან, თუ აღზრდა ახალი ადამიანისა, ახლებური დამოკიდებულება შრომასთან თუ ახალი, კომუნისტური ურთიერთობა ადამიანებს შორის, ზრუნვა ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირებისათვის, თუ ქმედითობა პარტიის ყველა დამკვრელი იდეოლოგიური ძალებისა.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლა ჩვენი უწმინდესი და საპატიო მოვალეობაა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 6 (155) ივნისი, 1964 წ.

გამოცემის XIV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ბიბლ.



# ზეიმი მოძმეთა მიწაზე

არის ერთი ძველისძველი ქართული ხალხური ლექსი „წუთისოფელი“. მასში ნათქვამია, რომ ხალხები ერთი-მეორის განუყრელი ძმები არიან. მასში ნათლად არის გამოხატული ის ჩაუქრობელი სიყვარული ხალხებს შორის, რომელსაც საუკუნეების ისტორია აქვს და რომელმაც ნამდვილ აყვავებას და გაფურჩქვნას მიაღწია საბჭოთა ხალხების ძმურ ლენინურ ოჯახში.

ამიტომ აზერბაიჯანის ხალხის ზეიმი ჩვენი ზეიმიც არის, ჩვენი სიხარული მუდამ საერთო და განუყოფელია.

მოძმე აზერბაიჯანის ღერბზე, გაბრწყინებული მზის ფონზე გამოხატულია ნავთის კოშკურა, რომელსაც ირგვლივ თავთავები და ბამბის გადაშენტილი კოკრები შემოვლებია. მართლაც, აზერბაიჯანი ნავთისა და ბამბის ქვეყანაა; ის არის, ამავე დროს, დიდად განვითარებული, მსხვილი სამთამადნო მრეწველობის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მოწინავე რესპუბლიკა.

დღეს აზერბაიჯანის რესპუბლიკა იძლევა უფრო მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე ერთად აღებული თურქეთი, ირანი, პაკისტანი და ავღანისტანი; თუ რევოლუციამდე აზერბაიჯანელების ოთხმოცდაათი პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ახლა აქ მოსწავლეთა რიცხვი გაცილებით დიდია, ვიდრე ირანისა და თურქეთის ყველა სკოლებში, თუმცა ამ ქვეყნების მოსახლეობა თავისი რიცხვით დიდად სჭარბობს აზერბაიჯანისას. ექიმების რიცხვით ყოველ ათას სულ მოსახლეზე აზერბაიჯანმა უკა̄ მოიტოვა ევროპის, აზიის და ამერიკის ყველა კაპიტალისტური ქვეყანა.

მოძმე აზერბაიჯანმა დიდი სახალხო ზეიმით აღნიშნა რუსეთთან შეერთების ასორმოცდაათი წლისთავი. „რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის მეოხებით — წერდა დიდი აზერბაიჯანელი მწერალი მირზა ფათალი ახუნდოვი — ჩვენ გადავრჩით მტერთა გაუთავებელი თავდასხმებისაგან, დამპყრობელთა ურდოების თარეშისაგან და ვეღირსეთ მშვიდობიან ცხოვრებას“.

ხოლო ნამდვილი აყვავება აზერბაიჯანის ცხოვრებისა იწყება იმ დღეებიდან, როცა აქ აფრიალდა ლენინის დროშა. დიდი ლენინის ბრძნულმა პარტიამ აზერბაიჯანის ხალხს დაუმკვიდრა ნათელი და მზიანი ცხოვრება.

# ჩვენი ოფლით მორწყულ მიწაზე...

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა სახალხო მეურნეობის მექანიზაციას. ისე უნდა დავაყენოთ საქმე, ამბობდა იგი, რომ მუშას შრომა შევუმსუბუქოთ, მანქანას დავაკისროთ მძიმე ფიზიკური მუშაობა, ადამიანს კი დავუტოვოთ მხოლოდ მანქანის მუშაობის რეგულირება, ამავე დროს, ავამაღლოთ შრომის საერთო ნაყოფიერება.

„ყველგან მეტი მანქანა უნდა შემოვიღოთ, — წერდა ლენინი — გადავიდეთ მანქანური ტექნიკის რაც შეიძლება ფართოდ გამოყენებაზე“.

1920 წლის 4 თებერვალს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომამ, ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილა საკითხი ელექტროსახნავი იარაღებისა და ძრავების წარმოების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ.

1921 წლის 22 ოქტომბერს ვ. ი. ლენინმა ინახულა მოსკოვის უმაღლესი ზოოტექნიკური ინსტიტუტის სასწავლო-საცდელი მეურნეობა „ბუტურსკის ხუტორი“ (ამჟამად მცენარეთა დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოსკოვის საცდელი სადგური) და დაესწრო პირველი საბჭოთა ელექტროგუთნის გამოცდას. იგი ინსტიტუტს ეწვია დღის მეორე ნახევარში, ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად. გამოსაცდელ მინდორზე უკვე შეკრებილნი იყვნენ ინსტიტუტის მუშები და სტუდენტები.

საყვარელ ბელადს შეხვედრისას მუშებმა შემდეგი შინაარსის წერილი წაუკითხეს: „მივესალმებით ჩვენს ბელადს, ჩვენი ოფლით მორწყულ მიწაზე და მასთან ერთად გამოვთქვამთ მხურვალე სურვილს, რომ მავთულების ქსელმა, რომელსაც მოაქვს მუშებისა და გლეხებისათვის უდიდესი სიკეთე და ბედნიერება, დაჰფაროს მთელი მუშურ-გლეხური რუსეთი“...

შეუდგნენ ელექტროხვნას.

ვ. ი. ლენინი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს მუშაობას, ეკითხებოდა ინსტიტუტის თანამშრომლებს სხვადასხვა დეტალების შესახებ, მიჰყვებოდა ხნულის კვალს, ამოწმებდა მის სიღრმეს. იძლეოდა საყურადღებო რჩევა-დარიგებებს.

ეს ელექტროგუთანი იყო პირველი მერცხალი, წინამორბედი იმ ელექტროტრაქტორებისა და ელექტროკომბაინებისა, რომელთა სამეურნეო გამოცდა საბჭოთა კავშირში 1949 წლიდან დაიწყო. დადებითი შედეგები მოიტანა მარცვლეულის ასაღებად გათვალისწინებული თვითმავალი კომბაინის ელექტროფიკაციის ცდებმაც.

...ელექტროგუთნის გამოცდის შემდეგ ლენინი ესაუბრა მუშებს, დაინტერესდა მათი ყოფაცხოვრებით, შემდეგ კი გაეცნო ბაზის მეურნეობას.

ვ. ი. ლენინმა გამოთქვა აზრი, რომ ელექტროხვნა უფრო ეფექტური იქნება მსხვილ მეურნეობაში.

მთელი ამ ხნის მანძილზე ბელადის ირგვლივ ტრიალებდა პატარა ბიჭი პეტია. ტანმორჩილობისა და საოცარი მოქნილობის გამო მას „ზღარბს“ ეძახდნენ. ვ. ი. ლენინმა ყურადღება მიაქცია ცნობისმოყვარე ბავშვს, ხელში აიყვანა და მიუალერსა.

ლენინმა ჰკითხა ბავშვს, ჰყავს თუ არა მას მშობლები. პეტიამ უპასუხა, რომ მამა მოუკვდა, დედა ფერმაში მუშაობს მწველავად, თვითონ კი სწავლობს და თან დედას ეხმარება მუშაობაში — მწყემსავს ხბორებს. ლენინმა ბიჭუნა შეაქო და ფერმისაკენ მიმავალმა თან გაიყოლია.

ვ. ი. ლენინი გაახარა მერძევეობის ფერმაში დანერგილმა მაღალმა კულტურამ, განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა იმით, რომ მთელი მისი პროდუქცია იგზავნებოდა საბავშვო ბაგებსა და საავადმყოფოებში. მან გამოთქვა სურვილი, რომ რაც შეიძლება მეტი შექმნილიყო ასეთი ფერმები ქალაქის ირგვლივ.

მთელი დაბის მოსახლეობა აცილებდა ძვირფას სტუმრებს. წასვლის წინ ლენინს თხოვეს, რომ მათთან სურათი გადაეღო. ის სიამოვნებით დათანხმდა. ვ. ი. ლენინის გვერდით, ელექტროგუთანთან, დადგა პეტია. მუშებსა და სტუდენტებთან გამომშვიდობებისას ლენინმა უსურვა მათ ახალი წარმატებები მუშაობასა და სწავლაში.

რამდენიმე დღის შემდეგ დაბაში მოვიდა ამანათი წარწერით „ბიჭუნა პეტიასათვის“. ამანათში აღმოჩნდა წიგნები და სხვა საჩუქრები, რომლებიც ლენინს პეტიასათვის გამოეგზავნა.

ამ წიგნებით პეტია სწავლობდა კითხვას და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მათ. სამამულო ომის დროს პეტრე მელნიკოვი ფრონტზე ხშირად იგონებდა ვ. ი. ლენინთან თავის შეხვედრას. ეს მოგონებები აღაფრთოვანებდა მებრძოლებს, აღვივებდა მათში ახალ ძალებსა და ენერგიას სამშობლოს დასაცავად.

შალვა გოგიძე

## ზღვა და ცხოვრება

### თეიმურაზ ჯანგულაშვილი

შავ ზღვას გემივით ენდო ათონი,
ცაში ისროლა მთათა ანძები,
ზღვაში აგვისტოს ენთო ცხრა თონე,
წყალში მზე იდგა მაღალ კანჭებით,
უბეს ვივსებდი ოქროს კენჭებით
და მკერდზე ტალღა გადამდიოდა.

მე გულს ვკითხავდი: სადამდიო, და
მეტყოდა: ქვეყნის დასასრულამდი!
შევები მშფოთვარ ტალღებს გულადი
და იმედიანს ასე მეგონა
ოკეანესაც გადავცურავდი.

დროის ტალღებსაც ასე შევები,
მიჯრით მიეწყვნენ დღეებს დღეები
და ნაფოტივით დავიწყე რწევა.
მე მკერდით წლების სიმძიმეს ვწონავ
და აი, ორმოც ზაფხულსა ვკონავ,
ვით ორმოც ყვავილს მაგნოლიისას
და ჰა, შუა ზღვის ტალღაზე ვწევარ.

ზღვა თავით მიდევს,
ღვივის იისფრად
ცა ჩემს თვალებში გამომწყვდეული
და ვარსკვლავების ქვიშასა ვზიდავ:
მარადიული ზღვითა და მზითა
სავსეა მიწა — ჩემი სხეული.

მიწა ვარ, მშვიდად ავახამხამებ
ტელეანძების მაღალ წამწამებს,
ქარხნის საყვირით შევბღავი ზეცას,
მზეს ზვრით და ბაღით ვეკეკლუცები,
ვარსკვლავეთს ლექსის რვეულად ვკეცავ
და ჩინჩხლებს ჰყრიან ლურჯი ფურცლები.
საოცრებათა დროშა გაშლილი
მაღალ მთვარეზე მაქვს ასატანი,
მიწა ვარ, მკერდი მაქვს გადახსნილი
და სამზეოზე ამაქვს მადანი.

მიწა ვარ, მთები ამიტყორცნია
მწვანე ველების მეხამრიდებად
და ზღვიდან ზღვამდე როგორც ოცნება
ცისარტყელები გავდე ხიდებად.

მარადიული მზითა და ზღვითა
სავსეა ჩემი მძლავრი სხეული,
მე გულით მიწის სიმძიმეს ვზიდავ,
ცა თვალებში მყავს გამომწყვდეული.
ცხოვრების ტალღებს მივარღვევ ბრძოლით,
ამ გზებზე ვძლიე ბევრი ქარები,
ნეტავ, შუაზღვის ტალღებზე მწოლი
ნაპირზე გასვლას რად ვეჩქარები?..

ნუ შემომწყრებით, გულო და ღონევ,
რომ არ მაქვს თქვენი ყადრი და ხათრი,
მე ჯერ სულ ორმოც ზაფხულსა ვკონავ,
ორმოც ღერ ყვავილს — წამში რომ დათვლი.

მივცურავ უკან მოუხედავად,
მზეზე ორთქლდება ჭავლი და ქაფი,
რად ესწრაფება კაცი, ნეტავი,
თვისი სიცოცხლის მეორე ნაპირს...
არა, ნუ ფიქრობ იმ საღამოზე, —
შენ გახველ დილის ნავსადგურიდან,
უნდა სიცოცხლის ხმები გამოსცე
მუდამ მღელვარე შენი გულიდან.

ლაღად გასცურე! ზღვაში ათონი
შესულა მთათა მწვანე ანძებით,
მზემ გაახურა ცაში ცხრა თონე
და წყალში ჩადგა მაღალ კანჭებით.
შენს ღრმა თვალებში გაჩაღებული
ხვალის დღე იწყებს გაცისკროვნებას.
გასცურე! ზღვაა ატალღებული
ყველა ნამდვილი კაცის ცხოვრება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო თ. არჩვაძისა

ლადო სულაბერიძე

▲ იჯევანი

# სტუმრად [illegible]

## იჯევანი — პირველი მასპინძელი

1960 წელს იჯევანში ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა; პირველად საქართველოს დელეგაციასთან შეხვედრა მოაწყო ამ უნივერსიტეტმა. იჯევანის ყველა მცხოვრებისა და საქართველოს დელეგაციის წევრთა ხსოვნიდან არასოდეს წაიშლება ამ მხურვალე და მართლაც ძმური შეხვედრის სურათები.

მერე აზერბაიჯანის და სხვა რესპუბლიკების დელეგაციებიც ალტაცებულნი გაისტუმრეს აქედან.

ახლა კი იჯევანელებმა გაიგეს თუ არა, თბილისში ტაჯიკების დელეგაცია იმყოფება სტუმრადო, სასწრაფოდ კაცი გამოგზავნეს და თავისთან მიიწვიეს.

ტაჯიკებმა გულით მოილხინეს ქართულ მიწაზე, სადაც მათ მასპინძლებმა სახლის კარიც გაუღეს და გულიც გადაუშალეს. შემდეგ, ქართველმა მასპინძლებმა სტუმრები გულთბილად გააცილეს იჯევანისაკენ.

სტუმრები მოხიბლა სამი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაჭიმულმა მშვენიერმა გზამ.

იჯევანის მოსახლეობა ფეხზე წამოშლილი დახვდა სტუმრებს.

იჯევანი, ეს პატარა ქალაქი პირველი რაიონული ცენტრია სომხეთის ტერიტორიაზე, აზერბაიჯანის საზღვართან. ის პირველი მასპინძელია ამ ფართო გზით სომხეთში შემოსული სტუმრებისა.

ეს ის იჯევანია, საიდანაც 1920 წელს სომხეთის რევკომმა რევოლუციის ბელადს ლენინს პირველი დეპეშით აცნობა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ტელეგრაფის ის აპარატი, რომლითაც ის დეპეშა მოსკოვს გადაეცა, ახლა იჯევანის მუზეუმში ინახება.

მას მერე, ყოველ გაზაფხულს, მრავალი მილოცვისა და კეთილი სურვილის დეპეშა იგზავნება მეგობრებთან იჯევანის ტელეგრაფიდან, მრავალსაც ღებულობენ აქ, მაგრამ ის დეპეშა პირველი გაზაფხულის მერცხალივით აფრინდა მაშინ სომხეთის მიწიდან და იჯევანელებს ეამაყებათ ეს.

## ცეკვა ხალიჩაზე

სტუმრების მანქანები მთის ძირში მზორგავ ალსტევის ბოგირს მიადგნენ. გულლიად, გულთბილად შეეგებნენ მათ იჯევანის მკვიდრნი.

მეორე დღეს, შუადღისას სტუმრები იჯევანის ხალიჩების საქსოვ კომბინატს ეწვივნენ.

ახალგაზრდა სტუმარმა ქალიშვილმა მუხარამ მახრამოვამ გრძელი და ელასტიური თითები ისე გადაუსვა დაზგაზე აჭიმულ ხალიჩას, რომ იქვე მდგარ შავთვალებიან და შავულვაშიან ყმაწვილს უცებ მოეჩვენა, თითქოს ხალიჩის ლამაზ ხატოვანებას მეტი ეშხი მიეცა, თითქოს ამ თითების ფერი და მოხაზულობა აკლდა ხალიჩის მრავალფეროვანებას.

მუხარამმა იგრძნო ჭაბუკის მასზე მიშტერებული ფიქრიანი მზერა, თვალები ელვასავით მიანათა მას და გაუღიმა: ჭაბუკი შეტოკდა. მუხარამს თავაზიანად ხელი გაუწოდა.

— მე ვარდემი მქვია, — ტაჯიკურად უთხრა ბიჭმა გოგონას.

მუხარამს გაუკვირდა, მის მშობლიურ ენაზე რომ გაესაუბრა უცნობი ჭაბუკი. ჭაბუკი თითქოს მიუხვდა ამას და შეკითხვამდე თვითონვე დაასწრო პასუხი:

— მე დუშანბეში ვიყავი ორი წელი, — მერე თითქოს მხოლოდ გოგონასათვის გასაგონად წაიჩურჩულა ვარდემმა, — ბევრი კარგი გოგონაა დუშანბეში, მაგრამ შენისთანა არც იქ და არც სხვაგან არავინ მინახავს, სახელად რა გქვია?

ქალიშვილი წამით დაიბნა, მერე წყნარად უპასუხა:

— მუხარამ.

— მუხარამ, — გაიმეორა ჭაბუკმა.

ის იყო შესვენების ზარის ხმა გაისმა კიდეც და ამ ხმამ სტუმრებიცა და მასპინძლებიც საამქროს ერთი კუთხისაკენ მიიზიდა. იქ, სახელდახელოდ, კედლებზე ფართო სხვადასხვანაირი ხალიჩები ჩამოეკიდათ, ძირსაც ხალიჩა გაეფინათ.

აი, გამოიჭრა ხალიჩაზე მუხარამი და მომაჯადოებლად ცეკვავს. მაღალ დაზგებზე წამომჯდარ და ძირს ფეხისწვერებზე შემდგარ ჭაბუკებს თვალები გაუფართოვდათ.

მუხარამი გრძნობს იმ ჭაბუკის არწივულ მზერას და თანდათან ცეცხლი ემატება ცეკვაში. ბოლოს ხალიჩის შუა შედგა მუხარამი, მაღლა აშვერილი მკლავები ვაზივით მიგრიხ-მოგრიხა, ნელ-ნელა ძირს ჩამოუშვა, ჩაიჩოქა და გადაჯვარადინებული ხელების თითები ხალიჩას როცა შეახო, თავიც ენძელასავით ქვე დახარა. შავი წვრილი ნაწნავები დაეყარა ხალიჩას.

— ბის! ბის! — იგრიალა ტაშმა.

საღამოს იჯევანის კულტურის სახლში მოუწყვეს სტუმრებს შეხვედრა. დიდი და ლამაზი კულტურის სახლი მასპინძლებით აივსო.

ვარდემი წინა რიგებში მოექცა.

მეგობრობის უნივერსიტეტის სალექციო შეკრება გაიხსნა და მოსკდა ცეცხლიანი სიტყვები. სტუმრების წარმომადგენელმა ტაჯიკეთის და ტაჯიკი ხალხის საქმიანობა გააცნო მსმენელებს. პიონერებმა ყვავილების თაიგულები და წითელი ყელსახვევები შემოაფრიალეს. ერთი-ერთმანეთს ცვლიან ტრიბუნასთან სტუმრები და იჯევანის მშრომელები.

მშვიდობა და მეგობრობა, — ამ ორი ნიშანსვეტის ელვარებითა და სითბოთი აივსო სცენა და ხალხით გაჭედილი დარბაზი.

ფართო სცენაზე უფრო მომხიბლავად იცეკვა მუხარამმა.

კონცერტი დამთავრდა თუ არა, ვარდემი გარეთ გამოიჭრა, კულტურის სახლის წინ ბუჩქებთან აისვეტა. როცა ხალხით შემოჯარული სტუმრებიც გამოვიდნენ, ვარდემმა მუხარამი მოკრძალებულად გაინაპირა.

— მუხარამ, გინდა ისეთი ხალიჩა მოვქსოვო, რომ დედამიწაზე მისდაგვარი არა იყოს რა?

მუხარამმა წინ გადმოყრილი ნაწნავები მხრებზე გადაიყარა და ჭაბუკს ნუშის თვალები შეანათა.

— მინდა, — ჩიტივით ჩაიჭიკჭიკა გოგონამ.

— ჰოდა, მოვქსოვ, მუხარამ, მოვქსოვ და შენ ფერხთით გაგიფენ, რომ ზედ დაუღალავად იცეკვო ყვავილებისა და სიყვარულის ცეკვები.

## მოულოდნელი შეხვედრები

მე და ჩემი მეგობარი, თბილისელი ფოტოკორესპონდენტი იჯევანში ერევნისაკენ მიმავალ ავტობუსში ჩავსხედით. მაღალ მთებზე ხვეულად აჭრილ გზას შეჰყვა ავტობუსი. ცოტა ხნის მერე მზეზე თოვლიანმა მთებმა იელვეს.

უღელტეხილი გადავიარეთ და სევანის წარმტაცი სანახაობა გადაიშალა თვალწინ. თოვლიანი მწვერვალები ზღაპრული მშვენებით ირეკლებიან სევანის ანკარა ზედაპირზე. ნიავიც კი არ არხევს ტბაში თავლაღმა ჩაკიდებულ მთების სილუეტებს.

ვარდისფერი ტუფის დიდებულებით შემოგვხვდა ერევანი.

სასტუმროს ვესტიბულში ვდგავართ საღამოხანს და ვმასლაათობთ. უცებ



ცეკვავს მუხარამი.

თეთრბაფთებიანი გოგონები გამოჩნდნენ მუსიკალური საკრავებით ხელში. თვალები გამიშტერდა. სიზმარია თუ ცხადი?! ეს ხომ გვანცაა, ჩემი გვანცა!

— გვანცა! — ძახილით გავემართე ბავშვისაკენ.

ბავშვმა შემომხედა და ვიოლინოთი ხელში ჩემსკენ გამოექანა.

— ბიძია! — მომვარდა და ჩამეხვია.

ამ დროს დედამისიც გამოჩნდა და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ასე მოულოდნელად რომ შევხვდით ერთმანეთს ერევანში.

ერევნის მუსიკალურ სკოლას მოუწვევია თბილისის მუსიკალური სკოლა. გუშინ უჩვენებიათ ერთმანეთისთვის თავიანთი კონცერტები. ახლა ერევნის ფილარმონიის დარბაზში გამოდიან საჯაროდ მეგობრული სიყვარულით აღგზნებული სომეხი და ქართველი ნორჩი მუსიკოსები.

ერევნელი მაყურებლები აღფრთოვანებით შეხვდნენ ფილარმონიის სცენაზე თბილისელი ნიჭიერი მუსიკოსი ბავშვების გამოსვლას.

დილით მე და ჩემი მეგობარი ოქტომბრიანისაკენ გავემართეთ.

ეჩმიაძინში ავტობუსი გაჩერდა და შემოვიდა ერთი ახალგაზრდა კაცი. ჩვენს გვერდით, მეორე მხარეს დაჯდა. ჩვენს ქართულ საუბარს ყურადღება მიაქცია და როცა ეჩმიაძინის უძველეს საყდრებს გავცილდით, ახალმა თანამგზავრმა გვკითხა:

— ქართველებიბრძანდებით?

— დიახ, ქართველები ვართ, — მივუგეთ ჩვენ.

— ნატანებიდან ხომ არა ხართ? — ისევ გვკითხა მან.

— არა, თბილისიდან გახლავართ.

ჩვენმა თანამგზავრმა გაგვაცნო თავისი თავი.

## ოცნება შოთაზე

ჟორა გრიგორიანი სოფელ ნალბანდიანის მკვიდრია. ეს ის სოფელია ოქტომბერიანის რაიონში, რომლის კოლმეურნეებს ოცდახუთი წელია მეგობრული შეჯიბრება აქვთ გურიის სოფელ ნატანების კოლმეურნეებთან. სულ უფრო და უფრო მტკიცდება ეს მეგობრობა. ხშირად ჩადიან ერთმანეთთან და ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებენ. ნატანების კოლმეურნეთა დიდი კლუბი ვარდისფერი ტუფით არის აშენებული. ნალბანდიანელმა კოლმეურნეებმა აქედან გაუგზავნეს მათ ორმოცდაათი ვაგონი ტუფი. ხშირად შემოგრიალდებიან ხოლმე ნალბანდიანში საზეიმოდ მორთული მანქანები, ნატანებელთა ციტრუსებითა და სხვა საჩუქრებით დატვირთულნი.

ჟორა ხუთი წლისა იყო მაშინ, როცა ამ მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი. ბავშვობაში სულ ნატანები ესმოდა. ისე წამოიზარდა და დაჭაბუკდა, ნალბანდიანთან ერთად ნატანებიც მშობლიურ კუთხესავით შეესისხლხორცა მის არსებას.

ამ ხუთი წლის წინ, ჯარში სამხედრო სავალდებულო სამსახურში ყოფნისას, ერთი ქართველი ბიჭი გაიცნო, შოთა წითლიძე. საყარაულო განწესებაში ერთად მოხვდნენ. ჟორამ შავთვალწარბა, ულვაშებიანი ბიჭი რომ დაინახა, ჰკითხა:

— სადაური ხარ ძმობილო?

— ქართველი ვარ, — ღიმილით უპასუხა ბიჭმა.

— რა გვარი ხარ? — კიდევ ჰკითხა ჟორამ.

— წითლიძე, შოთა მქვია.

— ნატანებიდან ხომ არა ხარ, ბიჭო?! ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი წითლიძე შენი ნათესავი ხომ არ არის?

— არა, მე თბილისიდან ვარ.

ასე გაიცნეს ერთმანეთი ჟორამ და შოთამ. საგუშაგოდან რომ განთავისუფლდნენ, იმდენი ეხვეწა ჟორა მეთაურს, რომ ბოლოს ერთ ოცეულში ჩარიცხეს ორივე და ძმებივით ცხოვრობდნენ ჯარისკაცები.

ახლა ჟორა მშობლიურ სოფელში მევენახეობის ბრიგადის მერგოლეურია.

— ახლა მე ჩემს წარმოდგენაში მეგობრულად ვეჯიბრები ნატანებელ შოთას. არ ვიცი, ვინ არის ის, მაგრამ მე მინდა მას ჩემი ჯარისკაცი მეგობრის მსგავსი თვალები და თმა ჰქონდეს და ძალიან გამიხარდება, მასაც შოთა ერქვას.

დაამთავრა თუ არა ჟორამ ამბის მოყოლა, ავტობუსი ოქტომბერიანში შევიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტყუპი დები

ოქტომბერიანის რაიონული გაზეთის რედაქციაში მაშინ შევედით, როცა რედაქტორის მაგიდას რამდენიმე თანამშრომელი გარს შემორტყმოდა და გაცხოველებული სჯა-ბაასი ჰქონდათ. რედაქტორი კართან შემოგვეგება და თანამშრომლები გაგვაცნო.

— კარგ დროს გვესტუმრეთ, — ამბობს რედაქტორი ალექსანდრე ამბარცუმიანი, — მახარაძის და ჩვენი რაიონული გაზეთები ვამზადებთ გაცვლით გვერდებს ნალბანდიანისა და ნატანების კოლმეურნეობების მეოცდაექვსე წლის ვალდებულებებისა და მეგობრობის შესახებ. სწორედ ახლა მოვამთავრეთ ჩვენი გვერდის საბოლოო რედაქცია.

გვერდში მოთავსებული იქნება ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარის გივი წითლიძის და ნალბანდიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვაზგენ ეფრემიანის წერილები. ისინი სწერენ ერთმანეთს თავიანთი მიღწევების შესახებ და ღებულობენ ახალ ვალდებულებებს შეჯიბრებისათვის. გვერდში მოთავსებული იქნება აგრეთვე ორივე კოლმეურნეობის მოწინავეთა მეგობრული სიყვარულით აღსავსე წერილები და მათი ფოტოსურათები.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ორი გოგონას სურათმა, რომლებიც ერთი მეორეს მიჩერებიან. საოცრად გვანან ბაფთიანი გოგონები ერთმანეთს.

— ესენი ნალბანდიანელი ტყუპი დები არიან, ჰერუშ და წოვიკ გრიგორიანები, — გვეუბნება რედაქტორი, — ჯერჯერობით სიმდიდრით ნალბანდიანის კოლმეურნეობა არა ჰგავს ნატანების კოლმეურნეობას, მაგრამ ყოველწლიურად ისეთი წარმატებები აქვთ ნალბანდიანელებს, რომ ჩვენ იმედი გვაქვს ეს ორი კოლმეურნეობა მეგობრულ შეჯიბრებაში ამ ტყუპებივით დაემსგავსებიან ერთმანეთს ყოველგვარ საქმეში.

მერე ცისფერი ვოლგით ნალბანდიანისაკენ გავეშურეთ. მანქანა არარატის ველზე გაიჭრა. თოვლით დაფარული კონუსისმაგვარი ვეება არარატის მთა თითქოს სულ ერთი მკლავის გაწვდენაზეა აქედან, თვალს იტაცებენ ცის ლურჯ ფონზე მკვეთრად გამოხატული მისი კონტურები.

მანქანის რადიოში მუსიკის ხმა შეწყდა და ცოტა ხნის შემდეგ მე ყური მოვკარი გრიშაშვილის გვარს. რედაქტორმა მაშინვე გვითხრა:



მუხარამი თმას თავისებურად უწნავს სომეხ გოგონას.

— ერევნის რადიო იწყებს გადმოცემას, მიძღვნილს იოსებ გრიშაშვილის დაბადებიდან სამოცდათხუთმეტი წლისთავისადმი.

გაისმის საქართველოს სახალხო პოეტის ლექსები სომხურ ენაზე. ჩვენთვის მეტად სასიამოვნოა ეს: არარატის მშვენიერ ველზე ვოლგით მივქრით და ვისმენთ ქართველი ხალხის საყვარელი პოეტის ლექსებს.

ამ განწყობილებით შევედით სოფელ ნალბანდიანში.

მასპინძლები აღტაცებულნი შემოგვეგებნენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვაზგენ ეფრემიანი აუცილებელი საქმის გამო ერევანში წასულა. მაგრამ უიმისობა მასპინძლებს არ დატყობიათ. გავიცანით ერთმანეთი და გაცნობიდან გამომშვიდობებამდე აქაურებს ნატანების ხსენება არ შეუწყვეტიათ.

პირველად ტყუპი დების სახლ-კარს მივადექით.

ორღობეში მანქანა გაჩერდა და ჩვენ წავადექით ახალი სახლის ბალავარს. მკლავებდაკარწახებული გოგო-ბიჭები და რამდენიმე ხელოსანი საძირკველზე კედლების დაშენებას შედგომიან.

— გაიცანით, — მოგვმართა აგრონომმა თადეოზ მკრტიჩიანმა და თეთრპერანგისამარა, ნიჩბიანი, ლამაზი შესახედაობის ახოვანი კაცი წარმოგვიდგინა, — ეს ტყუპების მამა გახლავთ, მისაკ გრიგორიანი.

მისაკმა ნიჩაბი იქვე მიაგდო და სახელოდაკაპიწებული, მზეში გარუჯული მკლავი ჩვენსკენ გამოიშვირა. ხელი ჩამოვართვით თუ არა, ჯანღონით სავსე ქალი მოგვიახლოვდა და ალერსიანად მოგვმართა:

— მობრძანდით, შინ შემობრძანდით, ოჯახი დაგვილოცეთ!

— ეს კი მისაკის მეუღლეა, — გაგვაცნო დიასახლისი ისევ თადეოზმა, — აიასტანი.

მისაკი და აიასტანი ორმოცდაორი წლისანი არიან. მისაკი საღამოს საშუალო სკოლის დირექტორია. მათ ათი შვილი ჰყოლიათ, მათ შორის ორი ტყუპი გოგონა. აგერ ისინიც, ჰერუშ და წოვიკ. ძმებთან ერთად გვერდში ამოდგომიან მშობლებს და ამ დიდი ოჯახის ყველა წევრი საკუთარი მარჯვენით აშენებს ახლა ვარდისფერი ტუფით ახალ სახლს.

ბიჭები და ტყუპები უკვე კოლმეურნეობაში მუშაობენ. თექვსმეტი წლის ჰერუშ და წოვიკ მებოსტნეობის ბრიგადის მოწინავე წევრები არიან, ამავე დროს, საღამოს სკოლაში სწავლობენ.

## მეგობრობის ბაღი

სოფლის განაპირას, ალვების ხეივნის გვერდით, სამ ჰექტარ ფართობზე გაშენებულია ვენახი, რომლის ჩაყრაშიც მონაწილეობა მიუღიათ ნატანებელ კოლმეურნეებსაც. ვენახის წინ, გზის კიდეზე, ნალბანდიანელებს ვარდისფერი ტუფის ლამაზი ობელისკი დაუდგამთ, რომელსაც აწერია „მეგობრობის ბაღი".

მზრუნველად უვლიან ვენახს ნალბანდიანელები და ყოველ შემოდგომაზე იქ დაკრეფილ ყურძენს ნატანებელ მეგობრებს უგზავნიან.

ყოველი ძირი ვაზი ქართველი მეგობრების სახელზეა დარგული და როცა მათ ხელს შეახებენ, ასე ჰგონიათ ხელს ართმევენ ნატანებელ მეგობრებს.

ნატანებელ კოლმეურნეებსაც აქვთ ნალბანდიანელთა სახელზე გაშენებული ციტრუსების ბაღი. მასაც „მეგობრობის ბაღი" ჰქვია და იქ მოწეულ ციტრუსის ნაყოფს აქაურ მეგობრებს უგზავნიან.

მეგობრობის ბაღთან მასპინძლებმა ოჯახში შეგვიპატიჟეს.

გულითადმა სუფრამ და მჭევრმეტყველმა თამადამ ლაპარაკის ეშხი უფრო გაგვიღვივა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა და სტუმრები და მასპინძლები უფრო გავუშინაურდით ერთმანეთს.

— მე არასოდეს არ ვყოფილვარ ნატანებში, — თქვა ნატანებელთა სადღეგრძელოში აგრონომმა თადეოზმა, — მაგრამ აქ იმდენი მესმის ქართველი მეგობრების შესახებ, რომ მე თვალნათლივ ვხედავ ნატანების ქუჩებს და მის მცხოვრებლებს. ქართველს ვისმეს რომ შევხვდები, ვეკითხები, ნატანებელი ხომ არ არის. ალბათ წელს მაინც მოვინახულებ ჩვენს მეგობრებს.

სუფრასთან ჩვენი მასპინძლის, შაგინ კაზარიანის გოგონა მოვიდა. გოგონამ გაიგო თუ არა, ჩვენ ქართველები ვიყავით, მაშინვე მეორე ოთახში გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ კონვერტი გადმომცა. კონვერტში ჩაკეცილი ქაღალდი გავშალე და ხმამაღლა ჩავიკითხე ნატანებელი გოგონას წერილი, ჩვენი მასპინძლის გოგონა ანუშისადმი:

„ახლა ჩვენთან მშვენიერი მზიანი ამინდებია. მაგრამ ამას წინათ მოულოდნელად თოვლი მოვიდა. ციტრუსები არ იყო დაკრეფილი და იცი, რა ლამაზად გამოიყურებოდა ჩვენი „მეგობრობის ბაღი?!" მწიფე მანდარინები თოვლს ქვეშ გამოიყურებოდნენ, როგორც საახალწლო ნაძვის ხეზე სათამაშოები".

— გაუმარჯოს თაობიდან თაობაში განუწყვეტლივ მჩქეფარე მეგობრობას!

— სასმისი ამართა თამადამ.

— გაუმარჯოს ნატანებს!

— გაუმარჯოს ნალბანდიანს!

— გაუმარჯოს მეგობრობის ბაღებს!

ურთიერთ პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა თავს იჩენს ყველგან, სადაც უნდა შეხვდნენ ჩვენი მოძმე ერების შვილები ერთი-მეორეს. ეს სიყვარული ძვალ-რბილში აქვს ყველა ხალხს, რომლებიც დიდ საბჭოთა ოჯახში არიან გაერთიანებულნი.



ტყუპი დები წოვიკ და ჰერუშ გრიგორიანები.



უკრავს თბილისელი მოსწავლე სომხეთის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. დირიჟორი ჯემალ გოკიელი.



მისაკ გრიგორიანის ოჯახი იშენებს ახალ სახლს.



# ქალი ჭირსა შიგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი რევოლუციის წლებში, ქართველმა ქალებმა თავიანთ ძმებთან, ქმრებთან და შვილებთან ერთად, არა ერთი სასახელო ფურცელი ჩაწერეს განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. ისინი იჩენდნენ უჩვეულო ნებისყოფას და წარბს არ იხრიდნენ მტერთან ბრძოლაში. ამ ამბებზე მოგვითხრობს ილია მელქაძე თავის ვრცელ ნარკვევში, რომელიც მთლიანად აგებულია დოკუმენტურ მასალებზე. ქვემოთ ვბეჭდავთ ერთ თავს ამ ნაწარმოებიდან.

გუგდიდელი წითელრაზმელები ისე გაუჩინარდნენ, რომ პოლიციელებმა მათ კვალსაც ვერ მიაგნეს.

მაზრის უფროსი კეგამოვი ცოფს ჰყრიდა. რა არ სცადა, რა ხერხს არ მიმართა მუხურის წითელრაზმელთა მეთაურის თოლორდავას დასატუსაღებლად, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია.

საგონებელში ჩავარდნილმა მაზრის უფროსმა იფიქრა: წითელრაზმელებს ეტყობა კარგი დაზვერვა აქვთ; დღისით ვერაფერი გაგვიწყვია, სჯობია, ისევ ღამით დავესხათ თავსო. მაგრამ როცა სასურველი შედეგი არც ღამით თავდასხმას მოჰყვა, კეგამოვს გულზე სევდა შემოაწვა.

თებერვლის თოვლიანი დილა იყო. ბარდნიდა. მაზრის უფროსი ბუხართან იჯდა და ცეცხლს უაზროდ მიშტერებოდა. ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. მაზრის უფროსი სწრაფად წამოდგა, კარი გააღო და, წალენჯიხის ბოქაული შენგელია რომ დაინახა, სიხარულით სახე გაუბრწყინდა.

— მობრძანდი, ბოქაულო, მობრძანდი! ალბათ კარგის მახარობელი ხარ...

— მოგახსენებთ, ბატონო... როგორც იქნა, თოლორდავას კვალს მივაგენი, სოფელ ხაბუმეში იმალება თურმე.

— ოი, შენ აგაშენა ღმერთმა! ის ავაზაკი გამაბაწრინე და საჩუქარი ჩემზე იყოს.

— საჩუქარი რა საკადრისია, მაგრამ უფულოდ მისი დაჭერა გაძნელდება. დანამდვილებით გავიგე, რომ ის ენდობა მარტო ერთ ქალს. ის ქალი მათი მომხრეა, ადრე კრებებზეც გამოდიოდა.

— ვინ ქალია?

— ნუნუ ჯგერენაია გახლავთ, ბატონო. მისი ქმარი ძუკუ გახარია ტყეშია გასული, ეს ქალიც ისეთი ალქაჯია, ძუძუმწოვარი ბავშვი რომ არ ჰყავდეს, რაზმელებთან ერთად ტყეში გაიხიზნებოდა, — უპასუხა ბოქაულმა.

— როგორ გინდა მაგ ქალს მიუდგე?

— ხომ იცით ბატონო, რა ჯადო აქვს ოქროს: იგი ყველას თვალს უბრმავებს, — დინჯად შეაპარა ბოქაულმა.

— ჰო, მაგრამ, ვთქვათ, არ გაჭრა მაგ ჯადომ?

— ჯერ ამას ვცდი. თუ არაფერი გამოვიდა, მაშინ ძალას ვიხმარ. ამიტომ კარგს იზამთ, თუ პარასკევ დილით სამ კაზაკსა და ორ ჟანდარმს გამოგზავნით ჩემთან. გაგებული მაქვს, რომ შინ მარტო ნუნუ იქნება. სხვები ბაზრობაზე წავლენ.

— აჰა წაიღე, — უთხრა კეგამოვმა, და ოქროთი სავსე ქისა გაუწოდა.

ბოქაულმა სწრაფად გამოართვა ქისა, ჯიბეში ჩაიდო, უფროსს თავი დაუკრა და წავიდა.

* * *

ცხენოსნები ისე შევიდნენ სოფელში, რომ არავის შეუმჩნევია. მარტო გახარიას შავმა ნაგაზმა ატეხა საშინელი ყეფა. ძაღლის ხმაზე ნუნუმ სამზადი ოთახის კარი გააღო და ჭიშკართან პოლიციელებს რომ მოჰკრა თვალი, ელდა ეცა, — უჰ, მარტო მაინც არ ვიყო, — გაიფიქრა, ბავშვი თავშალში გახვია და ჭიშკრისაკენ გასწია. კარი გააღო და ცხენოსნებს გზა მისცა. ეზოში შესვლისთანავე მხედრებმა ჩამოიქვეითეს, ბოქაულმა თავისი ცხენი ჟანდარმს გადასცა და ანიშნა, ყველანი განზე დამდგარიყვნენ. შემდეგ ნუნუს მიუახლოვდა და ბავშვს ალერსი დაუწყო:

— ეს რა კარგი ბავშვი გყოლია, ნუნუ, სულ შენა გგავს!

უცებ ბავშვს თავი მიანება და ნუნუს მიმართა:

— შვილო, შენ დაკვირვებული ქალი ხარ, ამ ცხოვრებისა ყველაფერი გესმის, ხომ ხედავ, ამ არეულობისაგან არაფერი არ გამოვიდა. ღმერთს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მეფე ასეთი კეთილია, ხალხს არას ერჩის, მარტო მოთავეებს ეძებს, რომ პასუხი აგებინოს. მოკლედ გეტყვი, რისთვის მოვედი აქ. დანამდვილებით გავიგე, რომ თოლორდავა ამ სოფელში იმალება; ისიც ვიცი, რომ დროდადრო შენთანაც დადის. მამაშვილურად გთხოვ მითხრა, სად იმალება. თუ ამ თხოვნას შემისრულებ, შენს ქმარს ძუკუს და ყველა რაზმელს შინ დავაბრუნებ, შენც ხელს არ გახლებ და აი, ძვირფასი განძითაც დაგასაჩუქრებ, — თქვა და ნუნუს ოქროთი სავსე ქისა გაუწოდა; ნუნუმ ქისა ფეხებთან მიუგდო ბოქაულს და ზიზღით უთხრა:

— ოქროთი გინდა მიყიდო, ბატონო ბოქაულო? არ გამოვა. ეგ თქვენ ჰყიდით ერთ ქისა ოქროზე ყველაფერს, — სინდისს, პატიოსნებას, ადამიანობას! წაიღე ეგ სისხლიანი ოქრო, გამოგადგება. მე კი გადაჭრით გეუბნები რომ არ ვიცი, სად იმალება რაზმის უფროსი, და რომ ვიცოდე კიდევაც, სიკვდილს ვარჩევდი და მაინც არ გეტყოდით!

ბოქაულმა ჯერ ოქროები აკრიფა, შემდეგ ნუნუს მიუბრუნდა და მკაცრად უთხრა:

— გონს მოდი, ნუნუ! ნუ გაჯიუტდები, თორემ სიკვდილს სანატრელს გაგიხდი.

ამ სიტყვებთან ერთად, ბოქაული ხელში სწვდა ქალს და თავშალში გამოხვეული ბავშვის წართმევა დაუპირა. პატრონი რომ განსაცდელში დაინახა, შავი ნაგაზი ფეხზე წამოიჭრა, ეძგერა ბოქაულს და კბილები მკლავში გაუყარა. ბოქაულს სიმწარისაგან ფერი ეცვალა და ბავშვს ხელი უშვა, მერე გამწარებული მიუბრუნდა ჟანდარმებს და გინება დაუწყო: რა ღმერთი გაგიწყრათ, ერთ ძაღლს ველარ მოერიენითო?

— ტყვია უნებართვოდ ვერ ვესროლეთ, ბატონო, თოფის ხმაზე ხალხი წამოიშლებოდა და...

— ჩუმათ! იმ ალქაჯს წაართვი ბავშვი და ჭასთან გაჩერდი, — უბრძანა ჟანდარმს ბოქაულმა.

ჟანდარმი მთელის ძალით ეძგერა ნუნუს და საშინელი ძალით შემოჰკრა სახეში ხელი. ქალი დაბარბაცდა და უგონოდ დაეცა. გონს რომ მოვიდა, ბავშვი ჟანდარმის ხელში შენიშნა; და ის იყო, ზარის ხმაც გაიგონა. ბოქაული შეკრთა. შეშფოთებული მივიდა ნუნუსთან და ჩახლეჩილი ხმით შეჰყვირა:

— თუ არ იტყვი სად იმალება ის ავაზაკი, ამ ბავშვს კენჭივით გადავაგდებ ჭაში!...

ამჯერად ქალმა სცადა ხვეწნა-მუდარით მოელბო გული ბოქაულისათვის, მაგრამ ვერაფერმა გაჭრა.

— სანამ ზარის ხმაზე ხალხი მოგროვდება, ბავშვს ჭაში ჩავაგდებ, — გაიმეორა ბოქაულმა მუქარით, — ამ სახლ-კარს ცეცხლს წავუკიდებ და ფერფლად ვაქცევ, შენ კი ხიშტის წვერზე წამოგაგებ.

გაოგნებული ქალი თვალს არ აშორებდა ჟანდარმის ხელების მოძრაობას.

ხალხმა გახარიას ჭიშკართან იწყო თავმოყრა. ბოქაულმა მრისხანედ შესძახა:

— ნუნუ, უკანასკნელად გაფრთხილებ, ვიდრე სამის დათვლას მოვასწრებდე, თქვი რასაც გთხოვთ, თორემ ინანებ! — და მერე ჟანდარმს მიუბრუნდა — აბა, ყური მიგდე. სამი რომ გაიგონო, ბავშვი ჭაში გადააგდე.

და ბოქაულმა ნერვიულად დაიწყო თვლა.

— ერთი...

ნუნუ ყინულივით გაცივდა: კანკალმა აიტანა... ზარი განუწყვეტლივ გუგუნებდა. ანდრია ქარჩავას მაგრად ჩაევლო ხელი თოკისათვის, დროდადრო სჭიმავდა და თავისთვის ლაპარაკობდა: — იჩქარე, ძ...უ, იჩქარე, ფათერაკისაგან იხსენი ცოლ-შვილი!

ზარის ხმაზე ძუკუ მაუზერამოწვდილი, თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა ტყიდან შინისაკენ. ბოქაული კი პაუზებით განაგრძობდა თვლას.

— ორი...

მაგრამ ნუნუს უკვე აღარაფერი ესმოდა და ვერც ვერაფერს ხედავდა, გარდა ბავშვისა. ბიჭუნა ფუნთუშა ხელებს აფათურებდა და ჭის გვიმზე ლამობდა ჩაჭიდებას. ქალი სუნთქვაშეკრული იდგა და თვალგაშტერებით მისჩერებოდა იმ ხელებს, და როგორც კი გაისმა:

— სამი! — ჟანდარმმა ბავშვი ჭაში გადააგდო.

ქალი შეტორტმანდა, საზარლად შეჰკივლა და თვითონაც ჭაში გადაეშვა.

საზარელმა წივილ-კივილმა შეძრა მთელი სოფელი, საშინელ სანახაობას წარმოადგენდა ხაბუმე. ყველა შეშლილივით მიქროდა გახარიას სახლისაკენ. ის იყო, დედაც და ბავშვიც ჭიდან ამოიღეს, ტახტზე დაასვენეს და ზეწარი გადააფარეს, რომ ძუკუც მოვარდა... მივიდა ტახტთან, ზეწარი ახადა, რამდენიმე წამის განმავლობაში უძრავად იდგა. მერე ფრთხილად დაიხარა, ჯერ ნუნუს აკოცა. ტუჩებზე ყინულის სიცივე შეიგრძნო და გააჟრჟოლა. შემდეგ მისი ტუჩები ბავშვის ტუჩებს შეეხო. კვლავ ცივი ყინული...

ძუკუმ სამზადი სახლის ბურულიდან თოფი გამოიღო და მხარზე გადიკიდა. ხალხს თვალი გადაავლო. განზე მდგომი ანდრია შენიშნა. მიუახლოვდა და წყენით უთხრა:

— რად დააგვიანე, ბიჭო, ზარის რეკვა?

— ბიძია ძუკუ, ზარს რა ხანია ვრეკავდი, — მიუგო ბიჭმა და ცრემლი მოერია.

— ის მაინც სწორად მითხარი, სად იქნებიან ახლა, ხობისწყალს ხომ არ გასცილდებოდნენ?

— რას ამბობ, ბიძია, ვერა ხედავ, როგორ მიძუნძულებენ, აბა გააყოლე თვალი იმ ბილიკს?

ძუკუმ გახედა ბილიკს და, როგორც კი თვალი მოჰკრა გაქცეულთ, გამწარებით შესძახა:

— არიქა, ცხენი!

ელვის სისწრაფით შეხტა უნაგირზე, წამით მობრუნდა, მიცვალებულებს თვალი გადაავლო და მერე დასძრა ცხენი ადგილიდან. ის იყო, ძუკუ ეზოს გასცდა, რომ შავ ულაყზე მჯდომი მისი თანამებრძოლიც გამოჩნდა. ხალხმა ერთხმად შესძახა — აბა, გასწი ჩქარა, ძუკუ მკვლელებს დაედევნა.

ახლად მოსულიც მეგობრის კვალს გაჰყვა.

ძმადშეფიცებულმა რაზმელებმა შური იძიეს მტერზე, ჟანდარმები სიცოცხლეს გამოასალმეს, ბოქაული შენგელია კი გაექცათ, ტყეს შეეფარა.

წითელრაზმელები ვიწრო ბილიკით შეყვნენ აღმართს წაბლის ტყით დაფარული მთისაკენ და მალე გაუჩინარდნენ.

ილია მელქაძე











ეროვნული ბიბლიოთეკა

# გ. თოთიბაძე

საზღვარგარეთის ჩანახატები



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მძიმე ნაბიჯები

**მედეა შაველიაშვილი**

მოთხრობა

მხატვარი ზ. ნიჟარაძე

კაცი მძიმე ნაბიჯებით უახლოვდებოდა სახლს. გზა ბუჩქნარში გადიოდა. მარტო მისი ფეხის ხმა არღვევდა ირგვლივ ჩამოწოლილ მყუდროებას. როცა რიკულებიანი აივანი გამოჩნდა, შეეცადა ღიმილი დაეწერა მანამდე მოქრუშულ სახეზე. ძალათი დაჭიმული ბაგის კუნთებზე მიხვდა, ნაძალადევი და მეტისმეტად ხელოვნური გამოვიდა ეს ვითომ სიხარული. ხელი ასწია და ისე ჩამოისვა, თითქოს ის ღიმილიანი ნიღაბი ჩამოიხსნა სახიდან.

მძიმედ შედგა ფეხი კიბეზე. საფეხურმა დაიჭრიალა, მესამე ნაბიჯი არა ჰქონდა ადგმული, როცა ოთახიდან წკრიალა ხმა და პატარა ფეხების ტყაპა-ტყუპი შემოესმა:

— მამა, მამა, მამა მოვიდა!

„ისიც ამ ადგილას სცნობდა ჩემი ფეხის ხმას“ — სახე უფრო მოუღრიჯა უადგილო მოგონებამ.

ახლა შუბლზე გადაისვა ხელი. ის მოგონება მოიშორა თითქოს. მერეღა აირბინა კიბეები, აივნის კარები ხელის კვრით შეაღო და მისკენ გამოქანებული ბავშვის პირდაპირ გაჩერდა.

ბავშვიც შედგა.

— მოდი ჩემთან, შვილო! — ორივე ხელი გაუწოდა და გაუღიმა კაცმა. ღიმილი ისევ უგემური გამოვიდა.— ჰა, გამოიქეცი, გაახარე მამა!

ბავშვი არ გაინძრა. სალოკი თითი პირში ჩაედო, სწუწნიდა და ქვეშ-ქვეშ მორცხვად იყურებოდა.

კაცმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ბავშვისაკენ.

— ჰა! — შესცინა გოგომ და ოთახში შევარდა. კაცი შეჰყვა.

ბავშვი წიგნების თაროებთან შეჩერდა. გაშლილი წიგნი სახეზე აიფარა, იქიდან გამოიხედა და სერიოზული სახით დააკვირდა მამას.

მამა მაგიდასთან მიდგმულ სკამზე ჩამოჯდა. თვალებით მიუალერსა შვილს და ხელი დაუქნია.

არც ახლა მივიდა ბავშვი. ოღონდ შეფრთხიალდა და ნათელ თვალებში სიხარულის შუქი ჩაეღვარა. ჯერ რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯი წადგა წინ. მერე უცებ აწრიალდა, სიცილით გარშემო შემოურბინა მამას. შეჰხაროდა და შორიდან ეთამაშებოდა.

კაცი ჯერ შორიახლოს იქნევდა ხელებს, ვითომ ვერ იჭერდა, მერე, უცებ შემოხვია ორივე ხელი და ზევით აიტაცა. თავი გადაუწია, ყვრიმალი დაუკოცნა და მოულოდნელად დადუნებული მკლავებით ძირს, იატაკზე დაუშვა...

კაცს მსხვილი ტუჩები ჰქონდა... დიდი ვნებებისათვის დაბადებული კაცის ტუჩები...

უცებ გამხიარულებული ბავშვი ახლა თოჯინას მივარდა.

— ნახე, ბებომ რა მიყიდა, ნახე... თუ დააწვენ, თვალებს დახუჭავს და დაიძინებს, თუ გაგაჯავრებს და სცემ, უყურე როგორ ტირის და დედას ეძახის. შეხედე როგორი მოსასხამი აქვს. — ბავშვი თოჯინის მაქმანიან მოსასხამში თვითონ ეხვეოდა და გულიანად კისკისებდა.

— ლია, რა დაგემართა, რა გაკაკანებს? გაიხადე წინსაფარი და სარეცხში ჩამიგდე.

— დედა, დედა, ნახე ვინ მოვიდა, ნახე, ნახე!... შენ რომ თქვი აღარ მოვაო, აი, თუ არ მოვიდა, აი, აი.

ქალმა ეზოში გასასვლელი კარიდან შემოიხედა. კაცი დაინახა, მაგრამ სალამი არ უთქვამს. არც კაცს წაუდუდუნია „გამარჯობა“.

ბავშვი ახლა დედას ჩაებღაუჭა მარცხენა ფეხზე და ისე გამოხედა აღტაცებული თვალებით მაგიდასთან მჯდომარეს.

— ჰა!... — ისევ შესცინა მამას. მერე მოიქრუშა, თითქოს საწვიმრად მოემზადაო, ლოყა მიადო და პაწაწინა ხელებით უფრო მაგრად ჩაეხვია დედის ფეხს.

— მოიცა, ლია, არ წამაქციო, მომეცი წინსაფარი.

— არ მოგცემ! არ მოგცემ! — გაღიზიანებული ტონით ჯიუტად იმეორებდა ბავშვი და ცრემლიანი თვალებით ახლა მამისკენ გარბოდა.

მამამ მაგიდაზე შემოსვა და დაუყვავა:

— გაიხადე, შვილო, გარეცხოს დედამ.

— არა, არ მივცემ. თუ უნდა მოვიდეს და თვითონ გამხადოს. — ორივე ხელი მაგრად მოხვია მამას კისერზე და გაკერპებული მიეკრა ზედ, — თუ ბიჭი ხარ, გამხადე, აბა, თუ გამხდი! — იწვევდა დედას.

და როცა ქალი მიუახლოვდა გასახდელად, ბავშვმა ახლა იმას მოხვია ცალი ხელი კისერზე და შეეცადა მამის სახისათვის მიეახლოვებინა დედის შუბლი.

— ჰა, ჰა, ჰა, აბა, აკოცე, აბა აკოცე, აკოცე თუ ბიჭი ხარ. — კისკისებდა ნერვიულად და გაბოროტებით.

კაცმა და ქალმა ერთდროულად გასწიეს თავები განზე...

ეს ის ქალი იყო, იმ ადგილას რომ სცნობდა კაცის ფეხის ხმას...

მერე, კარგა ხნის მერე, ის კაცი სხვა ქალს უამბობდა:

— იმ დღეს ორი სიცოცხლე გავათავე, ჯერ იყო და ბავშვის აწრიალებამ მომიკლა გული, კუთხე-კუთხე რომ დარბოდა აღტაცებული და ახლოს ვერ მოდიოდა გადაჩვეული, თუ რიდაცით შეშინებული, და მერე, როცა ხელში ავიტაცე, ის სიხარული რომ ვეღარ განვიცადე, რასაც ადრე მანიჭებდა ჩემი შავტუხა გოგო... ის ხომ ჩემთვის ყველაფერზე და ყველაზე დიდი სიხარული იყო ადრე...

იმ კაცს მსხვილი ტუჩები ჰქონდა... დიდი ვნებისათვის დაბადებული კაცის ტუჩები.

...ბავშვმა ერთდროულად გაუშვა ორივეს ხელი და მაგიდიდან ისკუპა.

— ლია, რას შვრები, ასე შეიძლება ფეხი მოიტეხო... კარგი, გაიხადე წინსაფარი, ნახე როგორაა დასვრილი. შენ ხომ ცუდი გოგო არა ხარ, ჭუჭყიანი და ტურტლიანი რომ დადიოდე.

— ვარ, ვარ, ცუდი გოგო ვარ და არ მოვიხსნი წინსაფარს. მინდა დასვრილი და დათხუპნული დავდიოდე, მინდა, მინდა. — ჭირვეულობდა ბავშვი.

და როცა დედამ მაინც მოხსნა წინსაფარი, მოულოდნელად აღრიალდა.

— ნუ მხდი, არ მინდაა... — პატარა ხელებს იქნევდა ერთდროულად და მაგრად შეკრული მუშტებით უბრაგუნებდა მამას, რომელიც ცდილობდა გულში ჩაეკრა და კოცნით დაემშვიდებინა ატირებული და გაავებული შვილი.

— მოიცა შვილო, მოიცა გენაცვალე, შენ ხომ ავი გოგო არა ხარ? წამო, ბიჭები ვნახოთ, მართლა, სად არიან ბიჭები? შენ გაუშვი თუ უნებართვოდ წავიდნენ?

— მე გავუშვიი!.. — აწითლებულ ლოყებზე დაცურებულ მარგალიტებს მამა ბაგით კრეფავდა.

— სად გაუშვი? წამო, აბა შევხედოთ, ხომ არაფერი დააშავეს...

— ფეხბურთს თამაშობენ ჩვე-ჩვენ მინდორზე. — სლოკინებდა ბავშვი.

— წამო, პირი დავიბანოთ და ვნახოთ წააგეს თუ მოიგეს. კარგი, ნუღა ტირი. დაწითლებული თვალებით ხომ ვერ წავალთ. ვინ იცის იმათ უკვე ბურთიც გაიტანეს და ტაშის დამკვრელი არავინა ჰყავთ, წამო ჩქარა, ჩქარა!

— აი, ის ახალი კაბა ჩამაცვი. — პატარა ხელებით იმშრალებდა გამოდარების გზაზე დამდგარ თვალებსა და სახეს. — ეგ არა, არც კი იცი, რომელია ახალი. აი, ის წითელი, წინწკლებიანი — კარნახობდა ნათელ შუბლიდან ღრუბელგადაყრილი მამის ნებიერა გოგო.

...მალე ასკინკილით მითამაშებდა თითქოს საგანგებოდ დაგვილ წიწვნარში და მამას აქეზებდა, დამეწიეო.

— ლია, ბიჭები კიდევ ეჩხუბებიან ერთმანეთს?

— არა, სულ აღარა ჩხუბობენ. გუშინ ჭინკა წაიქცა და მუხლი გაიტეხა. გოგიმ მაშინვე იოდი წასცხო და შეუხვია, თან ეფერებოდა და ეკითხებოდა, ხომ არა გტკივაო. ჭინკას ძალიან ეწვებოდა, მაგრამ არაო, მაინც ამბობდა, ოღონდ ბაბო ტიროდა: თქვენ მოგიკვდეთ ბაბო, როგორ ობლებივით უვლით ერთმანეთს, მამათქვენს დაუდგეს თვალიო. მამა, რად ტიროდა ბებო, რა არის ობლები, მამ? ცუდი ბავშვები არიან ობლები?

კაცს ნერწყვის ყლაპისაგან ხშირ-ხშირად აუდ-ჩაუდიოდა ხორხი და დაწყლიანებულ თვალებს გოგოს ნათელ შუბლზე ჩამოყრილ კულულებში მალავდა.

... ძილის წინ კიდევ ერთხელ გაჭირვეულდა ლია. ამჯერად უფროს ძმას მოსდო შარი: მამა ჩემია და უნებართვოდ რად მოეხვიე კისერზეო. ბიჭმა მაშინვე შეუშვა მამას ხელი და დას მიეფერა, მაგრამ არაფერმა უშველა. არც ფეხის დასაბანად წაჰყვა გოგო.

— მამამ დამბანოსო, — კიოდა. და როცა მამა-შვილი სამზარეულოში განმარტოვდნენ, მაშინღა წამოსცდა უგუნებობის ნამდვილი მიზეზი.

— ჩემთან დაიძინებ ხომ მამიკო? — გულში ჩაეკონა და სახე შიგ დამალა გოგომ.

— ჰო, შვილო, ოღონდ ახლა შევიმშრალოთ ფეხები, თორემ სულ დამასველე.

— და აღარსად აღარ წახვალ? აღარ წახვიდე რა, გეხვეწები, აღარ წახვიდე. მე არც ერთხელ აღარ შემოგაწყობ ფეხებს გულზე. არ დავიძინებ ხოლმე და შენ აღარ შეგაწუხებ. აღარც ღამით გაგაღვიძებ, სულ მოვითმენ დილამდე, ოღონდ აღარ წახვიდე, მამიკო!

კაცი ვეღარ იკავებდა მოძალებულ ცრემლებს. გოგო პატარა თათებს უცაცუნებდა აცახცახებულ ბაგეზე და რაღაც საკვირველი გუმანით, მხოლოდ ბავშვებისათვის მისაწვდომი ინსტინქტით ხვდებოდა, ყველაზე მტკივნეულ ჭრილობას რომ უხსნიდა მამას და მშობლის გულისკენ ყველაზე საიმედო გზას ირჩევდა. ათასნაირ საალერსო სახელებს არქმევდა და დიდივით ეხვეწებოდა:

— ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო, ჩემო ერთადერთო. სულ გაჭიმული ვიწვები, აღარც საბანს გადავიხდი, არც ღვინოს გადაგასხამ და არ დაგილაქავ ტანსაცმელს. აი ნახავ, რა კარგი გოგო ვიქნები. ბიჭებსაც შორს გავაგდებ, რომ არ შეგაწუხონ. იცი, სად გავაცურებ იმათ საწოლებს? აი, იმ კუთხეში, თუ გინდა უფრო იქით. თვითონვე გავატანინებ. ვუბრძანებ და ისინიც გააკეთებენ...

— ჰო, შვილო, ხომ ისევ გიჯერებენ ბიჭები? — ხმა უწყდებოდა კაცს და შვილის ჩვილ სხეულს ჰკოცნიდა.

— ბებომ თქვა: ვიღაც გათახსირებული გადაეკიდა მამასო. ბიჭებს წამოვიყვან და სულ თავს ჩავუჩეჩქავ იმას. შენ თავს გავაშვებინებ. გოგიმ უთხრა ბებოს: შენ რომ ეჩხუბე მამას, იმიტომ წავიდაო. აღარც ბებო წაგეჩხუბება, მამი. ასე თქვა: ოღონდ თქვენ კარგად იყავით და მე სულაც აღარ მოვალ ხოლმეო. მოვიდეს ბებო, მამა? კარგია ბებო. ჩემო კარგო მამა, ჩემო სიხარულო, ჩემო სიკვალულო. — ენას განზრახ უჩლექავდა და პაწაწინა, უცოდველი ტუჩებით უკოცნიდა თვალებს და ღაწვებს. — მოიცა, მოდი აჩიკუდა ვითამაშოთ. — წელში გაიმართა ბავშვი.

— მოიცა ლია, აბა ნახე ისრები როგორა დგას. შენ კი როდის უნდა დაგეძინა?

— აი, როცა ასე იქნება, — გოგომ მარჯვენა ზევით ასწია, მარცხენით განმკლავი გააკეთა, — კარგი, ამიკიდე და ისე წავიდეთ. — სწრაფად დაეთანხმა.

...ყველაზე ადრე ლიამ ამოუშვა ნაზი ფშვინვა... ჯერ იყო და ლოგინზე იხტუნა თავგამეტებით. ყირაზე დგებოდა და აღტაცებული ყვიროდა: „ვაშაა! მამა ჩემთან იძინებს, ვაშაა!“ მერე ბიჭებს ედავა მამას არ მიეკაროთო. ბიჭები სიცილითა კვდებოდნენ, მაგრამ სიტყვის შეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ თავიანთ პატარა დედოფალს. ოღონდ, როცა მორჩილად სთხოვეს, შეიძლება მამას მკლავზე დავდოთ თავიო, პატარა მბრძანებელმა დიდსულოვნად დართო ნება და სამივე მამის ახლოს მიიყუჩდნენ. ჯერ თვითონ იღუღუნა მტრედივით. მერე მამას ჩააცივდა: ზღაპარი გვიამბეო. მამამ ზღაპარი თუ ამბავი დაიწყო, მთქმელმა ჯერ ვერც კი მოასწრო თხრობის ემხში შესვლა და შემკვეთელი უკვე გარდი-გარდმო შეტრიალდა, პატარა ფეხები მამას ზედ მკერდზე შეაწყო და ა̀ჰე აყირავებული მიჰბარდა ძილის უფალს.

ბიჭები საზღაპრედ და საამბედ უკვე დიდები იყვნენ, მაგრამ მაინც განაბულები უსმენდნენ მამის ნაამბობს.

მერე, გვიან, როცა ბიჭებსაც გაუღრმავდათ სუნთქვა, თავიდან ფრთხილად გამოაძრო დაბუჟებული ხელი, გოგო საწოლში ჩააწვინა, ბიჭების საწოლი ახლოს მიაცურა და უხმაუროდ დაიწყო ჩაცმა. არც ერთს არ გაუგია მამის ადგომა. არც თვითონ გაუღია რაიმე ჩქამი, მაგრამ მეორე ოთახში მაინც აჭრიალდა ძველებური საწოლის ბადე და კაცმა თითქმის გაიგო ბალიშში ჩარგულ ღაწვებზე ჩამოდენილი ცრემლების ხმა...

მერე, ისევე ფრთხილად, უხმაუროდ გამოაღო დაუკეტავი კარი და საკუთარი სახლიდან ქურდულად გამოიპარა. ქურდულად თუ ქურდივით...

კარებს რომ ხურავდა, ერთხელ კიდევ გამოხედა უცოდველი ანგელოზებივით ჩაძინებულებს. სამივეს შავი, ხუჭუჭა თმა ჰქონდა და თეთრი ბალიშის ფონზე ნახატებსა გავდნენ. ძალიან ნაზადა ფშვინავდნენ, მაგრამ მამას ეგონა, ცხრა მთას იქითაც გაიგებდა მათ სუნთქვას...

ტყეში რომ შევიდა, უცებ ლიას ხმამ გასწივლა ყურთან: „არ მინდაა... არ გავიხდი... გამიშვიი...“ უკან მოიხედა და თავი გააქნია.

ტყე უდარდელი და საიდუმლო ჩურჩულით შრიალებდა...

...მძიმე ნაბიჯებით მიდიოდა კაცი სახლიდან. დახრილი თვალებით და მტკიცედ მოკუმული ტუჩებით...

ძლიერი ვნებებისათვის დაბადებული კაცის ტუჩებით.

# შინ და გარეთ


ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლიტა ფაღავა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომთვლელი ცენტრის მათემატიკოს-პროგრამისტად მუშაობს. ამ დაწესებულებაში ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ყოველდღიურად მრავალი მათემატიკური ამოცანა მოდის გადასაწყვეტად. ელექტრო-გამომთვლელი მანქანების დახმარებით, ივლიტა ფაღავა და მისი კოლეგები რამდენიმე საათში ზუსტად ხსნიან ურთულეს მათემატიკურ ფორმულებს, რომლებსაც ჩვეულებრივ პირობებში ადამიანის რამდენიმე თვის დაძაბული შრომა სჭირდება.

მათემატიკური ამოცანები, რომლებიც გამომთვლელ ცენტრში მუშავდება, შემდეგ ფართო გამოყენებას პოულობს ჩვენი მეცნიერებისა და სპეციალისტების მრავალმხრივ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა



მუშაობის შემდეგ, საღამო ხანს ერთად იკრიბებიან ოჯახის წევრები. ივლიტას მეუღლე ცოტნე გაზეთებსა და ჟურნალებს ჩაჰკირკიტებს, პატარა თამრიკო და ქეთინო კი ხან ხატვითა და ზღაპრების მოყოლით არიან გართულნი, ხან კიდევ ბედნიერ დედ-მამას „დაერევიან“ და ჟივილ-ხივილითავსებენ ოთახებს.

კვირა დღეს მთელი ოჯახი დილიდანვე გადის სასეირნოდ.



# რეჟისორის გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ ხალისიანი, მუდამ ხვალინდელი დღით ანთებული, დაუცხრომელი შემოქმედი და ენთუზიასტი, — ასეთი იყო რეჟისორი ვასილ ყუშიტაშვილი. უაღრესად პრინციპული და შეურიგებელი შემოქმედებაში, — იგი მეტად საადა და უპრეტენზიო იყო პირად ცხოვრებაში; მას გააჩნდა შესანიშნავი და იშვიათი უნარი — სიხარულის წყაროდ ექცია ყოველივე თავის გარშემო. ამის შედეგი იყო, რომ ის მუდამ საინტერესო და სისხლსავსე სიცოცხლით ცოცხლობდა, რომ მან მრავალფეროვანი, შთაბეჭდილებებით სავსე და შემოქმედებითად ნაყოფიერი ცხოვრების გზა განვლო.

ვ. ყუშიტაშვილი ბავშვობის წლებიდანვე გატაცებული იყო თეატრით, მაგრამ მისი, როგორც რეჟისორის ნათლობის დღედ მაინც უნდა ჩაითვალოს 1919 წლის 10 იანვარი, როდესაც მან პირველად ქართველ პროფესიულ მსახიობთა ძალებით დადგა სოფოკლეს „ანტიგონე".

იმავე ხანებში ვასილ ყუშიტაშვილი ხელოვნების შესწავლის მიზნით საფრანგეთს გაემგზავრა.

პარიზის თეატრალური ცხოვრება იმ ხანად საოცრად აღრეული იყო. ოდესღაც მსოფლიოში სახელგანთქმული ფრანგული თეატრები კომერციულ დაწესებულებებად იყო ქცეული. მაგრამ ამ ქაოსში მაინც მოიძებნებოდა ნათელი წერტილები; ეს ითქმის კერძოდ „ანტუანის თეატრზე", რომელსაც იმ ხანად გამოჩენილი რეჟისორი ფირმენ ჟემიე ხელმძღვანელობდა. ყუშიტაშვილმა მუშაობა დაიწყო სწორედ აქ, „ანტუანის თეატრის" სტუდიაში. შემდეგ კი მან, ცნობილ მსახიობ შარლ დიულენთან ერთად, სტუდიის მოწაფეთა ძალებით შექმნა ახალი თეატრი სახელწოდებით „ატელიე"; თეატრის ისტორიაში ცნობილია რომ „ატელიეს" შემოქმედებითი მეთოდი ახლოს იდგა სტანისლავსკის სისტემასთან; ეს რა თქმა უნდა, ვასილ ყუშიტაშვილის შემოქმედებითი ძიების შედეგი იყო.

ქართული და რუსული ხელოვნების ჯანსაღ ტრადიციებზე აღზრდილმა რეჟისორმა პარიზისათვის უჩვეულო მიმართულების თეატრად აქცია „ატელიე"; ამიტომ ამ თეატრის თითქმის ყოველი სპექტაკლი პარიზელთა ყურადღების ცენტრში იყო. ეს განსაკუთრებით ითქმის კარლო გოლდონის კომედიაზე „მარაო"; ამ სპექტაკლმა ვ. ყუშიტაშვილს ფართო პოპულარობა მოუხვეჭა.

იმავე ხანებში ვ. ყუშიტაშვილს ინგლისში ვხედავთ. იგი მიიწვია ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტთა დრამატულმა დასმა, რათა კონსულტაცია გაეწია არისტოფანეს „ფრინველების" დადგმის დროს. აქედან ის ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში მიდის ნ. გოგოლის „რევიზორის" დასადგმელად, ხოლო შვეიცარიაში, ჟენევის თეატრში ანხორციელებს მ. გორკის პიესას „ფსკერზე".

1929 წელს ყუშიტაშვილი ნიუ-იორკის „კომიკური ოპერის თეატრის" მიწვევით ესტუმრა ამერიკის შეერთებულ შტატებს. აქ მან დადგა რამდენიმე კლასიკური ოპერეტა, შემდეგ გადავიდა „სამხატვრო ლაბორატორიულ თეატრში", ხოლო უფრო მოგვიანებით ნიუ-იორკის ექსპერიმენტულ თეატრს ჩაუდგა სათავეში, სადაც დგამდა სპექტაკლებს საქვეყნოდ ცნობილ კინოვარსკვლავების — ლილიან გიშისა და ლია დე-პუტის მონაწილეობით; ნიუ-იორკის შემდეგ ის ნიუ-ორლეანში მუშაობს, სადაც სათეატრო სეზონს ხსნის ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღით". მისი მომდევნო დადგმა — ჯონ გოლსუორსის „მართლმსაჯულება" — თეატრის მეცენატთა კოლეგიამ აკრძალა, მაგრამ ამაზე ვასოს აღარ უნაღვლია: ამ დროისათვის მან უკვე მიიღო ვიზა და სამშობლოში გამომგზავრების მისი დიდი ხნის ოცნება რეალურ ფაქტად იქცა.

1933 წლის ივლისში ვასო ყუშიტაშვილი უკვე თბილისშია. „არასდროს არ მიგრძვნია თავი ისე ბედნიერად, როგორც მაშინ, როდესაც სამშობლოს მიწაზე დავდგი ფეხი. ყველაფერი, — ხეები, მთები, ადამიანები ბუმბერაზებად მეჩვენებოდნენ. ეს ჩემი მეორე დაბადების დღე იყო" — ამბობდა იგი.

უცხოეთიდან ახლად ჩამოსულ ხელოვანს უნდოდა გაეზიარებია მშობლიური ხალხისათვის საზღვარგარეთული შთაბეჭდილებანი. ბენ ჯონსონის „ვოლპონა" კი, რომელსაც ჩამოსვლისთანავე ხელი მოჰკიდა რეჟისორმა, შესანიშნავი მასალა იყო იმისათვის, რომ მას ემხილებინა კაპიტალიზმის მტაცებლური ბუნება; ამავე მისწრაფებით იყო გამსჭვალული მისი მომდევნო დადგმები: ელმერ რაისის „ჩვენ ხალხნი" და კინგსლეის „თეთრხალათიანები"; რეჟისორმა მხოლოდ ამის შემდეგ მოჰკიდა ხელი ქართულ დრამატურგიას, კერძოდ შ. დადიანის „ჩატეხილ ხიდს" (ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა მიხედვით), რომელიც მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთ საეტაპო სპექტაკლად იქცა.

სწორედ „ჩატეხილ ხიდში" შექმნა ვასო გოძიაშვილმა ლუარსაბ თათქარიძის ის დიდებული სახე, რომელიც შემდგომ სპექტაკლში („კაცია ადამიანი") მხატვრული სრულყოფის უმაღლეს საზღვრამდე აიყვანა.

„კაცია ადამიანი" ინსცენირებული და დადგმულია ვასო ყუშიტაშვილის მიერ. ეს სპექტაკლი საუკეთესო დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ შესანიშნავად ფლობდა იგი მსახიობთან მუშაობის ხელოვნებას; ვასო გოძიაშვილის შემოქმედებითი გამარჯვება აბა ვის გაუკვირდება? მაგრამ ლიტერატურული გმირის და სცენური სახის ასეთი უბადლო შერწყმა მართლაც იშვიათი მოვლენაა და იგი რეჟისორისა და მსახიობის შემოქმედებითი კონტაქტის ბრწყინვალე ნიმუშად უნდა ჩაითვალოს.

ამავე თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო იყო ს. ზაქარიაძისა და ვ. ანჯაფარიძის მიერ შექმნილი სახეები „რუი ბლაზში", ვასო გოძიაშვილის რიჩარდ მესამე, ვ. ანჯაფარიძისა და ს. თაყაიშვილის თამაში შილერის „მარია სტიუარტში". „მარია სტიუარტის" სპექტაკლს სტუმრად ჩამოსული გერმანელი მსახიობების ჯგუფი დაესწრო, მათ შორის იყო მსახიობი ქალი ენკელმანი, რომელიც სამშობლოში თვითონ ასრულებდა ელისაბედის როლს, სპექტაკლმა იგი დიდად მოხიბლა და როცა სამშობლოში დაბრუნდა, ჟურნალ „დი ველტის" ფურცლებზე გამოაქვეყნა სტატია, სადაც წერდა: „თბილისში ვნახე, თუ როგორ უნდა შილერის დადგმა და თამაში". ასეთივე მაღალი შეფასება მისცა მოსკოვის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ შექსპირის „რიჩარდ მესამის" დადგმას ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დროს.

მაგრამ კლასიკა მაინც არ იყო მთავარი და წამყვანი ვასოს ხელოვნებაში. მან კარგად იცოდა და არა ერთხელ განუცხადებია, რომ მხოლოდ თანამედროვეობა აძლევს თეატრს შინაარსს და არსებობის უფლებას; ამიტომაც მის მიერ დადგმულ სპექტაკლთა უმრავლესობა აქეთ იყო მიმართული; გავიხსენოთ მისი დადგმები: ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი", გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა", გ. მდივნის „პარტიზანები", კ. სიმონოვის „რუსეთის საკითხი", კ. კალაძის „ლალი" და მრავალი სხვა — როგორ დროული იყო და როგორ მხატვრულად გამართული ყოველი მათგანი! ხომ კარგად გვახსოვს ყველას რა შესანიშნავი სპექტაკლი იყო „რუსეთის საკითხი". არც საკვირველია: ყუშიტაშვილი ზედმიწევნით იცნობდა ამერიკას და ის, რაც დრამატურგმა დეტალებში დააკლო პიესას, რეჟისორმა დაუმატა და გააღრმავა სპექტაკლში.

დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგია — აი რა ახასიათებდა ვასო ყუშიტაშვილს უპირველეს ყოვლისა. მუდამ ხელოვნებაზე შეყვარებული, იგი არავის უნახავს ოდესმე გულგრილი, მას ყოველთვის ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი და გასაზიარებელი მაყურებლისათვის.

ელენე შაფათავა



სცენა სპექტაკლიდან „რიჩარდ მესამე".



სცენა სპექტაკლიდან „ძალად ექიმი".



# სლავა მეტრეველი

## გურამ ფანჯიკიძე

წინა წერილში ჩვენ უკვე ვწერდით ფილმებზე, რომლებიც ფეხბურთელის ყოველ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო მოძრაობებს აღბეჭდავენ.

ამ ფილმების ჩვენების დროს იშვიათი იყო შემთხვევა, როცა მწვრთნელს სლავა მეტრეველის ტაქტიკური შეცდომა აღენიშნოს.

ეს ამბავი შემთხვევით როდი გავიხსენეთ. თანამედროვე ფეხბურთში სპორტსმენთა ტაქტიკურ მომზადებასა და ბრძოლის გეგმიანად წარმართვის კულტურას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დღეს „ვარსკვლავები“ თამაშებს ველარ იგებენ. დიდი მასშტაბის ბრძოლებში გამარჯვებულები სწორედ ის გუნდები გამოდიან, რომელთა საბრძოლო ხელოვნებაც უაღრესად თანამედროვე სტრატეგიითაა აღჭურვილი.

ამის მაგალითია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები. ბრაზილიას წინათ როდი ჰყავდა ნაკლები კლასის ფეხბურთელები, რომელთა ჟონგლიორობამდე და არტისტიზმამდე მისული ტექნიკა ხიბლავდა და აჯადოებდა ყველა ქვეყნის გულშემატკივრებს, მაგრამ სანამ ბრაზილიელებმა თავიანთი ბრწყინვალე იმპროვიზაცია მკაცრ საფეხბურთო ლოგიკას არ დაუმორჩილეს, ვერ იქნა და ვერ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა.

ბრაზილიელთა გამარჯვებას მარტო იმან როდი შეუწყო ხელი, რომ ჰყავდათ მსოფლიო კლასის „ვარსკვლავები“: პელე, დიდი, გარინჩა, ვავა და სხვები. მათ წარმატებაში უდიდესი როლი ითამაშა სრულიად ახალმა საფეხბურთო ტაქტიკამ და სქემებმა, რომლის შემქმნელებიც თვითონ ბრაზილიელები არიან, ესაა სისტემა 4—2—4. ამ სისტემამ თითქმის მთლიანად შეცვალა ბრძოლის წარმართვის მანამდე არსებული ხერხები და მეთოდები. ხოლო ცალკეული ფეხბურთელების ფუნქციები მნიშვნელოვნად გაზარდა და გაამდიდრა.

მწვრთნელს თანამედროვე ფეხბურთში უდიდესი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ერთხელ სლავა მეტრეველმა მითხრა: „მწვრთნელი, ეს გუნდის ტვინია, მისი წარმატების სამოცი პროცენტია, და იქნებ მეტიც“; თბილისელთა გარემარბის ამ სიტყვებს კომენტარი აღარ სჭირდება, გასაგებია როგორ აფასებს იგი საფეხბურთო სტრატეგიას.

ამ საუბრიდან კიდევ ერთი რამ მახსენდება. სლავა ამბობდა: „უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში, მას მერე, რაც ბრაზილიელთა რიგებს გამოაკლდა ყველა დროის უდიდესი ფეხბურთელი პელე, ოქროს ნიკეა ესპანელებს უნდა მოეპოვებინათ. განა ესპანელებს ნაკლები „ვარსკვლავები“ ჰყავდათ? მაგრამ მათ აკლდათ სწორედ ის, რასაც ჰქვია ფეხბურთელთა ტაქტიკური დისციპლინა“.

გარინჩას ტალანტზე დღეს აღარავინ დავობს. მაგრამ იყო დრო, როცა მას არ თვლიდნენ მაღალი კლასის ფეხბურთელად. „ბოტაფოგოს“ მწვრთნელმა ზეზე მორეირამ მას გუნდიდან გაგდებაც კი დაუპირა, ბრაზილიელთა ეროვნული ნაკრების მარცხენა მცველი და გარინჩას თანაკლუბელი ნილტონ სანტოსი იგონებს: „გარინჩა მხოლოდ იმიტომ არ გააგდეს, რომ მასზე უკეთესი არავინ ჰყავდათ“.

ეს ის პერიოდი იყო, როცა ერთი რიო-დე-ჟანეიროელი ჟურნალისტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბრაზილიური ფეხბურთი აბსოლუტური ანარქიიდან გადავიდა აბსოლუტურ მორჩილებაზე“.

გარინჩას საყვედურობდნენ, რომ იგი მწვრთნელს არ ემორჩილებოდა და არღვევდა გუნდის საერთო საბრძოლო გეგმას. უკანასკნელ ჩემპიონატზე კი მან დაამტკიცა, რომ იგი არა მარტო ფენომენალური ტექნიკის მქონე ფეხბურთელია, არამედ დიდი ტაქტიკოსიცაა. პელეს დამტვრევის შემდეგ თავდასხმის ორგანიზაცია სწორედ გარინჩამ აიღო ხელში.

სლავა მეტრეველს აქვს თანამედროვე ფეხბურთელისათვის ის აუცილებელი თვისება, რაზეც ზემოთ ვლაპარაკობდით და რასაც ტაქტიკური აზროვნება ეწოდება. თბილისელთა მარჯვენა გარემარბი მოედანს შესანიშნავად ხედავს. ბურთის ტარების ძალზე მაღალი ტექნიკა მას საშუალებას აძლევს თავაწეულმა ითამაშოს. იგი კარგად გრძნობს როგორც თავის უახლოეს პარტნიორს, ასევე მოედნის შორეულ კუთხეში განლაგებულ ფეხბურთელებსაც.

დიდი ინტუიციის წყალობით, იგი ძალზე კარგად ერკვევა ურთულეს სიტუაციებში. სლავა მეტრეველს შეუძლია სწრაფად აუღოს ალღო მდგომარეობას და თვითონ წამოიწყოს კომბინაცია. მაგრამ იგი სხვისი კომბინაციის ბრწყინვალე გამგრძელებელიც არის. სლავა მეტრეველი ადვილად ხვდება მეგობრის ჩანაფიქრს, იშვიათად, რომ მან პარტნიორს ვერ გაუგოს. როცა თბილისელთა მარჯვენა გარემარბი იწყებს ან აგრძელებს კომბინაციას, იგი ყოველთვის საუკეთესოს და ლოგიკურს ირჩევს იმ მრავალ ვარიანტს შორის, რომელიც ამა თუ იმ სიტუაციაში არსებობს.

სლავა მეტრეველს აქვს ტაქტიკური ჩანაფიქრის განხორციელებისათვის აუცილებელი იარაღი — ბურთის უნაკლო გადაცემა. მის მიერ გადაცემული ბურთი ყოველთვის თავისი მისამართით მიდის. იგი გადაცემის დროს, ხმარობს ტერფის როგორც შიდა, ისე გარე მხარეს, ხანდახან, თქვენ წარმოიდგინეთ, ფეხის წვერსაც კი.

მაგრამ გადაცემის სიზუსტის ფასი კაპიკია, თუ იგი ერთი სეკუნდით მაინც დაგვიანდა. რამდენჯერ გვინახავს სლავა მეტრეველის თამაში და შეიძლება არც კი გაგვახსენდეს მომენტი, როცა მას ბურთის გადაცემა დაეგვიანებინოს.

გადაცემის სისწრაფე ძირითადად ორ რამეზეა დამოკიდებული. პირველია ტექნიკა. ფეხბურთელს ადვილად უნდა შეეძლოს ბურთის მიღება და დამუშავება, ან, თუ კი საჭიროა, შეუჩერებლად გადაწოდება. ეს კი მოითხოვს, რომ ფეხბურთელი უნაკლოდ ფლობდეს ბურთს.

მეორეა სწრაფი აზროვნება, სიტუაციის შეფასება, მოედნის ხედვა.

სლავა მეტრეველს ორივე ეს თვისება მომადლებული აქვს და ამიტომაც არის, რომ გულშემატკივრები აღტაცებაში მოდიან მისი როგორც ტექნიკურად უნაკლოდ შესრულებული, ასევე ტაქტიკურად მახვილგონივრული და დროული გადაცემებით.

ხშირად მეტრეველის გადაცემა მოწინააღმდეგისათვის შენიღბულია, ეს მაშინ, როცა პარტნიორს ამ გადაცემით კარნახობს თავის ტაქტიკურ ჩანაფიქრს.

— იმაზე საშინელი და ნერვებზე მომშლელი არაფერია, როცა პარტნიორი ვერ გიგებს! — მითხრა ერთხელ სლავა მეტრეველმა, — მე მირჩევნია მოწინააღმდეგემ წამართვას ბურთი და ჩამიშალოს კომბინაცია, ვიდრე პარტნიორმა ვერ გამიგოს, ან დამიგვიანოს გადაცემა.

სლავას თავის საუკეთესო პარტნიორად ყოფილი თანაგუნდელი ვალენტინ ივანოვი მიაჩნია.

— მასთან მე თავს ძალზე თავისუფლად ვგრძნობდი, საქმე იმაში კი არ არის, რომ ივანოვი ძალზე მაღალტექნიკური ფეხბურთელია. იგი თითქოს წინასწარ გრძნობს რას ფიქრობ შენ, რას აპირებ, რა გიჭირს, სად მოგეშველოს. ვალენტინ ივანოვი არასოდეს არ დაგელოდება სად მიაწოდებ ბურთს. იგი თვითონ ირჩევს ყველაზე სწორ პოზიციას და აზროვნებას გიადვილებს... როცა თვალს ივანოვს მოვკრავდი, მე შემეძლო ბურთი დაუფიქრებლად მიმეწოდებინა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ის სწორ პოზიციაში იყო, — მითხრა სლავა მეტრეველმა

პირადად მე ბრაზილიელთა გამარჯვების ერთ ერთ მთავარ მიზეზად ისიც მიმაჩნია, რომ ისინი ერთმანეთს ჩანაფიქრს ისე უგებდნენ, თითქოს ერთმანეთის გულში ისხდნენ. ბრაზილიის ეროვნული ნაკრები ჰგავდა რთულ მექანიზმს, სადაც ყველა დეტალი ისე მუშაობს, რომ ჰარმონია არ ირღვევა. მომავალ ჩემპიონატზე ბრაზილიელებმა შეიძლება კიდევ უფრო უკეთესი „ვარსკვლავები“ გამოიყვანონ, მაგრამ შექმნიან კი ისეთ სინქრონულ მექანიზმს, როცა მისი მუშაობის ჰარმონია არ დაირღვევა?

მე ვიცი, რომ სლავა მეტრეველი მსოფლიოში ყველაზე მაღლა ბრაზილიურ ფეხბურთს აყენებს და ჩემი შეხედულება გავაცანი. მან მითხრა:

„ფეხბურთელთა ურთიერთშეთანხმება ყველაზე დიდი ხელოვნებაა. სწორედ აქ ჩანს მწვრთნელის ტალანტი. ფეხბურთელებს ერთმანეთისა უნდა ესმოდეთ და თავისი დანიშნულებაც უნდა იცოდნენ. ფუნქციათა სწორი განაწილება გუნდის წარმატების საწინდარია. თვით იმხელა ფეხბურთელიც კი, როგორც ბრაზილიელი ვალდის პერეირა დიდია, ესპანეთის „რეალ მადრიდში“ სათადარიგოთა სკამზე დასვეს, რადგან დირიჟორის მოვალეობას იქ დი სტეფანო ასრულებდა. რასაკვირველია, ორკესტრს მხოლოდ ერთი დირიჟორი სჭირდება. ტაქტიკურად იდეალური ჰქვია იმ გუნდს, სადაც ყველა ფეხბურთელი თავის ფუნქციას ასრულებს. ფეხბურთელებს ერთმანეთისა უსიტყვოდ უნდა ესმოდეთ. როცა ბურთი შენ გაქვს, პარტნიორის შემდგომ პოზიციაზე გასვლას კი არ უნდა ელოდო, იგი იქ უნდა დაგხვდეს.

მაგონდება ერთხელ კაჩალინი მოგვიყვა: ბურთი ზაგალომ მიიღო და იმავე წუთში წინა ხაზზე მდგომ პელეს გადააწოდა. თვითონ კი საჯარიმო მოედანზე შეიჭრა. ერთი სიტყვით, გაითამაშა კედელი. ბურთი მაღალი იყო და პელე თავის დასარტყმელად ახტა. ამ დროს ზაგალო უკვე საჯარიმო მოედანზე კარისაკენ მიჰქროდა. მოწინააღმდეგენი დარწმუნდნენ, რომ პელე ბურთს ზაგალოს გადააწოდებდა და მისკენ გადაინაცვლეს. ამ დროს კი პელემ ბურთი თავით შეაჩერა და უკანიდან გამოქანებულ ვავას წინ დაუგდო. ამას აღარავინ ელოდა და ვავას დარტყმული ბურთი ბადეში გაეხვია. აქ ტექნიკური თვალსაზრისით რთული არაფერი ყოფილა. მთავარი ის იყო, რომ ვავამ და პელემ ერთმანეთს უსიტყვოდ გაუგეს“.

თვითონ სლავა მეტრეველი ეკუთვნის ისეთი ფეხბურთელების რიცხვს, რომლებიც პარტნიორებს უსიტყვოდ უგებენ. თბილისელთა მარჯვენა გარემარბი არანაკლებად აფასებს და უხვდება თავის მოწინააღმდეგეს. იგი სრულიად უცნობ ფეხბურთელთანაც კი, რომლის თამაშიც არასოდეს არ უნახავს, არ იბნევა; საკმარისია სამჯერ მაინც მოხინჯოს მოწინააღმდეგე, რომ ხელად აუღოს ალღო მცველი რაში მოისუსტებს, რომელ ფეხს ვერ ხმარობს, დრიბლინგი მარჯვნიდან სჯობია თუ მარცხნიდან, შორიდან ეთამაშოს თუ ახლოდან.

(გაგრძელება იქნება)

* გაგრძელება. იხ. „დროშა“ № 5.

# ყვავები საღამოობით შინისაკენ მიფრინავენ



**ვოლფგანგ ბორხერტი**

მოთხრობა

ნახატი თ. სამსონაძისა

**დასავლეთგერმანელმა მწერალმა ვოლფგანგ ბორხერტმა (1921-1947) მეტად მცირე მემკვიდრეობა დატოვა; მთელი მისი ნაწერები ერთ პატარა ტომს მოიცავს. მიუხედავად ამისა, მისი სახელი უაღრესად პოპულარულია ომისშემდგომი წლების ევროპის ლიტერატურაში; ეს მოხდა იმიტომ, რომ მან მძაფრად გამოხატა მაღალი ჰუმანისტური იდეალები, გვიჩვენა ის საშინელებანი, რაც ომსა და კაპიტალიზმს მოაქვთ უბრალო ადამიანებისათვის.**

**„ყვავები საღამოობით შინისაკენ მიფრინავენ“ მოგვითხრობს უსახლკაროთა და მიუსაფართა მძიმე სულიერ განცდებზე.**

ისინი სხედან ხიდის გათოშილ მოაჯირზე და ლითონის გაყინულ ცხაურზე, იისფრად აშმორებული არხის გასწვრივ. სხედან ძველი სარდაფის საფეხურებჩანგრეულ კიბეებზე, ქუჩის ნაპირებზე, ქაღალდის ნაგლეჯებსა და შემოდგომის გამხმარ ფოთლებს შორის, პარკების ცოდვილ მერხებზე. ზურგები დანგრეული სახლების კედლებზე მიუყრდნიათ და სხედან ასე, სანაპიროს მრავალტანჯვათა მოწმე ჯებირებსა და მიწაყრილებზე.

სხედან ისინი დაკარგულნი, ყვავების იერით, მეტისმეტი ნაღველით ჩაჟამებულნი და ოხვრისაგან ხმაჩახლეჩილნი.

სხედან ისინი და საშინელი მიუსაფრობა თითქოს ტანზე აცვიათ, როგორც ძველი, დაგლეჯილი სამოსი; სხედან სულიერად მიუსაფარნი, გოგოებისაგან მიტოვებულნი, ვარსკვლავებისაგან დავიწყებულნი.

სხედან ისინი სახლების მუქ ჩრდილებში, კუპრივით გაშავებულნი, დაღლილნი, როგორც ათასი კაცის ფეხით გათელილი ქვაფენილი.

სხედან ისინი, ლანჩებგაცვეთილნი და დამტვერიანებულნი, საქვეყნო შემოღამების ადრიან ბურუსში, ყველაფერში დაგვიანებულნი, ყველაფერზე ხელჩაქნეულნი.

სხედან ისინი, ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილნი, უფსკრულში ჩაკარგულნი, ბურანში წასულნი შიმშილისა და სამშობლოსადმი სევდისაგან. ყვავებივით (სხვა რა გზა აქვთ?) სხედან ისინი, სხედან, სხედან და სხედან. ვინ არიან? ყვავები? ეგებ ყვავებიც, მაგრამ ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები.

ექვს საათზე მზე სპილენძისფრად შეღებავს დიდი ქალაქის კვამლიან ღრუბლებს და საღამოს მკრთალ სინათლეზე სახლების მიმქრალ სილუეტებს ლურჯი ხავერდის ფერი დაედება.

სიცივისაგან გაფითრებული თეთრი ყვავები კი სხედან სასოწარკვეთილებითა და იმ ტანჯვით აღსავსენი, რომ ისინი მაინც ადამიანები არიან, სხედან ნაირფერად დაკონკილ ფარაჯებში გახვეულნი.

ერთი მათგანი გუშინდლიდან აყუდებულიყო სანაპიროზე; მან კარგა ხანია შეაჩვია ყნოსვა ნავსადგურის სუნს და ახლა ბათქაშის ნამსხვრევებს ისროდა წყალში. წარბები მოწყენით, მაგრამ გამოუცნობელი იუმორით, დივნის ფოჩებივით ეკიდა შუბლზე. შემდეგ კიდევ ერთი მოვიდა, უფრო ახალგაზრდა. ხელები იდაყვებამდე შარვლის ჯიბეებში ჰქონდა ჩაყოფილი, ფარაჯის საყელო ზევით აეწია და გამხმარ ყელზე შემოეფუთნა.

უფროსს მაღლა არ აუხედავს. თავის გვერდით უყელო წაღების საცოდავი ჭვინტები დაინახა, წყლიდან კი მას ტალღებში მთრთოლვარე მამაკაცის ნაღვლიანი ფიგურის გამოხატულება შეჰკანკალებდა.

უფროსი ამით მიხვდა, რომ ტიმი ისევ აქ იყო:

— აჰ, ტიმ, — უთხრა მან — შენ უკვე მოხვედი? რაო, ყველაფერი დამთავრდა?

ტიმმა არაფერი უპასუხა, ჩამოჯდა მის გვერდით ჯებირზე და გრძელი ხელები ყელზე შემოიჭდო. სიცივისაგან იყინებოდა.

— როგორ, ველარ დაეტიეთ ერთ საწოლზე, თუ რა მოხდა? — კარგა ხნის შემდეგ დაიწყო კვლავ პირველმა.

— რის საწოლი! რა საწოლი! — გაბრაზებით თქვა ტიმმა — მე ხომ ის მიყვარს.

— რა თქმა უნდა, გიყვარს. მაგრამ ამ საღამოსაც გარეთ გამოუგდიხარ. ესე იგი, ეს ღამეც ჩაგამწარა. როგორც ჩანს, შენ საკმაოდ სუფთა არა ხარ, ტიმ! ღამით მისული სტუმრები კი სუფთები უნდა იყვნენ. მარტო სიყვარულით ფონს ვერ გახვალ. დიახ, ასეა. თუმცა, შენ ხომ გადაეჩვიე საწოლს. ჰოდა, უკეთესია აქ დარჩე. თუ, ისევ გიყვარს, ჰა?

ტიმმა ყელზე მოისვა თავისი გრძელი ხელები და უფრო მჭიდროდ შემოიფუთნა ფარაჯის საყელო.

— იმას ფული უნდა, — თქვა ტიმმა მოგვიანებით, — ან აბრეშუმის წინდები. აი მაშინ კი არ გამომისტუმრებდა გარეთ.

— ოჰო, ესე იგი, შენ კვლავ გიყვარს — უთხრა ხანში შესულმა, — მაგრამ როცა ფული არა გაქვს...

ტიმს არ უთქვამს, ისევ უყვარდა თუ არა ის ქალი, მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ წყნარად შენიშნა:

— იცი, მე იმას შარფი მივეცი, ჩემი წითელი შარფი. სხვა არაფერი მქონდა. ერთი საათის შემდეგ კი უცებ გამოირკვა, რომ ჩემთვის აღარ ეცალა.

— წითელი შარფი? — ჰკითხა მეორემ. „ოო, უყვარს — ფიქრობდა თავისთვის. როგორ უყვარს!“ და ისევ გაიმეორა: — ოჰო, შენი ლამაზი, წითელი შარფი! შენ კი ისევ აქა ხარ, თანაც მალე დაღამდება.

— ხო. — თქვა ტიმმა — ისევ დაღამდება, მე კი შარფი აღარა მაქვს და ძალიან მცივა. გეუბნები, ვიყინები.

ორივემ წყალში დაიწყო ყურება, ფეხები ნაღვლიანად ჩამოეყარათ სანაპიროს ჯებირზე. მახლობლად ბარკასის სიგნალმა ხმა მისცა და თეთრი ორთქლი ამოუშვა, რასაც ხშირი, მოთამაშე ტალღები მოჰყვა. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ქალაქი გუგუნებდა გაბმულად და ერთხმით, ცასა და დედამიწას შორის. ისინი ისხდნენ ბინდის ჟამს ყვავების სახით, მეტი მწუხარებისაგან ჩაჟამებულნი.

ერთი საათის შემდეგ, როდესაც ტალღამ, ტყვიისფერმა ტალღამ მოჰქანავე წითელი ქაღალდის ნახევი ჩამოატარა, მხიარული წითელი ქაღალდის ნახევი, ტიმმა ამხანაგს უთხრა: — მე ხომ სხვა არაფერი გამაჩნდა. მარტო შარფი მქონდა.

იმან კი უპასუხა: — რა ლამაზი წითელი ფერი ჰქონდა. ისევ გახსოვს, ტიმ? ბიჭო, მერე რა ლამაზი წითელი იყო!

— ხო, ხო. — სევდიანად ჩაიბუტბუტა ტიმმა, — ძალიან ლამაზი იყო. ახლა კი, ჩემო კარგო, კისერი მეყინება.

„როგორ! — გაიფიქრა მეორემ — ხომ უყვარს, მთელი საათი მასთან გაატარა, ახლა შესცივდა და ამის ატანაც აღარ შეუძლია“. მერე მთქნარებით უთხრა:

— ღამის თევაც ჩაგეფუშა.

— ლილო ჰქვია იმ ქალს, — თქვა ტიმმა. — აბრეშუმის წინდები უყვარს, მაგრამ სად ვიშოვო ისინი.

— ლილო? — გაუკვირდა უფროსს— მატყუებ, ლილო როდისა ჰქვია, კაცო?

— რასაკვირველია, ლილო, — გაბრაზებით უპასუხა ტიმმა. — როგორ ფიქრობ, არ შემიძლია ვიცნობდე მას, ვისაც ლილო ჰქვია? რომ იცოდე, მიყვარს კიდეც.

გაბრაზებულმა ტიმმა გვერდზე გაიწია და ნიკაპით მუხლებს დაეყრდნო, გრძელი ხელები კი გამხდარ ყელზე შემოიჭდო.

ბინდი ობობას ქსელივით დაეფინა დღეს და მზის უკანასკნელი სხივები ცხაურივით გაეკრნენ ცის შორეთს.

მარტონი ისხდნენ ისინი ამ შებინდების ჟამს; ცდუნებებით სავსე დიდი ქალაქი კი გუგუნებდა, ქალაქი ფულსა და აბრეშუმის წინდებს ითხოვდა. ლოგინები კი ღამის სუფთა სტუმრებს.

— ჰეი, ტიმ. — დაიწყო ხნიერმა და ისევ დადუმდა.

— რა იყო? — ჰკითხა ტიმმა.

— მართლა ლილო ჰქვია?

— რაღა თქმა უნდა, ლილო, — შეუყვირა ტიმმა თავის მეგობარს. — ლილო ჰქვია და როგორც კი რამე მექნება, შემიძლია მივიდე მასთან. თვითონვე მითხრა, ჩემო ძვირფასოო!

— იცი, ტიმ — დაიწყო მეგობარმა ცოტა ხნის შემდეგ, — თუ მას მართლა ლილო ჰქვია, მაშინ მართლა უნდა მიგეცა წითელი შარფი. თუ მას ლილო ჰქვია, ჩემი აზრით, უნდა ჰქონდეს წითელი შარფი, მაშინაც კი, როცა ღამის თევა ასე ჩაგეფუშება. დაე, ტიმ, თუ მართლა ლილო ჰქვია, შარფი მას ჰქონდეს.

ორივემ ყურება დაუწყო მღვრიე წყლის ზედაპირზე მომავალ დაისს, გასცქეროდნენ უშიშრად, მაგრამ ვერ იტყოდი, რომ ვაჟკაცურად, გასცქეროდნენ შეგუებულნი სანაპიროს ჯებირებსა და ჭიშკრებთან გდებას, მშობლიური კერის უქონლობას, გაცვეთილ ლანჩებსა და ცარიელ ჯიბეებს, გასცქეროდნენ გულგრილნი და ყველაფერზე ხელჩაქნეულნი.

უცბად, ჰორიზონტზე ატყორცნილი, ქარისაგან საიდანღაც მორეკილი ყვავების გუნდი გამოჩნდა, მათი ჩხავილი და შავი ბუმბული მელნის ნაღვენთივით მიმოიღვარა დაისის ცის გაკრიალებულ აბრეშუმის ქაღალდზე. მოქანცულნი იყვნენ, ხმაჩახლეჩილნი; შემდეგ კი, უცბად, სადღაც მოშორებით, ბინდმა ჩაყლაპა ისინი.

მათ თვალი გააყოლეს ყვავებს, ტიმმა და მისმა მეგობარმა, მეტი მწუხარებისაგან დაბეგვილებმა, ყვავების სახეებით რომ ისხდნენ.

წყალს მაძღარი და ძლიერი სუნი სდიოდა.

ქალაქმა, უწესრიგოდ ახოხოლავებულმა კუბიკებმა ფანჯრის თვალებით, ათასობით ნათურებით იწყო ციმციმი.

ყვავებს გააყოლეს მათ თვალი, ყვავებს, რომლებიც დიდი ხანია სიბნელემ შთანთქა. საწყალი, ბებრული სახით გააყოლეს თვალი. იმ ტიმმა კი, ლილო რომ უყვარდა, იმ ტიმმა, ოცი წლისა რომ იყო, თქვა:

— ხედავ, ძმაო, ყვავებს? მაგათ რა უჭირთ!

მეორემ თვალი ციდან ტიმის განიერ სახეზე გადაიტანა, ბინდში სიცივისაგან გაფითრებული რომ ჩანდა. ტიმის თხელი ტუჩები კი ნაღვლიანი შტრიხები იყო განიერ სახეზე, მარტოოდენ შტრიხები, დაღდასმულნი ოცი წლის შიმშილისა და ნაადრევი დარდისაგან.

— ყვავებს — ჩუმად თქვა ტიმის განიერმა სახემ, იმ სახემ, რომელიც ოცი შავბნელი წლის მანძილზე გამოიკვეთა. — ყვავებს — თქვა ტიმის სახემ — ყვავებს რა უჭირთ. საღამოობით შინისაკენ მიფრინავენ. უბრალოდ, შინისაკენ.

ორივე იჯდა, ამქვეყნად დაკარგული, პატარა და დავიწყებული, ახალი ღამის პირისპირ, მაგრამ უშიშრად მინდობილი მის საშინელ სიბნელეს.

ქალაქი, რბილ, თბილ ფარდებიდან მთვლემარე თვალებით ციმციმებდა დაცარიელებული ქვაფენილებით მიჩუმებულ ქუჩებზე.

ისინი იდგნენ იქ, უფსკრულის პირას როგორც ძირგამომპალი ბოძები. ტიმმა კი, ოცი წლის ბიჭმა, თქვა: — ყვავებს რა უჭირთ. საღამოობით ყვავები შინისაკენ მიფრინავენ. ხოლო მეორე უაზროდ ბუტბუტებდა: — ყვავები, ტიმ, ადამიანო, ყვავები!

ისინი ისხდნენ იქ მაცდური, ტილიანი ცხოვრებისაგან მიყრილნი. ისხდნენ ისინი სანაპიროს ჯებირებზე, ყორეებსა და სარდაფის ჩამტვრეულ კიბეებზე, ნავსადგურებსა და პონტონებზე, ჩამოცვენილ ფოთლებსა და ცხოვრების ქაღალდის ნაგლეჯებს შორის, მტვრისაგან ნაცრისფრადქმნილ ქუჩებში. ყვავები? არა, ადამიანები! გესმით? ადამიანები! და ერთ მათგანს ერქვა ტიმი, მას კი ლილო უყვარდა წითელი შარფის გამო. და ახლა მას აღარ შეეძლო მისი დავიწყება. და ყვავები, ყვავები კი ჩხავილით მიფრინავდნენ შინისაკენ. მათი ჩხავილი უნუგეშოდ გაისმოდა ღამეში.

მახლობლად ქაფიანი ხახით მიქშინავდა ბარკასი და მისი წითელი სინათლე თრთოლვით იკარგებოდა ნავსადგურის ნისლში. ჟანგი ერთ წუთს გაწითლდა. „ჩემი შარფივით გაწითლდა“ — გაიფიქრა ტიმმა. სადღაც შორს დადუმდა ბარკასი. ტიმმა ჩუმად თქვა: „ლილო“, და ისევ „ლილო, ლილო, ლილო, ლილო, ლილო“...

**გერმანულიდან თარგმნა**
**ვენერა შინდაგორიძემ.**

# აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურის ძეგლები და საბჭოთა მეცნიერება

შალვა ნუცუბიძე

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი ფრიად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. უკვე კარგა ხანია, რაც ეს ინსტიტუტი აქვეყნებს აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურის ძეგლებს. სერია მოიცავს დასახელებული ძეგლების თარგმანებს სათანადო შესავლითა და კომენტარებით. ხსენებული გამოცემა მუდამ ფართო გამოხმაურებას პოულობს და მით სარგებლობენ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთშიაც. ამ წიგნს იყენებენ არა მარტო აღმოსავლეთმცოდნეობაში, არამედ მისგან საკმაოდ დაშორებულ დარგებშიც, კერძოდ, ფილოსოფიის ისტორიაში. ასე მაგალითად, ფილოსოფიის გერმანელი ისტორიკოსი გ. ლეი თავის მონოგრაფიაში, რომელიც 1961 წელს გამოვიდა სათაურით „მატერიალიზმის ისტორია შუა საუკუნეებში“ (შარშან მოსკოვში გამოიცა მისი რუსული თარგმანი) ხშირად მიმართავს აღმოსავლური ტექსტების არა ევროპულ, არამედ დასახელებულ საბჭოურ გამოცემებს.

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის 1960 წლის გამოცემა, სათაურით „Дхоммапада“, რაც წარმოადგენს იმ ნაწარმოებთა კრებულს, რომლებიც, ტრადიციის თანახმად, ბუდას მიეწერებოდა. თარგმანი, ისე როგორც შესავალი და კომენტარები, ეკუთვნის ვ. ნ. ტოპოროვს. ტექსტი თარგმნილია ამ წიგნის ინგლისური გამოცემიდან (ოქსფორდი, 1954 წელი), ხოლო კომენტარებისათვის გამოყენებულია ბურლინგემის „ბუდისტური ლეგენდების კომენტარები, კემბრიჯი, 1921 წ“.

მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დასახელებული გამოცემა შეიცავს ვ. ნ. ტოპოროვის შესავალ წერილს სათაურით „დღამაპადა და ბუდისტური ლიტერატურა“, დღამაპადას 428 წარმონათქმს და კომენტარებს.

ბუდისტური მსოფლგაგება რუსულ მეცნიერებას კარგა ხანია აინტერესებდა. ასე მაგალითად, XIX საუკუნის მიწურულში (1898 წ.) მოსკოვში რუსულ ენაზე გამოვიდა ნ. გერასიმოვის „გზა ჭეშმარიტებისა“ (დღამაპადა); თარგმანი შესრულებული იყო მ. მიულერის ინგლისური თარგმანიდან. ამავე თემას მთელი რიგი შრომები მიუძღვნა რუსმა მეცნიერმა ფ. ი. შჩერბატსკოიმ. კერძოდ, აქ უნდა დავასახელოთ მისი „შემეცნების თეორია და ლოღიკა მოგვიანო ბუდისტების მოძღვრებაში“ (წაკითხული იყო მოხსენებად „პეტერბურგის ფილოსოფიურ საზოგადოებაში“, დაიბეჭდა პეტერბურგშივე, 1903 წელს).

საბჭოთა მკვლევარი ვ. ნ. ტოპოროვი ცოტა სხვანაირად აყენებს საკითხს. მას აინტერესებს მსოფლიო ისტორიული როლი ბუდიზმისა, როგორც წარმოდგენათა ისეთი სისტემისა, რომელიც ძლიერი ნაკადის სახით შედიოდა და შედის აღმოსავლეთის ხალხთა აზროვნებაში (ინდოეთი, ცენტრალური აზია, ტიბეტი, ჩინეთი, მონღოლეთი, კორეა, იაპონია, ბირმა, ინდოჩინეთი. ინდონეზია და სხვ.).

ავტორს გათვალისწინებული აქვს ბუდას შესახებ წარმოდგენათა გავრცელება ქრისტიანულ, მანიქეურ, ზოროასტრულ და მუსულმანურ რელიგიებში; ამ მოვლენებს იგი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს, როგორც აღმოსავლეთის კულტურულ ურთიერთობათა და გავლენათა საინტერესო სფეროს. მაგრამ ის საგანგებოდ ეხება ბუდისტურ შეხედულებათა და თქმულებათა გავრცელების საკითხს ქრისტიანულ ხალხებში და კერძოდ ძველ რუსეთში.

ამ შემთხვევაში საინტერესოა ერთი გარემოება: ვ. ნ. ტოპოროვი ითვალისწინებს, რომ ბუდიზმი აღმოსავლეთში განვითარებული მოძღვრება იყო და აქედან შევიდა იგი დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში; ამასთან, მას აღნიშნული აქვს ორთოდოქსალური ქრისტიანობის მიერ „იოსაფატის“ და ინდოთ მეფისწულის „უნეტარესი ბარლაამის“ გაიგივების ამბავი. ავტორი რატომღაც აქვე არ იხსენიებს იოდასაფის „ქართველ წმინდანად“ აღიარების ამბავს, მაგრამ ამას არც აქვს დიდი მნიშვნელობა. ბუნებრივია, რომ მას აინტერესებს სხვა თემა — რა გზით შეეძლო ბუდას ამბებს შემოსულიყო რუსული აზროვნების სფეროში. ეს კი ავტორს ძალიან გვიან დროში გადმოაქვს და გულისხმობს, რომ ამ ამბებმა რუსეთში ზეპირსიტყვიერების გზით შეაღწიეს. ასე მაგალითად, საამისო ამბავთა სათავედ ის რასკოლნიკების სიმღერებს თვლის. მართალია, რუსეთის სინამდვილეში რასკოლნიკობა პატარა ამბავი არ იყო ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობაში და მას შეეძლო გამოეყენებია უცხოური მოვლენებიც, მაგრამ ამისათვის საბუთებია საჭირო, მით უფრო ასეთი გვიანი დროისათვის.

სწორია, რომ ასეთ შემთხვევაში ლეგენდების გასავრცელებლად საჭიროა რაღაც კავშირები, რაღაც ურთიერთობანი, რომლებიც თავისი ისტორიულად მოძრავი ხასიათით გამოირჩევიან და თან მოაქვთ წარმოდგენათა და თქმულებათა სისტემები, რომლებიც მათი მეოხებით ვრცელდება სხვადასხვა ქვეყნებში. ასეთი იყო, მაგალითად, მანიქეველობა, რომლის საფარველის ქვეშ ვრცელდებოდა ბუდიზმი, კერძოდ, საქართველოშიც, სავარაუდოა უკვე III საუკუნიდან. ცნობილია ტურფანში ნაპოვნი ძეგლები, რომლებშიაც მანი და ბუდა ერთად იხსენებიან სალოცავებში („მამაო ჩემო მანი-ბუდა“). მართალია, ეს ძეგლები მოწმობენ, რომ ბუდისტური შეხედულებანი შეჭრილი იყო მაჰმადიანურ მსოფლიოში, მაგრამ აქედან შორსაა იმის დამტკიცების შესაძლებლობა, თითქოს ქართული „ბალავარიანის“ სათავე არაბულში უნდა იყოს საგულვებელი. VII საუკუნის ქართველი მწიგნობრის იოანე მოსხის ირგვლივ ატეხილმა პაექრობამ საკმაოდ დაადასტურა იოანე მოსხის ავტორობა „ბალავარიანის“ უძველესი რედაქციის მიმართ და ყოველივე ამან ისეთი სიტუაცია წარმოგვიდგინა, რომ შესაძლოა არაბულ-ქართული მიმართება ამ საკითხში ქართულ-არაბულით შეიცვალოს.

მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პუბლიკაციის განხილვისას არ შეგვიძლია ასე შორს გავყვეთ საკითხს; ჩვენი კონკრეტული საკითხისათვის უკეთესია თვალი გავადევნოთ საბჭოთა მკვლევარის ვ. ნ. ტოპოროვის მოსაზრებებს. ის კარგად გრძნობს, რომ არა აქვს საკმაო დასაყრდენი თავისი ძირითადი დებულების დასამტკიცებლად. „შეიძლება ვიფიქროთ“ („можно думать“) — ეს მეტად არასაკმარისი საყრდენია იმის გამოსარკვევად და დასამტკიცებლად, არსებობდა თუ არა უშუალო გზა ბუდას თქმულებათა შესასვლელად ადრინდელ რუსულ კულტურულ გარემოში; მდგომარეობა იმითაც რთულდება, რომ ვ. ტოპოროვი არ კმაყოფილდება საეგებისო „ძველი რუსული თარგმანით ბერძნულიდან“ (не только благодаря древне-русскому переводу с греческого) და ეძებს „ძველი რუსეთის უშუალო კავშირს“ აღმოსავლეთთან.

ავტორი მოსინჯავს ასეთი უშუალო კავშირის შესაძლებლობებს იქამდე, რომ ჭადრაკის თამაშის უშუალოდ აღმოსავლეთიდან შემოსვლის ვარაუდით ეძებს აღმოსავლეთთან უშუალო კავშირებს „ხალხურ შემოქმედებასა“ და ხელოვნებაში, მაგრამ მას, როგორც სალად მკვლევარს, კარგად ესმის, რომ აქ ჯერ კიდევ გასაკეთებელი ბევრია და საბოლოო დასკვნის გამოტანა ნაადრევია.

„სამწუხაროდ, — ამბობს ვ. ნ. ტოპოროვი, — ეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხი რუსეთის აღმოსავლეთთან მიმართებისა, რომელიც აზრთა გაცვლა-გამოცვლის საგანი იყო მემატიანეებიდან დაწყებული წმინდა ვლადიმერამდე, არა თუ ეღირსა სინთეზურ გადაწყვეტას, არამედ არსებითად ჯერაც არ არის სავსებით მეცნიერულად დაყენებული“ (ვ. ნ. ტოპოროვი, დას. ნაშრ. მოსკოვი, 1960, გვ. 9. ხაზი ჩემია. შ. ნ.).

ვ. ნ. ტოპოროვმა სავსებით დამაკმაყოფილებელი შესავალი დაუწერა თავის პუბლიკაციას. ასეთსავე ბიბლიოგრაფიას მოუყარა თავი და ინგლისური ტექსტის დახმარებით ნათელი თარგმანი გააკეთა „დღამაპადასი“; მისი კომენტარებიც თავის სიმაღლეზე დგას. მაგრამ მთავარი მნიშვნელობა ჩვენი ავტორის ნაშრომისა ის არის, რომ მან გულახდილად აღიარა ძირითადი საკვლევი საკითხის შესწავლის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და მისი მეცნიერული დაყენების გადაუდებელი საჭიროება.

ამ მხრივ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დასახელებული პუბლიკაცია სანიმუშო და სახელმძღვანელოა.

ქართული მეცნიერების მიმართ ვ. ნ. ტოპოროვი ძალზე თავაზიანად მსჯელობს. მკვლევარი სრული ობიექტურობით, ზემოთ მოყვანილი დასკვნის შემდეგ, სადაც, როგორც ითქვა, აღნიშნულია ბალავარიანის გავრცელების კვლევის გადაუდებელი საჭიროება საბჭოთა მეცნიერებაში, გადადის ამ თქმულების ირანულ, არაბულ, სირიულ და ქართულ გარემოს საშუალებით გავრცელებაზე (ვ. ნ. ტოპოროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10). აქ მისი მსჯელობის ნაკლი მხოლოდ ის არის, რომ ქრისტიანული ვერსიისათვის დასახელებული გზების მნიშვნელობის თანაბრობაა დაშვებული და ავტორი არ ახდენს საჭირო დეტალიზაციას და შედარებითი განსხვავებას იმ დიდ პროცესში, სადაც დასავლეთის ქრისტიანულ კულტურაში ბალავარიანის გავრცელების თვალსაზრისით საქართველოს ადგილი და როლი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

მიუხედავად ამისა, ავტორი დამტკიცებულ დებულებად თვლის იმ გარემოებას, რომ ბალავარიანის ქართულმა ვერსიამ გადამჭრელი როლი ითამაშა ვარლაამისა და იოდასაფის რომანის ბერძნული ვერსიის შექმნაში. კიდევ მეტი: ვ. ნ. ტოპოროვი აღნიშნავს, რომ ქართული ვერსიის ძალა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მის ნიადაგზე და მისი წყალობით შესაძლებელი გახდა მთელი იმ პოლემიკის შეჯამება, რომელიც ბალავარიანის დასავლეთში გატანის ირგვლივ ატყდა ევროპაში და ამერიკაში. ამ მდგომარეობის ნათელსაყოფად ვ. ნ. ტოპოროვის ნაშრომში მოყვანილია დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა სახელები, რომლებიც უკანასკნელი ოციოდე წლის განმავლობაში ბალავარიანის კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ და რომელთა შრომის შეჯამებითი შეფასება შესაძლებელი გახდა ამ საკითხის ირგვლივ ქართული საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა ნიადაგზე.

ვ. ნ. ტოპოროვი ასახელებს ფრ. დოელგერს — მიუნხენელ მეცნიერს, რომელმაც გარკვეულად უარყოფითი პოზიცია დაიჭირა ექვთიმე ივერის ბალავარიანის ბერძნული ვერსიის ავტორობის საკითხში, ბელგიელ მეცნიერს ფრ. ჰალკენს, ამერიკელ მეცნიერს რ. ლ. ვოლფს და ინგლისელ დ. მ. ლენგს — ეს უკანასკნელნი ერთობლივ მომხრენი არიან ბალავარიანის გავრცელების ქართული გზისა.

აღნიშნავს რა ბუდას ქრისტიანიზაციის მნიშვნელობას „ვარლაამ და იოასაფის“ ევროპაში გავრცელებისათვის, ვ. ნ. ტოპოროვი განსაკუთრებით ჩერდება, როგორც ითქვა, მის ქართულ გარემოზე და შემდეგ წერს: „უკანასკნელის (ე. ი. ქართული გზის — შ. ნ.) როლი ბერძნული რომანის „ვარლაამისა და იოასაფის“ შექმნაში და, მაშასადამე, მისი ევროპული ვერსიების გავრცელებაში ნაჩვენები იყო შ. ი. ნუცუბიძის წიგნში „ვარლაამ და იოასაფის“ ბერძნული რომანის წარმოშობისათვის“ (თბილისი, 1956 წ.), რომელშიაც შეჯამებულია პოლემიკა ფ. დოელგერსა, ფ. ჰალკენსა, რ. ვოლფსა, დ. ლენგსა და სხვა მეცნიერთა შორის უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში“ (გვ. 10).

მეცნიერული გულწრფელობა, რომლითაც დაწერილია საბჭოთა მეცნიერის გამოკვლევა ინდურ თქმულებათა გავრცელების შესახებ შორეულ და ახლობელ ხალხთა შორის, ის წუხილი, რომელსაც ავტორი გამოსთქვამს იმის გამო, რომ ამ სფეროში ბევრი რამ გაურკვეველია, მოგვიწოდებს და სტიმულს გვაძლევს კეთილგანწყობით მივაქციოთ მისი ყურადღება რუსეთისა და ინდოეთ-ირანის ერთგვარი ურთიერთობის კვალისადმი, რომელიც ქართულ ენაზე მოიპოვება და წერილობით არის აღბეჭდილი.

საკმარისია ჯერჯერობით შევჩერდეთ მოკლედ ორ ადგილზე, რომლებიც გვხვდება უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“. საკვლევი მასალის სიმცირის პირობებში, როცა ჭადრაკის რუსეთში შემოსვლის ამბავიც კი კავშირებისა და ურთიერთობის მაუწყებელი ხდება, ზედმეტი არ იქნება მივუთითოთ XII საუკუნის ძეგლში რუსეთის მოხსენიებაზე ინდოეთისა და სპარსეთის გვერდით. ეს ადგილია რუსთაველის პოემის 968 სტროფი, სადაც ჩამოთვლილია მომღერალი ავთანდილის „შესამკობლად“ მოსული მაშინდელი მოწინავე ერები.

„მოვიდიან შესამკობლად...
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“.

ასეთი დასახელება რომ შემთხვევითი არ არის და წარმოებასა და, მაშასადამე, კულტურის დარგშიაც ერთგვარ ღირებულებათა გაზიარებას ნიშნავს, ამას მიუთითებს მეორე ადგილი რუსთაველის იმავე პოემისა. ეს არის 403 სტროფი, სადაც აღწერილია ინდოეთით სალაშქროდ მიმავალი ტარიელის მიერ აღლუმის ნახვა:

„აღლუმი ვნახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა,
ტაიჭთა მათთა სიმალე, აბჯართა ხვარაზმულობა“.

ტერმინი ხვარაზმული ხსნის უცნობი ავტორის პოემის „სიტყვა იგორის ლაშქრობისათვის“ ტექსტში აქამდე გაუგებარ ტერმინს „Хоралужный“, რაც ხ(ვ)არაზმულს უდრის და რუსულ პოემაში იხმარება კონტექსტში „Мечи хоралужные“. ეს ტერმინი ერთნაირად შემოსულა როგორც იარაღის თვისების დახასიათება „ვეფხისტყაოსანშიაც“ და „იგორის ლაშქრობაშიაც“. იგი საწარმოო-კულტურული გზის იგივეობაზე მიუთითებს, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მოსკოვის „იარაღთა პალატაში“ ერთადაა აღნიშნული იარაღის კოლექცია: „Георгические, грузинские, хоралужные“.

მაშასადამე, შემთხვევითი არ ყოფილა ორივე დასახელებულ პოემაში ინდოელთა, სპარსთა და რუსთა ერთად მოხსენიება და ისიც XII საუკუნეში. რამდენადაც საწარმოო ურთიერთობის გზები იდეოლოგიური კავშირის მეგზურიც არის, შეიძლება სასარგებლო ყოფილიყო ამ მიმართულებით ადრინდელ გავლენათა გზების ძებნა. პროკოპი კესარიელს დვინში, როგორც დიდ სავაჭრო ცენტრში, ინდოელების მოვაჭრე კონტრაგენტებად მრავალი ერის ადამიანები ჰყავს აღნიშნული, მათ შორის ქართველებიც და მათი ჩრდილო მეზობლები. უეჭველია, რომ ამ გზას ჰქონდა მნიშვნელობა ინდურ თქმულებათა გავრცელებისათვის, აქ მოდიოდა ხ(ვ)არაზმული იარაღიც, რომელსაც ქართველები და რუსები ერთად ყიდულობდნენ.

ეს გზა, ყოველ შემთხვევაში, ვ. ნ. ტოპოროვის მიერ ნავარაუდევ სხვა გზებზე უფრო საიმედო უნდა იყოს.

---

## შალვა დადიანის წერილი იოსებ გრიშაშვილისადმი

ჩვენმა პრესამ და საზოგადოებრიობამ ამას წინათ აღნიშნა ი. გრიშაშვილის დაბადების 75 წლისთავი. იოსებ გრიშაშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ქართული პოეტური სიტყვის განვითარების საქმეს. ამასთან, იგი ქართული ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნების თვალსაჩინო მკვლევარია. ღრმა ცოდნითა და გატაცებით დაწერილი მისი წიგნები ცოცხლად წარმოგვიდგენენ ალექსანდრე ჭავჭავაძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვასო აბაშიძის, ლადო მესხიშვილის, ავქსენტი ცაგარელისა და ნატო გაბუნიას სახეებს.

იოსებ გრიშაშვილს მრავალ ჩვენს ძველ საზოგადო მოღვაწესთან ახლო ურთიერთობა და მეგობრობა ჰქონდა. ქვემოთ ვაქვეყნებთ შალვა დადიანის წერილს იოსებ გრიშაშვილისადმი. წერილი მოწმობს, თუ რა დიდად აფასებდა შალვა დადიანი ი. გრიშაშვილის გამოკვლევას ქართველი დრამატურგის ავქსენტი ცაგარელის შესახებ.

ს ო ს ო, ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო!

კაცო, რად მიშლი ხელს?

სურამში ვარ, ვისვენებ და თან ვაგრძელებ ჩემს „მუნჯი-რობუს“[1].

უთუოდ ამ ზაფხულს უნდა დავამთავრო. „სირცხვილ-ნამუსის“ საქმეა. წლები გადის და... მკითხველებს ვაყურყუტებ, თუ მყავს საერთოდ მკითხველი...

ამ დროს ხელში მომხვდა შენი „ავქსენტი ცაგარელი“.

განა აქამდე არ წამიკითხავს, აკი შენ თვითონ მაჩუქე ეს წიგნი დიდი ხანია, მაგრამ ეხლაც ვერ მოვშორდი და... სულ მომაცდინა.

რა მადლიანი კალამი გაქვს!

შალვა დადიანი

25. VIII—54. წ.
ს უ რ ა მ ი.

---

[1] შალვა დადიანი ხუმრობით წერს „მუნჯი-რობუს“, უნდა იყოს „მენჯი რობუ“.

---

**ნიკოლოზ ჩაჩავა**

### არწივზე [illegible]

მეხარბებოდა ბავშვობიდან
არწივის ფრთები,
მეხარბებოდა ფრთაგაშლილი
არწივის ფრენა,
ახლა კი უცებ, ცადაწვდილი
დადაბლდნენ მთები,
გამიწიურდა დაბურული
კაცისთვის ზენა.

მცირეა თურმე უსასრულო
ჩვენი ხმელეთი,
ვიწროა მისი სარკმლები
და მისი ბჭენი.
ჩვენს დედამიწას შემოაჭდო
კაცმა ხელები
და თვითონ გახდა მაღალი და
თვალმიუწვდენი.

გასცდა არწივს და მიუწვდომელ
ოცნებას გასცდა,
ადამიანის ფრთაშესხმული
გუმანიც, ფიქრიც
და სიხარულიც, აღტაცებაც,
სურვილიც, განცდაც
ამ უსასრულო, თვალმიუწვდენ
სივრცეში მიჰქრის.

მიჰქრის და კაცი არასოდეს
არა გრძნობს დაღლას,
მისი გონება მომქმედია
და მუდამ მჭრელი...
ადამიანმა დე იფრინოს
სულ მაღლა, მაღლა
მის ოცნებას და აღმაფრენას
არ ჰქონდეს ჭერი.

### [illegible]

გაიქცეოდი ტყეში მარტოკა,
ჩვილი ნუკრივით გიკრთოდა ტანი,
თითქო უხილავ რაღაც ჯადოქარს
აენთო შენში ძალა და ჯანი.

გაიქცეოდი და მეც მიგყავდი
და შენი სუნთქვა გულს მიჭვალავდა,
შენ ამ დროს სივრცის დედოფალს ჰგავდი
და ლტოლვას შენსას რა დამალავდა.

გაიქცეოდი, მოგდევდნენ მთები,
მოგდევდა ცა და მოგდევდა ელვა
და ჩემი გულის გაბმული ხმები
უერთდებოდა შენს შნოს და ღელვას.

აღტაცებული ციდან, წყაროდან,
პეშვით იღებდი სიცოცხლის არჩივს.
იღიმებოდი და გიხაროდა,
რომ ამ სივრცეში მარტონი დავრჩით...

...ო, ეს სიზმრები მშფოთვარე ძილის,
ცოცხლობენ ღამე, ქრებიან დილით.

---




## აფხაზეთო ჩემო

აფხაზ პოეტს ივანე თარბას ქართველი მკითხველი კარგად იცნობს; მისი ლექსები სისტემატურად ქვეყნდება ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და თვითონ პოეტიც აქტიური მონაწილეა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისა — ხშირად გამოდის ჩვენს ლიტერატურულ საღამოებზე, თარგმნის ქართველი პოეტების ლექსებს აფხაზურ ენაზე.

„საბჭოთა საქართველომ“ ახლახან გამოსცა ივანე თარბას ლექსების წიგნი „აფხაზეთო ჩემო“. ამ ლექსებში პოეტი უმღერის აფხაზეთის წარმტაც ბუნებას, მის ლაჟვარდოვან ცას, შრომას, გმირობას, ვაჟკაცობას და თავდადებას. აქ ყოველი სიტყვა გულის სიღრმიდანაა წამოსული, ამიტომ ძლიერია და ემოციური:

აფხაზეთო ჩემო,
ჩემო ტკბილო დედავ,
ქვეყნის ყოველ კუთხეს
შენი თვალით ვხედავ.

ივანე თარბა თავის ლექსებში — „რიწის გზაზე“, „იალბუზი“, „ვოლგა“, „ალაზანი“ და სხვები ცოცხალი ფერებით გვიხატავს ჩვენი სამშობლოს ბუნების სურათებს; პეიზაჟის ფონზე აქ ნაჩვენებია მთელი ცხოვრება, ნაჩვენებია სულიერი სამყარო ახალი ადამიანისა, კომუნიზმის მშენებლისა.

ივანე თარბას წიგნში შეტანილი ლექსები და პოემები ქართულ ენაზე თარგმნეს კ. კალაძემ, ო. ჭელიძემ, შ. აკობიამ, ხ. გაგუამ, მ. ქარჩავამ.

# რა ღირს სიკვდილი?

„ყვითელი ეშმაკის“ სამეფოში, სადაც ყველაფერი ოქროთი იზომება და ოქროს ემორჩილება, სიკვდილიც კი მოგების წყაროდ არის გადაქცეული. ამ ბიზნესის ობიექტი ჭირისუფალია, მისი გულისტკივილი, მისი მწუხარება.

მოკვდა კაცი. ნათესავ-მეგობრების ცრემლსა და გოდებას საზღვარი არა აქვს. რას არ მისცემენ ისინი, რომ საყვარელი ადამიანის ცხედარი ღირსეულად მიაბარონ მიწას. და აი, აქ, თითქოს ჯადოქრული ჯოხის დაქნევით, ჩნდება შავკოსტუმიანი ახალგაზრდა კაცი, ხვლიკივით დაძვრება, თვალები უხტის. ოფიციალურად მას დასაფლავების ბიუროს აგენტს უწოდებენ. მისი მიზანია ჭირისუფლების გაძარცვა და იგი ამას ჭეშმარიტი ოსტატობით აკეთებს. ჭირისუფლებმა ვაჭრობა არ იციან. მათ სხვა გზა არა აქვთ.

ოდესღაც, სიკვდილის წინ, ოსკარ უალდი ხუმრობდა: „როგორც ჩანს, ისე ვკვდები, რომ სიკვდილისთვის ფული აღარ მეყოფაო“. ამერიკელთა უმრავლესობისათვის ამ ხუმრობაში ბევრი სიმართლეა ჩაქსოვილი. მეკუბოვეებმა შეერთებულ შტატებში მთელი ინდუსტრია შექმნეს. ამ ქვეყანაში მთლიანად დასაფლავების ხარჯები უფრო დიდია, ვიდრე პოლიციის შესანახად გამოყოფილი თანხები.

ჟურნალ „ტაიმის“ მონაცემებით, დამარხვის საშუალო ფასი ამერიკაში 1935 წლის 350 დოლარიდან დღეისათვის გაიზარდა 1.400 დოლარამდე. ზუსტად ოთხჯერ. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამერიკელის უკანასკნელი გზაც ოთხჯერ უფრო სასიამოვნო გახდა. ეს ნიშნავს იმას, რომ მესაფლავენი ოთხჯერ უფრო თავხედნი და ხარბნი გახდნენ.

ამ ინდუსტრიის ერთ-ერთმა მოთავემ უ. ჩემბერსმა, რომელიც ამერიკის დედაქალაქს ემსახურება, მოურიდებლად განაცხადა თავისი პროფესიის შესახებ კონგრესის კომისიაში: „ჩვენი ხელობა მსოფლიოში ყველაზე უფრო სპეციალიზირებული ბიზნესია. აქ არ არსებობს სტანდარტული ფასები. სახელმძღვანელო წესს წარმოადგენს ის, რომ მომხმარებელს მოვთხოვოთ და გამოვგლიჯოთ იმდენი, რამდენიც ეს შესაძლებელია“.

დასაფლავების საქმეთა ოსტატები, სხვა ბიზნესმენებთან შედარებით, დიდი უპირატესობით სარგებლობენ: მომხმარებელს საქონელი სჭირდება დაუყოვნებლივ, მას არ შეუძლია თქვას, ხვალ შემოგივლითო. მომხმარებელი არ ვაჭრობს მძიმე განწყობილების გამო ან შიშით, რომ შევაჭრება ისე არ გაიგონ, თითქოს ჭირისუფალი პატივს არ სცემდეს გარდაცვლილის ხსოვნას.

და აი, ამერიკელებს ყოველი ფეხის გადადგმაზე თვალებში ეჩხირებათ რეკლამა — ბედნიერად მომღიმარე მიცვალებული, სურათის ქვეშ წარწერაა:

> ვაქებდეთ კუბოს „ჩემბერსის“,
> აუწერელსა ენითა,
> დაგჭირდათ უცებ? დარეკეთ,
> მოგართმევთ ჩვენი ხელითა.

მსოფლიო ლიტერატურაში — შექსპირს, დიკენსს და სხვა მწერლებს — ცოტა როდი დაუცინიათ მესაფლავეებისათვის. საზოგადოება ამ ყაიდის ადამიანებს ერთგვარი ირონიით შესცქერის. ამერიკელმა მეკუბოვეებმა აშკარად აიღეს რევანში: ისინი ატყუებენ საზოგადოებას, უმოწყალოდ ძარცვავენ და დასცინიან მას.

„ამერიკული დასაფლავების ბიზნესი, — წერს ლონდონის გაზეთი „ტაიმსი“, — ისეთივე ბიზნესია, როგორც ყველა სხვა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ გვამების „წარმოება“ შეზღუდულია... ამერიკელი მეკუბოების უზრუნველყოფის ერთადერთი წყარო, მოულოდნელ ეპიდემიებს თუ გამოვრიცხავთ, ის არის, რომ ადიდოს და ადიდოს თითეული მიცვალებულის დასაფლავების ხარჯები. კაპიტალისტური დემოკრატია და მისი კანონმდებლები სწორედ ისეთ დასაფლავებას იღებენ, რაც მათ დაიმსახურეს“.

დიდებული ნათქვამია!

---

ვიქტორ გაბესკირია

წერილები ლიტერატურაზე ხელოვნებაზე

## „წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე“

„ლიტერატურა და ხელოვნებამ“ ბესარიონ ჟღენტის რედაქტორობით გამოსცა ვიქტორ გაბესკირიას წერილების კრებული, რომელიც აღძრავს მრავალ საინტერესო საკითხს; თვით ამ წერილების სათაურების ჩამოთვლაც ნათელჰყოფს რამდენად ფართოა წიგნის თემატიკა — აი ზოგიერთი მათგანი: „ილია ჭავჭავაძის ლირიკული ლექსები“, „ვაჟა-ფშაველას მხატვრული სახეები“, „რა იყო საქართველო პუშკინისა და ლერმონტოვისათვის“, „ვეფხისტყაოსნის“ მარგალიტები“, „აკაკის სატრფიალო ლექსები“, „შანდორ პეტეფის ლექსები ქართულად“, „ქეთევან მაღალაშვილის სურათების გამოფენა“, „რასულ გამზატოვის ლექსების ახალი წიგნი“ და სხვ. საინტერესოა ის პოლემიკური წერილებიც, რომლებიც ავტორს სხვადასხვა დროს ჩვენს პრესაში გამოუქვეყნებია.

ამ წიგნს მკითხველი ღრმა ინტერესით წაიკითხავს.

---

## რა არის ტოქსოპლაზმოზი

ალბათ ბევრჯერ გინახავთ ასეთი იდილიური სურათი: ბავშვი ეთამაშება ძაღლს, ისიც ხან ხელსა და ხან სახეს ულოკავს პატარას; მოხდება ხოლმე, რომ ბავშვი უეცრად ავად გახდება და არავინ იცის რა დაემართა მას, სრულიად სალსალამათს და კარგად მყოფს.

1908 წელს, ფრანგმა მეცნიერებმა ნიკოლემ და მანსომ აღმოაჩინეს პარაზიტი „ტოქსოპლაზმა გონდი“. ამ პარაზიტის უფრო დაწვრილებითი შესწავლა იწყება 1939 წლიდან, როცა დაიწყეს მასზე ექსპერიმენტული დაკვირვება. ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში შეჭრილი ტოქსოპლაზმა მრავლდება სხვადასხვა ორგანოების უჯრედებში, ხვდება სისხლის მიმოქცევის წრეში და მიმოითესება მთელი ორგანიზმის ქსოვილებში. ამ პარაზიტს შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ნერვულ სისტემასა და თვალს. იმ ადგილას, სადაც ტოქსოპლაზმა იბუდებს და მრავლდება, ვითარდება ანთებადი პროცესი. ეს პროცესი დიდ ზიანს აყენებს სისხლძარღვებს და ანადგურებს დაავადებული ორგანოს ქსოვილებს.

ტოქსოპლაზმით ადამიანი ავადდება ცხოველებისა და ფრინველებისაგან (ძაღლი, კატა, ღორი, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მტრედი, ქათამი, ინდაური, სხვადასხვა მღრღნელები). დაავადების მიზეზი ხდება კონტაქტი დაავადებულ ცხოველებთან ან მოუხარშავი თუ შეუწვავი ხორცის ჭამა.

ტოქსოპლაზმოზის ინფექცია შეიძლება შეიჭრეს კანის უმნიშვნელო განაკაწრიდან. ტოქსოპლაზმის გადაცემა შეიძლება თვალის ლორწოვან გარსში ნერწყვის მოხვედრის შემთხვევაშიც. დაავადების სიმძიმე დამოკიდებულია ორგანიზმში შეჭრილი ინფექციის ზხამიანობასა და ბაქტერიების რაოდენობაზე. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ორგანიზმის სისაღეს. რაც უფრო ჯანმრთელია ორგანიზმი, მით უფრო დიდი აქვს დაავადებასთან ბრძოლის უნარი. ტოქსოპლაზმით დაავადების ყველაზე მძიმე ფორმა იწყება გამონაყარით. დაავადება მიმდინარეობს როგორც მძიმე ციებცხელება და გრძელდება 2-3 კვირას. მაღალი ტემპერატურის დროს კანზე გამოჩნდება გამონაყარი, რომელიც მოგვაგონებს პარტახტიან ტიფს. დაავადება აზიანებს გულს, ფილტვებს, ნერვული სისტემის აპარატს. თვალის ტოქსოპლაზმამ შეიძლება გამოიწვიოს მხედველობის დაქვეითება ან სიბრმავე. ეს დაავადება ხშირად აზიანებს აგრეთვე ლიმფურ ჯირკვლებს, კუჭ-ნაწლავს და სხვ. ტოქსოპლაზმით დაავადებულ ფეხმძიმე ქალებს კი ზოგჯერ ებადებათ მკვდარი, დღენაკლები ან მახინჯი ბავშვები. ტოქსოპლაზმით დაავადებულს უნდა დაენიშნოს კარგი კვება, მდიდარი ვიტამინებით, ცხიმით, ცილებით და ნახშირწყლებით.

ტოქსოპლაზმით დაავადების წინააღმდეგ დიდი შედეგის მოტანა შეუძლია პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას. უნდა მოვსპოთ დაავადების კერები, უვნებელვყოთ დაავადებული შინაური ფრინველები და ცხოველები. დაავადების დროს მათ ეწყებათ კუჭ-ნაწლავის აშლილობა, მაღალი სიცხე, კრუნჩხვები და ბალნის გაცვენა, დაავადებულ ძაღლს ცხვირიდან მოსდის ლორწო, აქვს ცრემლის დენა, ხველა, პირღებინება და ძილად მივარდნილია. კატას არ შეუძლია საჭმლის ღეჭვა, უნვითარდება კუჭ-ნაწლავის აშლილობა და დამბლა. ქათამს და ინდაურს სიარულის დროს ემჩნევათ წრიული მოძრაობა. ფრინველებს ბიბილო უთეთრდებათ და ზოგ შემთხვევაში ბრმავდებიან. ასეთ დროს სასწრაფოდ უნდა მივმართოთ ვეტექიმს. სერიოზული მნიშვნელობა აქვს სანიტარული კონტროლის გაძლიერებას საკვებ პროდუქტებზე. დაავადებული საქონელი უნდა გაიგზავნოს სამკურნალოდ ვეტერინარულ დაწესებულებაში, ხოლო მათი სადგომი გულმოდგინედ გასუფთავდეს და დეზინფექცირებულ იქნას. დაავადების გავრცელების მხრივ საშიშია მოხეტიალე ძაღლები და უსახლკარო კატები, აგრეთვე თაგვები, ვირთაგვები და ა.შ. ამიტომ მათი მოსპობა სავალდებულოა ყველასათვის.

განსაკუთრებით არ უნდა შეეხონ ცხოველებს ფეხმძიმე ქალები, თუ ამ ცხოველების ჯანმრთელობა ეჭვს იწვევს, რადგან ორსულობის პერიოდში ქალები ადვილად ავადდებიან ტოქსოპლაზმოზით.

ტოქსოპლაზმოზი მძიმე დაავადებაა და მასთან დროული ბრძოლა, პირადი და საზოგადო პროფილაქტიკა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარია.

დავით სიგუა
ექიმი



დ. შმარინოვი — აფრიკის დილა (ფრაგმენტი)

ა. დეინეკა — ჰოკეი



ეროვნული ბიბლიოთეკა


ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვირა დილას მეტად საამო გუნებაზე გამეღვიძა. კარგა ხანს ვერ მივხვდი რა მიხაროდა. მერე გამახსენდა, თვალი აივნის წინ გაშლილ მოედნისაკენ გავაპარე და სასწრაფოდ წვერის პარსვას შევუდექი.

ცოლმა ეჭვის თვალით გადმომხედა...

— საით ვაჟბატონო? ერთი კვირა დღე აღარ გინდა სახლში გაჩერდე, დღეს ხომ არ არის სამსახური, არც თათბირია, არც ფეხბურთი.

— არის, არის, მაშ, დღეს არის, რაც არის — შევძახე გახარებულმა და გარეთ გამოვვარდი. იქ უკვე მელოდნენ მეზობლები — ნოდარ დანელია, გრიშა და თეგო ბაქრაძეები თავიანთი ბავშვებით, რეზო ტყემალაძე, გურამ გარდავაძე, ლეონიდ ბერიძე და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი გრიგოლ კალანდარიშვილიც კი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდორზე ჯერჯერობით „თერთმეტი უცნობია"...

# ხუმრობით და სერიოზულად

ირაკლი ყიფიანი

ფოტო ო. თურქიასი

ერთ მშვენიერ დღეს დილიდანვე მესმოდა ბიჭების ყიჟინა. თავიდან მეგონა, უფროსების გუნდი ვარჯიშობდა, მაგრამ როცა ავდექი და ფანჯრიდან გავიხედე, სულ სხვა სურათი დავინახე: მოედანს ყვავილებივით მოსდებოდნენ ნაირ-ნაირ მაისურებში გამოწყობილი ბიჭუნები. ვიცანი, ცუგოს გუნდი. აგერ თვითონ ცუგო, გუნდის სული და გული. ცუგომ ჩვეული ცრუ მოძრაობით მოატყუა ვაჟა, მერე თამაზი, გოგია, გაიჭრა წინ, სულ წინ, მერე უცებ ბურთი გააჩერა, ერთი ღრმად ამოისუნთქა და ამოტრიალებით დაარტყა. არის, არის, — ცუგომ ხელები გაშალა, თეთრი კბილები გადმოყარა და მის შესაგებებლად წამოსულ რობას (გარინჩას) გადაეხვია.

მივხვდი, ჩემი შვებულების კიდევ ერთი დღე შეეწირა ამ მაიმუნებს. თვალი ვერ მოვაშორე მინდორს, ბურთი (ოსტატთაგან განსხვავებით), საბედნიეროდ, ხშირად გადიოდა ხან ერთ, ხან მეორე კარში. ორიოდე წუთის შემდეგ, შეძახილებიდან გავიგე, რომ უკვე თორმეტით შვიდი იყო ცუგოს გუნდის სასარგებლოდ, რომ მოწინააღმდეგე გუნდის თავი გურგენა იყო და რომ კოლია რაღაც საპატიო მიზეზით დღეს არ თამაშობდა.

ვინანე, რომ მარტო მე ვიყავი ასეთი შესანიშნავი მატჩის მოწმე. თამაშის ცქერით გართულმა მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ ჩემს გარდა სხვაც უყურებდა თამაშს. ვიღაც ახალგაზრდა იდგა სამხრეთის კართან და გაფაციცებით ადევნებდა თვალს მატჩის მსვლელობას. დამთავრდა თამაში. ახალგაზრდამ ბიჭებს თავი მოუყარა.

მე მათი საუბრის ბოლო სიტყვებს მოვკარი ყური — იცოდეთ არ დაიგვიანოთ, ხვალ ათი საათისათვის გელით!



„დიდი ფეხბურთის დღეს".

ხალისით დავეშვით ქვემოთ. მივდივართ ფეხბურთზე. დღეს თამაშია და მერე როგორი, თანაც ყველა კი არ იქნება ბედნიერი ეს მატჩი ნახოს; ეს მხოლოდ ჩვენი, დიღმის მასიველთა უპირატესობაა. აქაურები დღეს მოწამენი გახდებიან ყველაზე უშუალო, ხალასი და თავგანწირული თამაშის, რომელიც შესაძლოა სერიოზულ გუნდსაც შეშურდეს. დღევანდელი მატჩი, ყველა პროგნოზის თანახმად, უნდა იყოს მწვავე, დაძაბული და პრინციპული, ვინაიდან ამ მატჩმა უნდა გამოავლინოს კანდიდატები მასივის ნაკრებისათვის. ძალები კი ფრიად სერიოზული და ანგარიშგასაწევია; მატჩში მონაწილეობენ დრიბლინგის გამოჩენილი ოსტატები, მათ შორის ცუგო (იგივე პელე), გურგენა, სერგეი, ტოლია, გვასა, მიხა, კოლია, რობა, ვალერი, კაკო, ვაჟა, მიშა, თემური და სხვები.

რაო, გიკვირთ? ასეთი სახელები არ გაგიგონიათ ფეხბურთის „ვარსკვლავებს" შორის, არა? გეთანხმებით, მაგრამ ახლავე გაგაცნობთ მათ.

ჩემი აივნიდან ხელისგულივით ჩანს პატარა საფეხბურთო მოედანი. იგი დიღმის მასივის ახალმოშენეებმა დასახლებისთანავე თავისი ხელით მოაწყვეს. იმ დღიდან ყოველთვის ისმის აქ ბიჭების ჟრიამული, ბურთის თამაში. ეს გასაკვირიც არ არის. აქვე, ასიოდე ნაბიჯზე, ფეხბურთის ოსტატების საწვრთნელი სტადიონებია, სადაც პატარები ხშირად დადიან და სახელოვანი ოსტატების ვარჯიშის ცქერით ტკბებიან. აბა მერე რა გული გაუძლებთ, რომ საკუთარ მოედანზე არ გამოსცადონ თავიანთი ძალა.

—იურა, შარვალი არ დაგვიკარგო, თორემ...



— დარტყმა! არის!.. აჰ, ბადე გვქონოდა, რას გაეხვეოდა!..





გულშემატკივრები.

აბა რა გული მომითმენდა — ათ საათზე მეც ჩავიარე სტადიონისაკენ. ჯერ ვერავინ შევნიშნე. დეკემბრის სუსხი იდგა და ადრე სიცოცხლით სავსე, ხასხასა მინდვრები ახლა დაცარიელებული, უკაცური იყო. აქა-იქ ცხვრებიც კი სძოვდნენ ჩვენი დიდი ფეხბურთელების ნატერფალს. მაგრამ მალე ქვედა — „ლოკომოტივის“ საწვრთნელ სტადიონზე, ჩემი ფეხბურთელები შევნიშნე. მოედნის შუა გულში ის კაცი შევიცანი, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს თავგანწირულ თამაშს. და ის იყო რომამ თავი ისახელა და პირველი ბურთი გაიტანა, რომ იმ კაცმა ბლოკნოტი ამოიღო და გვარების ჩამოწერას შეუდგა. ასე შეიქმნა აქ ხუთი თვის წინათ ეს გუნდი. ის კაცი ნორჩი „ლოკომოტიველების“ მწვრთნელი ოთარ კინწურაშვილი აღმოჩნდა. მისი მიზანი ყოფილა 1952 წელს დაბადებულთაგან ნიჭიერი რეზერვის შერჩევა. და აი ახლა, ჩვენ გულისხმიერი მწვრთნელის მუშაობის შედეგს ვხედავთ.

სწორედ ეს გუნდი ხვდება ახლა მეორე, არა ნაკლებ საინტერესო წარმოშობის გუნდს — ეს უკვე გოდერძ ფასურიშვილის საზოგადოებრივ საწყისებზე დაწყებული თაოსნობაა. მასივის პატრიოტს გულმა ვერ გაუძლო, როცა ხედავდა პატარების მონდომებას, შეარჩია ბიჭები და ეს შესანიშნავი გუნდი შეკრა. და აი ახლა, დღეს სწორედ ისინი თამაშობენ, მე უკვე ვზივარ და ვუცქერი იმათ, მესმის აივანზე შემომჯდარი ადგილობრივი სპორტული კომენტატორის კაკო ბაქრაძის ხმა.

— ყურადღება! ყურადღება! ლაპარაკობს დიღმის მასივი, ჩვენ ვიმყოფებით მეექვსე კვარტალის ზონალურ სტადიონზე, ძალიან ცხელა, მიუხედავად ამისა, მეთექვსმეტე კორპუსის გულშემატკივრები გავარვარებული ფანჯრებიდან ერთსულოვნად უყურებენ სეზონის ცენტრალურ მატჩს. ერთმანეთს ხვდებიან ნორჩი „ლოკომოტიველები“ და დიღმის მასივის VI კვარტალის ნაკრები. მატჩი უნდა იყოს მწვავე, დაძაბული და პრინციპული, ვინაიდან ამ მატჩმა უნდა გამოავლინოს კანდიდატები მასივის ნაკრებისათვის.

მაშ ასე, მივყვეთ თამაშის მსვლელობას...

დროდადრო ისმის წამოძახილები:

— ყოჩაღ, ცუგო! ყოჩაღ, გურგენა! მე დარწმუნებული ვარ გაივლის წლები და მათ უეჭველად დინამოს სტადიონზე დავინახავთ.

მე ყურს ვუგდებ კომენტატორის პროგნოზებს და ვფიქრობ, როგორიც არ უნდა იყოს დღევანდელი მატჩის შედეგი, ბიჭები მაინც მოგებული დარჩებიან, ვინაიდან ყველაზე უხუცესი მათ შორის, მხოლოდ ცამეტი წლისაა, და მაშასადამე, მათ წინა აქვთ სიჭაბუკე, ახალგაზრდობა, მომავალი; დღეს მათი ცხოვრების გაზაფხულია და, მაშ მოდი, დავულოცოთ ამ პატარა ფეხბურთელებს ძნელად სავალი გზა დიდი ფეხბურთისაკენ.

არა, ეს ბიჭუნები არ ხუმრობენ!

დამარცხებულთა სახლის წინ.





# უძველესი კულინარიის კერა

ჩვენს დედაქალაქში, ჭავჭავაძის პროსპექტზე აღმართულია საქართველოში უძველესი სავაჭრო-კულინარიული სკოლის შენობა. ახლა თბილისში ძნელად ნახავთ ისეთ სასადილოს ან რესტორანს, სადაც ამ სკოლის აღზრდილები არ მუშაობდნენ. აქ ყოველწლიურად მზარეულის ხელოვნებას ეუფლება ასორმოცდაათ კაცზე მეტი.

...ერთ-ერთ კლასში, კედლების გასწვრივ, ჩამწკრივებულია სხვადასხვა ყაიდის ხელსაწყოები და მექანიზმები: თოვლივით თეთრი მაცივრები და ელექტრული ქურები, მძლავრი ცომსაზელი აგრეგატი და პროდუქტების დასამუშავებელი უნივერსალური მანქანები, თევზის დასამუშავებელი მცირე ფორმის ხელსაწყოები და ა. შ.

სკოლაში ხშირად გაიგონებთ: მზარეული საზოგადოებრივი კვების ინჟინერიაო. ნამდვილად ინჟინერია. იგი ხომ არა მარტო ზედმიწევნით ზუსტად უნდა ერკვეოდეს თანამედროვე ტექნოლოგიურ მოწყობილობებში (ისინი ძირითადად ელექტრომანქანებს წარმოადგენენ), არამედ საუცხოოდაც უნდა იცოდეს კერძების დამზადების ყველა ხერხი, რაც არც ისე იოლია.

ჩვენ სასწავლო-საწარმოო სამზარეულოში ვართ, სადაც ამ სკოლის მოსწავლეები ყოველდღიურ პრაქტიკას გადიან. ელექტროქურებსა და მარმარილოს მაგიდებთან თეთრჩაჩიანი და თეთრხალათიანი გოგონები ფუსფუსებენ, მათ არც ისე ადვილი დავალება აქვთ შესასრულებელი: საჭიროა ნაღების კრემისა და ნაყინის დამზადება.

— აბა, ჩიტიძე, მითხარი, როგორ მზადდება კრემი? — ეკითხება შეფმზარეული კანთელაძე ერთ-ერთ ქალიშვილს. ეთერი ჩიტიძე სხაპასხუპით უპასუხებს, თითქოს სამზარეულო წიგნს კითხულობსო. დეგუსტაციის შემდეგ ყველა კმაყოფილი რჩება: ჩიტიძის მუშაობა ხუთიანზეა შეფასებული.

— ჩვენ ვცდილობთ, მოწაფეებს თავიანთი პროფესიისადმი სიყვარული ჩავუნერგოთ, — გვითხრა სკოლის დირექტორმა გოგეშვილმა, — განა უდიდესი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ სასადილოში უფრო გემრიელი კერძები კეთდებოდეს, ვიდრე შინ ამზადებენ? და თუ მზარეული უსულგულოდ მუშაობს, რა გემოზე შეიძლება მაშინ ლაპარაკი?

ყოველ ხალხს თავისი კერძები აქვს. ჰოდა, დაფიქრდით რამდენი ეროვნული კერძია ამქვეყნად! რუსული გემრიელი შჩი გინდათ თუ მცვრიანი ქართული მწვადები, მშვენიერი უზბეკური ფლავი თუ თევზის უნაზესი ლატვიური კერძები, რომელი ერთი მოთვალოს კაცმა. კულინართა სკოლის მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ ორასზე მეტი სხვადასხვა საჭმელის დამზადება. ამ დიდ ხელოვნებას მათ ასწავლიან ამავე სკოლის ყოფილი აღზრდილები ვ. გობეჯიშვილი, მ. კეჟერაშვილი, შ. ლობჟანიძე, უფროსი ინსტრუქტორი ი. ხუროშვილი და სხვ.

საწარმოო პრაქტიკა სწავლების დიდმნიშვნელოვანი ეტაპია და მომავალი კულინარები, პირველი კურსიდან მოყოლებული, უკვე თბილისის სამზარეულოების შეფებთან მუშაობენ. თუ რესტორან „კოლხიდას“ სამზარეულოში მოხვდებით, თქვენ დაინახავთ, თუ როგორ ასწავლიან აქ მომავალ მზარეულებს. სამზარეულოში ადამიანების ხმა იკარგება ელექტრული ხორცისმჭრელების ღრჭიალში, ვენტილატორებისა და მაცივრების ზუზუნში. აქ ისეთივე ხმაურია, როგორც რომელიც გინდათ ქარხნის საამქროში. საქმიანად ფუსფუსებენ თეთრხალათიანი ადამიანები. მარმარილოს გამანაწილებელ მაგიდებთან რამდენიმე გოგონა დგას. მარდად მუშაობენ მათი ხელები და აი, პროდუქციაც მზად არის: სწორ მწკრივებად ალაგია შნიცელები, ლანგეტები, ბიფშტექსები...

გვაინტერესებს, რამდენი კატლეტის დამზადება შეიძლება, ვთქვათ, ერთ საათში. თურმე ნუ იტყვით და მანქანების დახმარებით საათში ორასზე მეტ კატლეტს ამზადებენ.

— მოგწონთ ჩვენი პროფესია? — გვეკითხებიან მომავალი მზარეულები.

— ძალიან.. ცოცხალი და საინტერესო საქმეა! და რაც მთავარია, შრომობ ჩვენი ადამიანისათვის, ჩვენი ხალხისათვის!

დიახ, მზარეულის სამუშაო არა მარტო რთული და ხალისიანია, არამედ საპატიო საქმეც არის, განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში, სადაც ადამიანზე ზრუნვა საზოგადოების უმაღლეს მიზნად არის გადაქცეული.

ე. რაზუმოვსკი

# როცა თევზები მღერიან



„ზღვა ნამდვილი მდუმარების სამყაროა. მე ამას სრულიად დარწმუნებული ვამბობ", — განაცხადა ერთხელ ცნობილმა გამომგონებელმა ჟაკ-ივ კუსტომ. ამ მამაც მკვლევარს მრავალ ათასჯერ ჩაუყვინთავს ზღვაში, მრავალი საათი გაუტარებია წყალქვეშ, მრავალჯერ ჩაუგდია თავი საფრთხეში და ვის რა საფუძველი აქვს არ დაუჯეროს ასეთ ადამიანს! მაგრამ, როგორც ეტყობა, ზღვის მკვიდრთ ეწყინათ ეს ამბავი და პროტესტიც გამოაცხადეს. ადამიანებმა ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინეს, რომ თევზები ხმებს გამოსცემენ, რაღაც თავისებურ ენაზე „ლაპარაკობენ" და ზოგი ყეფს კიდეც. სტავრიდულა, მაგალითად, თუ დაიჭირეს, ყეფს, ზღვის კატა კი ოხრავს ჭამის შემდეგ.

თევზების ლაპარაკი მოისმინეს და მაგნიტოფონზეც კი ჩაიწერეს ჩვენში, შავი ზღვის სანაპიროზე, საზღვაო მეთევზეობის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკებმა. განსაკუთრებით ბევრი იმუშავა „თევზების ენაზე" ამ ინსტიტუტის თანამშრომელმა ე. შიშკოვამ. მან თავისებური „ლექსიკონიც" კი შეადგინა. ამ „ლექსიკონში" მოხვედრილი ერთ-ერთი თევზი, აფრიკის ტყის მცხოვრებივით, სიგნალიზაციისათვის „დოლის ტელეგრაფით" სარგებლობს. „ლექსიკონში" იგი პირობითად „მედოლედ" არის წოდებული. ეს თევზი — მედოლე, ხმას გამოსცემს თავის საცურაო ბუშტიდან, რომელსაც კუნთებს ურახუნებს. სხვა თევზები? მათ ხომ არა აქვთ არც ფილტვები, არც ყანყრატო, არც ყელის მყესები? როგორღა გამოსცემენ ბგერებს?

თურმე საქმე ისევ იმ ბუშტში ყოფილა. ეს თევზის ბუშტი პირდაპირ უნივერსალური „მუსიკალური ინსტრუმენტი" აღმოჩნდა.

თევზი ხმას თავისი სხეულის სიღრმიდან გამოსცემს. არიან თევზები, რომელთა „ყვირილი" ნავისა და გემის ბაქანზე ესმით. მაგალითად, სციენები, რომლებსაც „მომღერალ თევზებს" უწოდებენ. ზღვის კარჩხანას ოხვრა კი აკვარეუმის მინის იქითაც გაისმის. ნაკლებად „მყვირალა" თევზებს ინდოელი და მალაიელი მეთევზეები წყალში თავჩაყოფილები უსმენენ და ამით იგებენ მათ ადგილსამყოფელს. ხელოვნური წყალქვეშა ყურის — ჰიდროფონის მეოხებით შეიძლება გავიგონოთ ქაშაყის „ჩურჩულიც".

დღეისათვის უკვე შეიძლება ასობით ჩამოვთვალოთ მოლაპარაკე თევზები, რომლებიც უსტვენენ, კვნესიან, ოხრავენ, ღრუტუნებენ, ყაყანებენ, ჩხავიან, ყეფენ, მღერიან, „არფაზე უკრავენ" და „ზარებსაც კი რეკავენ". ასე რომ, ბგერათა მრავალფეროვნების დარგში „მუნჯ" თევზებს შეუძლიათ შეეჯიბრონ ხმელეთის ცხოველებს.

და განა მარტო თევზები? ვეშაპებმა დიდად გადააჭარბეს ცნობილ მომღერალ ქალს იმა სუმაკს — მათი ხმის დიაპაზონი ვრცელდება ინფრა ბგერებიდან ულტრაბგერებამდე. სელაპი, თუ ცუდ ხასიათზეა, საყვირივით ყვირის წყალქვეშ, ზღვის ლომები ღრიალებენ, მათი მეგობარი ზღვის მელიები. კი წივიან. ზღვის კუ — ვინ წარმოიდგენდა! — იღრინება, ასთაკვები ჭრიალებენ, კიბო ალფეუსი ისე ატკაცუნებს თავის მარწუხებს, რომ არა მარტო აფრთხობს მტერს, არამედ არეტიანებს კიდეც მას. ნიჟარებიც კი ისე აბრახუნებენ, თითქოს ვიღაცამ გაბრაზებით გაიჯახუნა კარიო.

ამ ხმაურს, რა თქმა უნდა, თავისებური სარგებელი მოაქვს ადამიანებისათვის. თევზის ქარავანის მოძრაობა იწვევს ხმაურს, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ აღნიშნული ჯიშის თევზისათვის. აკუსტიკური აპარატების მეოხებით მეთევზეები განსაზღვრავენ, თუ სად მოძრაობს ეს ქარავანი, რამდენად დიდია და რომელი ჯიშის თევზებისაგან შესდგება. ეს კი ბევრად აადვილებს თევზჭერის საქმეს.

ცნობილია, რომ თევზების ხმაურმა მეორე მსოფლიო ომის დროს თავისებური სამსახური გაუწია იაპონელებს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლაში. წყნარი ოკეანის ზოგიერთი კუნძულის ყურეში იდგნენ ამერიკული სამხედრო ხომალდები. ეს ყურეები თითქმის მიუწვდომელი იყო მტრის წყალქვეშა ნავებისათვის, მიუხედავად ამისა, ჰიდროაკუსტიკოსები ერთი წამითაც არ წყვეტდნენ თვალყურის დევნებას ზღვის სიღრმისადმი. მაგრამ მრავალი თვის მანძილზე თევზების ხმაურის გარდა ვერავითარ სხვა საეჭვო ხმაურს ვერ იჭერდნენ. მაგრამ აი, ერთხელ გაისმა აფეთქების ხმა და ყურეში მდგომი კრეისერი ჩაიძირა. რამდენიმე დღის განმავლობაში ამერიკელებმა ზედიზედ კიდევ ცხრა სამხედრო ხომალდი დაკარგეს.

მათი დაღუპვის მიზეზი აღმოჩნდა იაპონური „ცოცხალი ტორპედოები", რომლებსაც გადმოსხამდა ხოლმე დიდი წყალქვეშა ნავი. ამერიკელებმა ეს ამბავი შეიტყეს მხოლოდ მაშინ, როცა ამ „სასიკვდილოდ განწირული" იაპონელებიდან ერთ-ერთი შეცდომით წყალქვეშა კლდეზე ამოვარდა. თურმე იაპონელთა ტორპედოების მოტორები ჩვეულებრივი გუგუნის ნაცვლად გამოსცემდნენ ისეთსავე ხმაურს, როგორსაც გამოსცემდნენ წყალქვეშ თევზების ქარავნები და ამით შეცდომაში შეჰყავდათ ამერიკელები.



## მიწისქვეშა ზღვების ენერგია

მიწისქვეშა წყლის ოკეანე!... მდუღარე წყლის ზღვა!.. ამ წყალსაცავების ენერგია კარგა ხანია ადამიანის ყურადღებას იპყრობს. იგი ბუმბერაზულია, უფრო მეტიც, იგი დაულეველია. უკვე დღეისათვის შესწავლილი მიწისქვეშა სითბოს მარაგი პირობით სათბობზე გადაყვანით აღწევს 100 მილიონ ტონას.

თუ ყოველწლიურად გამოვიყენებთ ხუთ მილიონ კუბომეტრ მიწისქვეშა მდუღარე წყალს, მთელი საუკუნის მანძილზე ჩვენ შევძლებთ მისი მარაგის მხოლოდ ორი პროცენტის „ამოქაჩვას". მაგრამ მიწისქვეშა ქვაბის ეს „დანაკარგიც" სწრაფად აღიდგინება: წყალი ხომ ბუნებაში მუდმივი მოგზაურია.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში არსებობს ჩვენი ქვეყნის უჩვეულო რუკა, მასზე აღნიშნულია უხილავი ცხელი ზღვები, რომლებიც ბუნებამ გულმოდგინედ დამალა მიწის ქვეშ. ამ ზღვებიდან ზოგიერთი გაოცებას იწვევს თავისი სიდიდით. მაგალითად, დასავლეთ ციმბირის მიწისქვეშა ოკეანეს უჭირავს თითქმის 3 მილიონი კვადრატული კილომეტრი. მიწისქვეშა მდუღარე ზღვები აღმოჩენილ იქნა თურქმენეთსა და უკრაინაში, კამჩატკასა და ყაზახეთში, კავკასიასა და ყუბანში... სულ აღმოჩენილ იქნა უფასო ენერგიის ორმოცდაათი უზარმაზარი მიწისქვეშა საკუჭნაო!

ამ საკუჭნაოების ექსპლოატაცია ბევრად უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ნავთობისა და ქვანახშირის გამოყენება. როგორც ცდებმა უჩვენეს, გეოთერმული დანადგარის შექმნის მთელი ხარჯები სამ-ოთხ წელიწადში ანაზღაურდება, ცხელი წყლისა და ორთქლის ჭა კი იმუშავებს 20, 30 და 40 წლის მანძილზეც კი. ცხელი წყლის 1000 კუბომეტრი სიმძლავრის ერთი წყარო დღეღამეში მოგვცემს იმდენივე სითბოს, რამდენსაც იძლევა ერთი ვაგონი ქვანახშირი.

ჩვენი წიაღის სითბური ენერგიის ათვისება იწყება. მალე ამუშავდება პირველი გეოთერმული ელექტროსადგური კამჩატკის სამხრეთ რაიონში, დაბა პაუჟეტკასთან. სულ უფრო გაბედულად მიმდინარეობს ჩვენი მიწისქვეშა ზღვებისა და ოკეანის ბუმბერაზული ენერგიის ათვისება.

## ორიოდე სიტყვით

△ კაპიტალისტურ სამყაროში კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა კარტის მოთამაშეთა „შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად". ანტვერპენში დაიწყეს სპეციალური მოწყობილობის გაყიდვა, რომელიც კარტს ავტომატურად ურევს და სწრაფად ურიგებს მოთამაშეებს.

△ ავსტრალიაში გაიმართა მორიგი ჩემპიონატი... ცოცხის სროლაში. ჩემპიონი გახდა ოცდაოთხი წლის დიასახლისი მარგარეტა კემპბელი, რომელმაც ცოცხი ოცდათხუთმეტ მეტრზე ისროლა.

△ ირლანდიის სამხრეთით, წყალქვეშა ვულკანის ამოფრქვევის შედეგად, წარმოიშვა ახალი კუნძული, რომლის სიგრძე ერთი კილომეტრია. კუნძული წყლის დონიდან ასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

△ ონეგის ტბაში ამას წინათ აღმოაჩინეს პეტრე პირველის დროინდელი ზარბაზანი, რომელიც ორას ორმოცდაათი წელი იდო წყლის ფსკერზე.

△ ნორვეგიაში არსებობს მკაცრი კანონი, რომლის მიხედვით, ყოველი მოჭრილი, ანდა მოტეხილი ხის სანაცვლოდ დამნაშავემ სამი ხე უნდა გაახაროს.

△ იაპონელი პროფესიული მოკრივე კიმიო ეშიზენი ერთადერთი სპორტსმენია, რომელსაც სეკუნდანტად ქალი ჰყავს. ოცი წლის ქალიშვილი კიოკო შიმიდა მარჯვედ ასრულებს თავის მოვალეობას.

△ ამერიკის ქალაქ ნიუ-ჯერსში შედგა მსოფლიო პირველობა... გადაფურთხებაში. ჩემპიონის ტიტული და პირველი პრიზი მოიპოვა ვინმე ვირგინია ატილმა, რომელმაც ცხრა მეტრზე გადააფურთხა.



ეროვნული ბიბლიოთეკა
საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



აქედან იწყება ლუქსემბურგი.

# ხალხები და ქალაქები

ნოდარ გურეშიძე

## კინტო და აბსტრაქციონიზმი

„ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოდან“ — როგორც მას ოფიციალურად ეძახიან, კვლავ ბელგიაში, ლიეჟში დავბრუნდით. აქ დავათვალიერეთ სახვითი ხელოვნების მუზეუმი. რუბენსის, ვან დეიკის, იორდანსის, სნეიდერსის, მაზერეელის, მენიეს და სხვათა შედევრების გვერდით გამოფენილი იყო აბსტრაქციონისტული აბდაუბდა. ფლამანდური ფერწერის ბრწყინვალე ოსტატთა ნამუშევრებს საბჭოთა კავშირის მუზეუმებში დაცული ორიგინალებისა და რეპროდუქციების საშუალებით კარგად იცნობენ ჩვენი ხელოვნების მოყვარულები, როგორც სამართლიანად აღნიშნა ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე ერთ-ერთმა ბელგიელმა მწერალმა — ხშირად ბელგიელებზე უფრო კარგადაც, და ამიტომ მათს ნაწარმოებებზე აქ არ ვილაპარაკებ. მინდა ორიოდე სიტყვით განვიხილო ის აბსტრაქციონისტული „შედევრები“, რომლებიც აქ ვნახე. თუმცა აქ განსახილველიც არაფერია. აი ერთ-ერთი ამ „ნამუშევართაგანი“. კედელზე ჩამოკიდებულ ჩარჩოში ჩასმულია თეთრი, სრულიად თეთრი ტილო. რას ნიშნავს ეს? ვაკვირდებით წარწერას. „სივრცე“ — ასე ჰქვია ამ სურათს. დიდი ოფლისღვრა კი დასჭირდებოდა მის შექმნაზე ამ სურათის მხატვარს, არა?

მეორე სურათი: თეთრ ფონზე გავლებულია შავი, მუქი შავი ზოლი. ეს თურმე მწუხარება ყოფილა. ნაცრისფერ ტილოზე ერთმანეთში არეულია სხვადასხვა ფერის რგოლები და სამკუთხედები. ეს „კომპოზიციაა“ — აწერია ქვემოთ. როგორ არ გაგახსენდება ამ დროს ამბავი კინტოს ცნობილი ანეკდოტების სერიიდან: ერთხელ კინტომ თურმე გამოფენაზე სურათი მიიტანა — შეამოწმეთ და ჩამოკიდეთო. სურათზე დახატული იყო მწვანე ბალახი და ჰორიზონტალურად, მთელს სიგრძეზე მოჩანდა ბაწარი. კინტოს სურათის ქვეშ წაეწერა სახელწოდება — „ბიჭს ძროხა საბალახოდ მიჰყავს“. კი მაგრამ, ბიჭი სად არისო — ჰკითხეს კინტოს.

— ბიჭმა უკვე გაიარა და არა ჩანს, — უპასუხა მან.

— ძროხა მაინც სად არისო — ისევ შეეკითხნენ მას.

— ძროხა იმ თოკზეა მობმული და ჯერ არ გამოუვლიაო — უთქვამს „აბსტრაქციონისტ“ კინტოს; ასევეა აბსტრაქციონისტული ქანდაკებაც. რკინის ათასგვარად დაღვარჭნილი და დაგრეხილი მასა, ლითონის ნაჭრების უპროპორციოდ განლაგება — დაარქვით ამ „ნამუშევარს“ თუ ნაცოდვილარს ნებისმიერი სახელი და ესეც თქვენი აბსტრაქციონისტული ქანდაკება! ვერ ვიტყვი, რომ ეს ნამუშევრები მაინცდამაინც პოპულარობით სარგებლობენ. როცა მუზეუმის თანამშრომლებს დავუწყეთ საუბარი მათ შესახებ, ისინი იცინოდნენ და პირდაპირ აცხადებდნენ — ეს ჭკუანაღრძობი ადამიანების ნამუშევარიაო.

## ნატყვიარები

ღრმა შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე ლიეჟის ციტადელის ნახვამ. ეს ნაგებობა გერმანელი ფაშისტების ბატონობის დროს ბელგიელ პატრიოტთა და სამხედრო ტყვეთა საპყრობილედ ყოფილა გამოყენებული. აქ აწამებდნენ და ხვრეტდნენ ტყვეებსა და პარტიზანებს. კედლებს ახლაც ატყვია ნატყვიარები. ციტადელის ეზოში აღმართულია ჯვრების ტყე. აქ განისვენებენ ფაშისტთა წინააღმდეგ მებრძოლი პატრიოტები. ერთი პარტიზანის სურათი ჩასმულია ქვის დიდ ლოდში, ხოლო ლოდზე ამოკვეთილია დახვრეტილის უკანასკნელი სიტყვები: „არ დაივიწყოთ ჩემი ბავშვები!“ მაგრამ ბელგიაში, როგორც ჩანს, ბევრს დაავიწყდა ბრძოლაში დაცემულთა ბავშვებიც და იმ პატრიოტთა სისხლიც, რომელიც ასე უხვად დაიქცა ამ ქვეყნის ველებზე. ამაში დავრწმუნდით, როცა იქვე, ციტადელიდან ერთი კილომეტრის დაშორებით, წიგნის მაღაზიაში ვნახეთ ადოლფ ჰიტლერის „მაინ კამპფი“ — ცოფიანი „ფიურერის“ ნაბოდვარი. და განა მარტო „მაინ კამპფი“? აქვე იყო გერინგის ცოლის მოგონებები თავის ქმარზე, გებელსის წიგნი, კიდევ რომელიღაც ნაცისტის წიგნი „ეს ყველაფერი იცოდა ადოლფმა“ და ა. შ.

დავათვალიერეთ ლიეჟის მართლმსაჯულების სახლი. ეს არის ბაროკოს სტილით აგებული შენობა, საკმაოდ პომპეზური და ზვიადი. დერეფნებში დადიოდნენ თავზე ჩაჩდახურული და მანტიამოსხმული სამართლის მსახურნი. ორიოდე წლის წინათ აქ მოეწყო სენსაციური პროცესი, რომელზედაც მთელი მსოფლიოს პრესა ალაპარაკდა. საქმე შემდეგნაირად დაწყებულა; იმ დროს, დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი ფირმა დიდ რეკლამას უწევდა წამალს, რომელიც, ფირმის რეკლამის მიხედვით, აყუჩებდა მშობიარობის ტკივილებს. ანკესზე ბევრი წამოგებულა და ფეხმძიმე ქალები თურმე მასობრივად ხმარობდნენ ამ წამალს. ამის შედეგად ბევრ ქალს მახინჯი ბავშვი შესძენია... ერთ-ერთ მათგანს კი უხელფეხო ბავშვი უშვია, თავზარდაცემულ დედას თავისი პირმშო თვითონვე მოუკლავს. ქალი პასუხისგებაში მიუციათ. პროცესის დღეებში სასამართლო და მის წინ მდებარე მოედანი ხალხით ყოფილა სავსე. საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით ქალი გაუნთავისუფლებიათ. მაგრამ არავის მიუცია პასუხისგებაში ფირმა, რომელმაც ამდენი სიცოცხლე დაამახინჯა. ფირმამ თავისი საქმე გაინაღდა, — ფულები ჯიბეში ჩაიჩხრიალა.

## წიგნი და მუშტარი

ერთი დღე დავყავით ბრიუგეში, ამ ძველებურ, წყნარსა და მომხიბლავ პატარა ქალაქში. აქ თითქმის ვერ ნახავთ ახალ მოდერნისტულ სტილზე აგებულ შენობას. ამ ქალაქის მესვეურებს საგანგებო დადგენილება მიუღიათ, რომელიც კრძალავს ბრიუგეში ახალ მშენებლობას. სახლები ოთხ-ხუთ სართულს არ აღემატება. უფრო ხშირად ორსართულიანი შენობებია. უამრავი არხი, რომლებშიაც პატარა ნავები დადიან, განსაკუთრებულ მომხიბვლელობას აძლევს ქალაქს. ეს „ბელგიის ვენეცია“ იმითაც არის ცნობილი, რომ კარგი დასასვენებელი ადგილია და მრავალ ტურისტს იზიდავს. ბრიუგეს კათედრალურ ტაძარში ვნახეთ მიქელ-ანჯელოს ქანდაკება „ღვთისმშობელი ყრმა იესოთი“. ეს ქანდაკება გერმანელების ბატონობის პერიოდში სადღაც დაკარგულა. ბევრი უძებნიათ მაგრამ ვერ მიუკვლევიათ. ომის დამთავრების შემდეგ კი რომელიღაც ტყისმჭრელს ტყეში აღმოუჩენია და ტაძრისათვის უსასყიდლოდ გადაუცია.

ბრიუგედან ოსტენდეში გავიარეთ. რამდენიმე საათი დავყავით ამ საზღვაო კურორტზე, რომელიც ინგლისიდან სრუტის პატარა ზოლითაა დაშორებული და კვლავ ბრიუსელისაკენ გამოვემართეთ. იმავე საღამოს, ბრიუსელში შეხვედრა მოგვიწყო ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ.

ბელგიასა და ლუქსემბურგში მრავალი ღირსშესანიშნავი ისტორიული თუ არქიტექტურული ძეგლი ვნახეთ. კარგად დამახსოვდა იქაური კაფეებიც. ყველა ქალაქის მნიშვნელოვანი ქუჩა სავსეა კაფეებით. სუფთა და დაკრიალებულ მაგიდებთან ხშირად შემიმჩნევია სამოც წელს გადაცილებული მანდილოსნები და მამაკაცები. ისინი მშვიდად საუბრობენ და საათობით უსხედან ერთ ჭიქა ლუდს, ან შვინდისფერ ბორდოს, ან უბრალოდ, ერთ ბოთლ „კოკა-კოლას“. საუბრობენ და ისვენებენ. უფრო ახალგაზრდები ორკესტრის ან მაგნიტოფონის მუსიკაზე ცეკვავენ. სხვაა, რა თქმა უნდა კაბარე. აქ არის ნახევრად პორნოგრაფიული ცეკვებიც და სტრიპტიზიც. კაფეებში და კაბარეებში შესასვლელი ფული ცალკე უნდა გადაიხადოთ. ფასი ყველგან სხვადასხვაა. ანტვერპენსა და ლიეჟში არის ე. წ. „დროსგასატარებელი“ ქუჩები, რომლებიც მეძავი ქალებისა და სუტენერების ბუდეა. ასეთ ქუჩებზე, პირველი სართულის ფანჯრებიდან თუ ფართო დარაბებიდან გამოდის წითელი შუქი. ესეც თქვენი „ცხოვრების მაღალი დონე!“ არც ისეა აწყობილი საქმე, როგორც ბურჟუაზიული პროპაგანდა ირწმუნება. კარგი ცხოვრების გამო როდი ჰყიდიან თავიანთ თავს მუშტრის მომლოდინე ქალები! არც სუვენირების შესაგროვებლად ეჭირა ქილა ანტვერპენის ყველაზე ფეშენებელურ უნივერმაღთან ბრმა მათხოვარს, მაღალ და გამხდარ სათვალიან კაცს, რომელიც ქუჩაში საცოდავად იდგა და მოწყალებას თხოულობდა.

სწორედ იმ უნივერმაღში ვიყავით მე, რევაზ მარგიანი და ვახტანგ ჭელიძე, როცა ჩვენთან მოვიდა ჩვენი დელეგაციის წევრი, ცნობილი ესტონელი მწერალი აადუ ჰინტი და გვთხოვა მეორე სართულზე, წიგნების განყოფილებაში ავყოლოდით. ბელგიის უნივერმაღებში იყიდება ყველაფერი — დაწყებული ხილით, დამთავრებული მანქანებით და წიგნებით. მეორე სართულზე წიგნების განყოფილება თითქმის ცარიელი იყო. მაგიდას, რომელზედაც გადაშლილი წიგნები ეწყო, შემოსჯდომოდა სამი კაცი, როგორც შემდეგ გავიგეთ, აქაური მწერლები — და მუშტრებს ელოდებოდნენ. აქ ხომ მწერლების ჰონორარი გაყიდული წიგნების რაოდენობით განისაზღვრება. ამაოდ ელოდნენ ანტვერპენელი მწერლები თავიანთ მკითხველებს. ჩვენს იქ ყოფნაში მათ არავინ გაჰკარებიათ; ალბათ ამიტომაც იყო, რომ შეხვედრების დროს, რომლებიც ჩვენ ბრიუსელში, ლიეჟში, ანტვერპენში და ლუქსემბურგში მოგვიწყეს, ბელგიელი და ლუქსემბურგელი მწერლები ინტერესით გვეკითხებოდნენ ჩვენს ქვეყანაში წიგნის გამოცემის საქმისა და მწერლის მატერიალური მდგომარეობის შესახებ.

ცუდ მდგომარეობაში არიან შარლ დე კოსტერის, ემილ ვერჰარნის და მორის მეტერლინკის შთამომავლები. აქ ძნელი წარმოსადგენია ცნება „პროფესიული მწერალი“ — მწერალი, რომელიც თავისი ლიტერატურული შემოსავლით ცხოვრობდეს. აქაური მწერლები, როგორც წესი, სხვადასხვა დაწესებულებებში მუშაობენ საარსებო წყაროს მოსაპოვებლად. ახლა წიგნების გამოცემა და მერე გასაღება იკითხეთ! წიგნის გამოცემის შემდეგ, ჰონორარს მაშინ მიიღებ, როცა ის გაიყიდება. მაგრამ აქაური მკითხველი არ იყიდის წიგნს, თუ კი მას არა აქვს კარგი რეკლამა. კარგ რეკლამას სჭირდება დიდძალი ფული. და არის ეს დახშული წრე. ამის შესახებ დიდი სინანულითა და გულისტკივილით ლაპარაკობდნენ ბელგიელი მწერლები. ხშირია შემთხვევა, როცა კარგ წიგნს არავინ ყიდულობს რეკლამის უქონლობის გამო. ჩვენ ხომ მარტინი ან როსი არა ვართ — სინანულით ამბობენ მწერლები — ჩვენი წიგნების რეკლამისათვის ფულს ვინ გაიმეტებსო.

* დასასრული. იხ. „დროშა“, № 4, 5.

## ასანთის უბრალო კოლოფი

ბელგიის ქუჩებში, ათასგვარ რეკლამებს შორის, ჩვენ ამაოდ ვეძებდით რომელიმე ბელგიური კინოფილმის რეკლამას. ბელგიას არა აქვს თავისი მხატვრული კინემატოგრაფია. დროდადრო გამოდის ბელგიური მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური კინოქრონიკა. ქუჩები და გაზეთები აჭრელებული იყო საზღვარგარეთული კინოფილმების „კლეოპატრას“, „ბენ ჰურის“, „სუპერსპექტაკლის“, „უჩინარი მკვლელის“ და სხვათა, უმთავრესად კოვბოური და პორნოგრაფიული ფილმების რეკლამებით. საბჭოთა მაყურებელმა ნახა ერთადერთი ბელგიური კინოფილმი, რომლის არსებობა ბელგიაში ძლიერ ცოტა ვინმემ თუ იცის, ეს ფილმი იყო „თოლიები ნავსადგურში კვდებიან“. რატომ არაფერი იციან ამ ფილმის შესახებ ბელგიაში? მიზეზი ის არის, რომ ბელგიის კინოთეატრებში ფილმის გაშვების უფლება ნაყიდი აქვთ უცხოეთის (უმთავრესად, ამერიკის, საფრანგეთისა და ინგლისის) კინოგამქირავებელ კომპანიებს. მხოლოდ და მხოლოდ პატრიოტიზმის გულისათვის არც ერთი კინოთეატრის მფლობელი არ დათანხმდება თავის ეკრანზე ბელგიური ფილმი გაუშვას. ფულია მთავარი, ფული და მხოლოდ ფული! არა აქვს ბელგიას კინემატოგრაფია? ნურც ექნება! ოღონდ ბელგიელ კაპიტალისტს ჯიბეში მოგება ჰქონდეს, ჯანდაბას ეროვნული კულტურაც, მწერლობაც და კინემატოგრაფიაც! მე, ჩვენი დელეგაციის წევრებთან ერთად, ვნახე ორი კინოსურათი. ერთს „სუპერსპექტაკლი“ ერქვა, მეორის სახელწოდება არ მახსოვს. ეს კი არის, რომ ორივეში ჭარბად იყო უხამსი სტრიპტიზი და გულისამრევი პორნოგრაფია.

სამწუხაროდ, თეატრალურ წარმოდგენებს ვერც ბელგიაში დავესწარი და ვერც ლუქსემბურგში. ბელგიაში იმ დროს საგასტროლოდ იყო ჩამოსული თბილისელებისათვის კარგად ცნობილი ჩეხური „ლატერნა მაგიკა“ და პარიზელი მოდური შანსონე აზნავური. ერთხელ, ბრიუსელის ერთ-ერთ მოედანზე საკმაოდ უცნაურ სანახაობას წავაწყდი. სუსხიან ამინდში, ღია ცის ქვეშ, სახელდახელოდ გამართულ სცენაზე ცეკვავდნენ ნახევრადშიშველი ბალერინები. სიცივისაგან დალურჯებულები, მუსიკის ტაქტს აყოლილნი, მონდომებით ასრულებდნენ სხვადასხვაგვარ მოძრაობას. ეს რომელიღაც საესტრადო მიმოხილვის რეკლამა იყო.

— მობრძანდით დღეს, ჩვენთან თეატრში და ნახავთ, ასეთ და უფრო საინტერესო ცეკვებს, — ეპატიჟებოდა ხალხს იქვე დადგმული რეპროდუქტორი. იმ დღეს ჩვენ ბრიუსელიდან გავემგზავრეთ და მე ვერ ვნახე ის საესტრადო მიმოხილვა.

მრავალი ძლიერ საინტერესო შეხვედრა გვქონდა ბელგიაშიც და ლუქსემბურგშიც. მეგობრულ შეხვედრებზე, ჭიქა ლუდის თუ ყავის ირგვლივ შემომსხდარნი ვსაუბრობდით ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, კულტურაზე და ცხოვრების სხვა დარგებზე. აქაურ უბრალო ადამიანებს აშკარად ეტყობოდათ დაუფარავი სიმპათია ჩვენი დიადი ქვეყნისადმი და მისი მიღწევებისადმი. ლიე ჟში, პატარა გემზე გამართული შეხვედრის დროს ჯიბიდან ასანთი ამოვიღე და სიგარეტს მოვუკიდე. რომელიღაც ახალგაზრდა მომიახლოვდა და მთხოვა ასანთი მეთხოვებინა. გაგარინი! — აღტაცებით წამოიძახა მან, როცა ასანთზე გამოსახულ სურათს დააკვირდა. მე ვუთხარი, რომ ეს გაგარინი კი არა, პოპოვიჩი იყო და ასანთი სახსოვრად გადავეცი. უნდა გენახათ, როგორი მადლობა გადამიხადა ახალგაზრდა ბელგიელმა და ასანთი დიდი ამბით აჩვენა მეგობრებს.

ბელგიელი მუშები დიდი მოწონებით ლაპარაკობდნენ საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო ღონისძიებებზე. ბოლოს და ბოლოს, დასავლეთმა უნდა შეიგნოს, რომ ომი უგუნურობა და დანაშაულიაო, — თქვა ერთმა მუშამ. ბელგიის მთავრობა იმას უყურებს, რას იზამენ ამერიკელი მილიარდერები და თავის პოლიტიკას ამ ნიშნით წარმართავს, ცდილობს მათ მიბაძოსო.

ბრიუსელში, ბელგიელ მწერლებთან შეხვედრაზე, საინტერესოდ და შინაარსიანად გამოვიდნენ აადუ ჰინტი, რევაზ მარგიანი, ვახტანგ ჭელიძე და ვლადიმერ დრუჟინინი. მათ ილაპარაკეს საბჭოთა ლიტერატურის დღევანდელ მდგომარეობაზე და პასუხი გასცეს მრავალრიცხოვან შეკითხვებზე. ბელგიური ლიტერატურის დღევანდელი მდგომარეობის გამო გულისტკივილი ისმოდა ბელგიელ მწერალთა გამოსვლებში. თქვენ, ალბათ, თვითონ დარწმუნდებოდით, — ლაპარაკობდნენ ისინი, — რომ ჩვენი წიგნის ბაზრები მაკულატურით არის სავსე. აქ ყველაზე უბედურება ის არის, რომ არავინ ფიქრობს თუ როგორი აღიზრდება ახალგაზრდა თაობა. კომიქსები და პორნოგრაფიული წიგნები, ძალადობისა და ბანდიტიზმის ამსახველი ფილმები და გადაცემები ტელევიზიით, აი ის სულიერი საზრდო, რითაც ბელგიის ახალგაზრდა თაობას უმასპინძლდებიან. ფული და კომერცია, კომერცია და ფული! აი ყველაფრის საზომი, რომლის წინააღმდეგ ჩვენ ვერაფერს ვაწყობთო. საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები გვასწავლიან ჩვენ ცხოვრების გარდაქმნასა და ახლებურად მოწყობას, რისთვისაც დიდი მადლობლები ვართო. ბელგიელი მწერლები გამოსთქვამდნენ სურვილს, რაც შეიძლება უფრო გაფართოვდეს საბჭოთა ქვეყნისა და ბელგიის მწერალთა მეგობრული ურთიერთობა.

ორმა კვირამ მალე გაიარა. 17 დეკემბერს შუადღით ბრიუსელიდან გამოვფრინდით. ერთი საათით კვლავ ამსტერდამში შევჩერდით და სამი საათის შემდეგ ჩვენს საყვარელ მოსკოვში ვიყავით.

# არაქსის გაღმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მორო მამედოვი

არაქსის გაღმა
გუთნისდედა მიარღვევს ყამირს.
ალიონია,
ხარის რქებზე თრთის დილის ნამი.
სახრით აფხიზლებს
ფერდებჩაყრილ, დავარდნილ ხარებს
და ნაჯაფარი გუთნისდედა
ძლივს მიხანხალებს;
აწვება გუთანს,
მაგრამ ძალა აღარა ყოფნის,
ჩითის პერანგზე მარილივით
ახმება ოფლი.
ამ ოფლით თურქი მებატონე
ჯიბეს ისქელებს...
ხოლო გლეხი კი
შუადღითაც ვერ შეისვენებს,
თავს არ იზოგავს,
სამხრობამდე ვერ წაიხემსებს...

ჩუ! ეს რა ესმის?
დგება ქურთი ფეხისწვერებზე.
სიცილ-კისკისი,
სიმღერები ესმის ქურთული, —
თითქოს სულს მოხსნეს
ბორკილები, მძიმე ურდული.
იქნება კიდეც ეჩვენება
ან ესიზმრება? —
თურქეთში ქურთის სიმღერები
არ შეიძლება!

დაბერებულა საცოდავი, —
ბედი დასცინის!
და გუთანს მძიმედ ებჯინება
ღონეგაცლილი.

არც ერთი კუთხე
ოსმალეთში არ ეგულება,
სადაც შეეძლოთ ქურთებს ლხინი, მხიარულება.

ხედავს საწყალი გუთნისდედა,
საბჭოთა მხრიდან
როგორ გადმოდის სიმღერები
სიცოცხლის ხიდად.
. . . . . . . . . .

აქეთ ტრაქტორი:
სიმღერები, ლხინი, გართობა.
გაღმა — გუთანი,
ტირილი და უსამართლობა.

საბჭოთა მხარე გადაშლილა
როგორც წალკოტი,
„ალბათ ნაყოფიც ბევრად უფრო
უხვი გამოდის“!...

იმ გუთნისდედას
აქაურის შეშურდა ბედი, —
თავისუფალის,
ბედნიერის
და შემოქმედის.

თარგმნა ზ. ნიშნიანიძემ



# მოკლედ ყველაფერზე

## ახალი წყალი

ნეკაკვარიუსი — ასე ეწოდება იაპონიაში ახლად დამზადებულ ორიგინალურ მოწყობილობას, რომლის მეოხებით შესაძლებელია გვალვიან ადგილებში სასმელი წყლის მიღება.

ეს მოწყობილობა ერთი შეხედვით კარავს ჰგავს; იგი გამჭვირვალე პოლიმერული ფირისაგან არის დამზადებული. ნეკაკვარიუსის საშუალებით მზისაგან გახურებული ნიადაგიდან თანდათან გამოიყოფა წყალი, რომელიც ყოველთვის მოიპოვება ყველაზე მშრალ ნიადაგშიც კი. ნიადაგზე გადაჭიმული მოწყობილობის ფირზე ილექება წყალი, რომელიც წვეთ-წვეთად გროვდება სპეციალურ ცისტერნში.

მზიან დღეს თვითეული კვადრატული მეტრი ნიადაგიდან შესაძლებელია ერთი ლიტრი წყლის მიღება.

## საოცარი სითხე

დამზადებული იქნა ახალი შენაერთი — პოლივინილპიროლიდანი, რომელიც უსუნო და უგემო თეთრი ფერის ფხვნილს წარმოადგენს.

ამ ფხვნილს გასაოცარი თვისებები აქვს: მისი ხსნარის დახმარებით შესაძლებელია ავადმყოფს გადაუსხან ყოველი ადამიანის სისხლი, მიუხედავად იმისა, სისხლის რომელი ჯგუფი გააჩნია მას.

ცდებმა დაანახვა სპეციალისტებს, რომ პოლივინილპიროლიდანის ხსნარში შერეული წამალი გაცილებით მეტხანს რჩება ორგანიზმში; გარდა ამისა, მას უნარი აქვს ავადმყოფის ორგანიზმიდან სწრაფად გამოდევნოს სხვადასხვა შხამები.

პოლივინილპიროლიდანი უახლოეს ხანში დიდ გავრცელებას ჰპოვებს მედიცინაში.

## კვამლი და ხმაური

უნგრელმა გამომგონებლებმა გრეგუსმა და ლიპოვეცმა დაადგინეს, რომ სხვადასხვა სათბობი მნიშვნელოვნად უკეთ იწვის, თუკი ღუმელში ხელოვნურად ვზრდით ხმაურს.

ცდის დროს ნავთის დიდ ღუმელში ჩადგეს ორთქლმავლის ორი საყვირი. აკუსტიკურმა ენერგიამ, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, ხმაურმა, უზრუნველყო სათბობის მთლიანი დაწვა. კვამლის შემოწმებით გამოირკვა, რომ მასში დაუწვავი სათბობის უმნიშვნელო ნარჩენებიც კი აღარ იყო.

## ნიშანს წერს... მანქანა

ამას წინათ ლენინგრადის ფიზიკო-მათემატიკური ტექნიკუმის სტუდენტები გამოსცადეს... მანქანებმა.

როგორც შემოწმებამ ნათელყო, მანქანის მიერ დაწერილი ნიშნები ზუსტად შეესატყვისებოდა სტუდენტების ცოდნას.

გამომცდელი მანქანა შექმნეს ამ სასწავლებლის ინჟინერ-ტექნიკოსებმა. ამგვარი ტიპის კიბერნეტიკული მანქანების გამოყენებას მალე დაიწყებენ სხვა სასწავლებლებშიც.

## ხერხის ნაცვლად... წყალი

როგორც ცნობილია, ქარხნებში ხის დამუშავების დროს ნახერხისა და ბურბუშელას სახით მერქნის დაახლოებით თხუთმეტი პროცენტი იკარგება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველწლიურად მოჭრილი ხე-ტყის რაოდენობა მილიონობით კუბური მეტრით განისაზღვრება, მაშინ ნათელი გახდება, რამდენ ძვირფას ნედლეულს ჰკარგავს მრეწველობა.

სპეციალისტებმა გადაწყვიტეს, ხის დახერხვა დაეწყოთ... წყლით! დამზადებული იქნა მაღალი წნევის ჰიდროზარბაზანი, რომლის ტუჩიდან ზემძლავრ ნაკადად მოედინება წყალი. წყლის ეს წვრილი, ორი მეათასედი მილიმეტრის სისქის ჭავლი თავისუფლად ჭრის ხეს.

„წყლის ხერხის“ მეოხებით ხის დამუშავებით გამოწვეული დანაკარგები მინიმუმამდე დადის.

# იუმორი

— თუ დეკანი უკან არ წაიღებს თავის სიტყვებს, რომელიც მან ამ დილით მითხრა, მე იძულებული ვიქნები დავტოვო კოლეჯი.
— ჰო, მაგრამ რა გითხრა ასეთი?
— მან მითხრა დამეტოვებინა კოლეჯი.

•

— ჩვენი ლექტორი თავისთავს ელაპარაკება ხოლმე. თქვენიც?
— ო, როგორ არა, მაგრამ იგი ამას ვერ ხვდება. მას ჰგონია, რომ ჩვენ ვუსმენთ.

•

— მათი ნიშნობა კვლავ საიდუმლოა?
— ყველა ასე ამბობს.

•

— აი, ახლა გემჩნევა, რომ შენ უკვე ცოლიანი კაცი ხარ.
— როგორ?
— პალტოზე არც ერთი ღილი არ გაკლია...
— დიახ, პირველი, რაც ჩემმა ცოლმა გააკეთა, არის ის, რომ ღილების დაკერება მასწავლა.

•

— ჩემს ცოლს ყველაზე საძაგელი მეხსიერება აქვს.
— ყველაფერი ავიწყდება, ხომ?
— არა, ყველაფერი ახსოვს.

•

ვაჟი — როდის იგრძენი პირველად, რომ გიყვარვარ?
ქალი — როცა გავბრაზდი ხალხის სიტყვებზე, რომ შენ უტვინო და უშნო ხარ.

ინგლისურიდან თარგმნა **დოდო გოჯგუამ.**

•

ექიმი მესამედ ეუბნება საავადმყოფოში ყვავილების თაიგულით მოსულ ახალგაზრდა კაცს:
— ლილისთან შესვლა აკრძალულია, ავადმყოფთან მხოლოდ ახლობელ ნათესავებს უშვებენ.
— მე ძმა ვარ ლილის! — ამაყად აცხადებს ახალგაზრდა კაცი.
— ასეთ შემთხვევაში, მე ვერასგზით ვერ ვაპატიებ ჩემს თავს, რომ თქვენი ცნობა ვერ შევძელი, მე ხომ ლილის დედა გახლავართ!

•

— მე შევძელი ორი ჩემპიონი ერთდროულად დამემარცხებინა!
— როგორ შესძელით ეს?
— სრულიად ადვილად: პინგ-პონგის ჩემპიონი ჭადრაკში დავამარცხე, შესვენების დროს კი ჭადრაკის ჩემპიონს პინგ-პონგში მოვუგე!

•

პატარა კატრი ეუბნება დედას:
— დედიკო, ხომ იცი დიდი ბროლის ლარნაკი, რომელიც ჩვენს საგვარეულოში თაობიდან თაობაზე გადადის?
— რატომ მეკითხები?
— იმიტომ, რომ იგი ეს-ეს არის ხელიდან გაუვარდა ჩემს თაობას.

•

ერთმა კაცმა მიმართა მეორეს:
— გთხოვთ ათი ზლოტი მასესხოთ.
— მე არ გიცნობთ თქვენ! — მიუგო გაოცებულმა გამვლელმა.
— საქმეც მაგაშია! ვინც მიცნობს, ყველა უარს მეუბნება ფულის სესხებაზე.

•

— სად არის გაზეთი?
— რად გინდა გაზეთი, შენ ხომ არასოდეს არ კითხულობ მას?
— მინდა გავიგო, როგორი იყო პიესა, რომელიც წუხელ ვნახე.

•

— ქალბატონო ბრაუნ, — ამბობს ექიმი, — თქვენ ქმარს დასვენება და სიმშვიდე სჭირდება. აი დამამშვიდებელი ტაბლეტები, თქვენ მას ყოველ სამ საათში მიიღებთ.

•

შოფერი უყვირის ავტობუსიდან გადმოსულ ქალს:
— შეჩერდით! ავტობუსში პაკეტი დაგრჩათ!
— ნუ გეფიქრებათ, გეთაყვა, ჩემი ქმარი ნაპოვნი ნივთების ბიუროში მუშაობს, ამ პაკეტში კი მისი საუზმეა.

•

ბანდიტებმა ბანკი გაძარცვეს.
— ბილ, მოდი დავთვალოთ, რამდენი ფული წამოვიღეთ ტომრით.
— ზედმეტი შრომაა! ამის შესახებ ჩვენ ხვალ გაზეთში წავიკითხავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანის პირველ გვერდზე: ჩაის პლანტაციაში. ფოტო ს. კილაძისა. მეოთხე გვერდზე: პეიზაჟი. ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VI-64 წ. გამომც. № 55, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 1359, უე 04375

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ს. მამასახლისი

# ფოტოეტიუდები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზამთარი



გაზაფხული

ზაფხული



შემოდგომა



ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა